საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

თ. ცაგარეიშვილი

მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში

(ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1987

63.5 (2 Ქ)
ბ 132

ნაშრომში მოცემულია მასალები ქვემო ქართლის მესაქონლეობის ისტორიიდან. საკვლევ რეგიონში, სამეურნეო-გეოგრაფიულ და კულტურულ-ისტორიულ ვითარებასთან შეფარდებით, გამოვლენილი და დადგენილია მესაქონლეობის ძირითადი ფორმები, მასთან დაკავშირებული სამეურნეო-კულტურული მიღწევების თავისებურებანი, რაც კონკრეტულ პირობებში გამოხატულია საქონლის მოვლა-პატრონობის, საჯიშე-სანაშენე საქმიანობის, მესაქონლეობის სამეურნეო-მატერიალური ბაზის გამოყენების, რძის პროდუქტების დამზადება-დაბინავებისა და სხვა სფეროში.

რედაქტორები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი [გ. ჩიტაია]
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ვ. შამილაძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბ. გამყრელიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. კვიციანი

Ბ $\frac{0800000000}{М\ 607\ (06)-87}$ 183—86

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987

შესავალი

მესაქონლეობის, როგორც მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული დარგის, ისტორიის შესწავლას, მასთან დაკავშირებული ტრადიციული ფორმებისა და რიგი სამეურნეო-კულტურული პრობლემების კვლევას თანამედროვე საბჭოთა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა[1].

ქართულმა საბჭოთა ეთნოგრაფიულმა მეცნიერებამ სათანადო წვლილი შეიტანა ამ პრობლემის დამუშავების საქმეში და გამოავლინა მესაქონლეობის მრავალმხრივი პრაქტიკა, მისი განვითარების დონე და როლი ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიაში. მიღებული მემკვიდრეობის მეცნიერული ანალიზისა და ახალი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე მესაქონლეობის საკითხები ერთი მხრივ შედის ეთნოგრაფიის სხვადასხვა პრობლემატიკის კვლევაში[2], მეორე მხრივ, მუშავდება ცალკე პრობლემად ლოკალური ტერიტორიული კუთხეების შესწავლის გზით, რომლის მიზანია მესაქონლეობის მეურნეობრივი სპეციფიკის ადგილობრივი თავისებუ-

---

[1] Ю. В. Бромлей, Современные проблемы этнографии, М., 1981; Г. Е. Марков, Скотоводческое хозяйство и кочевничество, Дефинации и терминология, Сов. Этнография, 1981, № 4; Ю. И. Семенов, Кочевничество и некоторые общие проблемы теории хозяйства и общества. Сов. этнография, 1982, № 2; В. М. Шамиладзе, О некоторых вопросах классификации и терминологии скотоводства Кавказа, Сов. этнография, 1982, № 3; Б. В. Андрианов, Некоторые замечания о дефинациях и терминологии скотоводческого хозяйства, Сов. этнография, 1982, № 4; М. О. Османов, О формах и типах скотоводства, Сов. этнография, 1984, № 6; Ю. И. Мкртумян, К изучению форм скотоводства у народов Закавказья, кн. Хозяйство и материальная культура народов Кавказа в XIX—XX, М., 1971; В. М. Шамиладзе. Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Историко-этнографическое исследование, Тбилиси, 1979.

[2] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941. მისივე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1939; გ. ჩიტაია, იმერეთის ექსპედიცია (ბაღდადის რაიონი), ენიმკის მოამბე, II, 1937; მისივე, ხევსურული სახლის „სენე", ანალები, I, 1947; მისივე, ხევსურული ვარია,

რებების გამოვლენა ზოგადქართული კანონზომიერების დადგენისათვის[3].

ქვემო ქართლის მესაქონლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა არის ერთ-ერთი რგოლი იმ გეგმაზომიერი მეცნიერული მუშაობისა, რომელსაც წლების მანძილზე აწარმოებენ ქართველი ეთნოგრაფები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. რეგიონალური კვლევის საჭიროება გამოწვეული იყო იმითაც, რომ საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივ-კლიმატური და სამეურნეო-ეკონომიკური პირობების გავლენით მესაქონლეობა სხვადასხვა კუთხეებში არა მარტო გარკვეული თავისებურებებით არის წარმოდგენილი, ამავე დროს ცალკეულ რეგიონებში მესაქონლეობის ამა თუ იმ სპეციალიზებული ფორმის უპირატესი გავრცელებაც დგინდება. ამიტომ ეთნოგრაფიული კვლევისას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მესაქონლეობის ძირითადი ფორმების ზონალური განლაგების, მეურნეობის სხვა ფორმებთან შეთანხმების საკითხებს.

მესაქონლეობის ამ მიმართულებით კვლევა შეესატყვისება თანამედროვეობის ამოცანებსაც. სკკპ და საბჭოთა მთავრობამ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიზნით დასახულ გრანდიოზულ ღონისძიებათა სისტემაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად დასახა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი გადანაწილება და სპეციალიზაცია, ადგილობრივ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებთან შეფარდებული სამეურნეო დარგების დანერგვა.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის მნიშვნელოვანი პირობაა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო დარგების საფუძვლიანი შესწავლა ისტორიულ-ეთნოგრაფი-

---

ხელნაწერი; რ. ხ ა რ ა ძ ე. ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1965; მ. გ ე გ ე შ ი ძ ე. ქართული ხალხური ტრანსპორტი, I, თბ., 1956; ე. ითონიშვილი, მესაქონლეობა სამგორში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე XXIII, თბ., 1962; ნ. თ ო ფ უ რ ი ა. საქონლის საზამთრო და საზაფხულო სადგომები დასავლეთ საქართველოში, მსე, XV, 1970: კ. კ ა ც ა ძ ე, მასალები საქართველოს მეცხვარეობის ისტორიისათვის, მსე, XII 1955; ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, ზოოტექნიკის ისტორიიდან, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 88, 1977; თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, საიალაღო მატერიალური კულტურის ძეგლები ჯავახეთში, მაცნე, 4, 1975; ნ. ა ზ ი კ უ რ ი, შრომის ორგანიზაციის ფორმები მეცხვარეობაში. მსე, XXI, 1981.

3 კ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მეცხვარეობა ქიზიყში, სეს, თბ., 1964; ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე. ალპური მესაქონლეობის საქართველოში, თბ., 1969; მისივე დასახ. ნაშრომი (რუს. ენაზე); მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1985 ბ. გ ა მ უ რ ე ლ ი ძ ე, ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა, თბ., 1982; ი. ქ ვ ი ც ი ა ნ ი, მესაქონლეობა სვანეთში, თბ., 1975, საკანდ. დისერტაცია.

ული თვალსაზრისით, რაც ხალხის იმ მდიდარი საწარმოო გამოცდილების პრაქტიკულად ათვისების და დანერგვის საშუალებას იძლევა, რომელიც კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში გამოხატულია სხვადასხვა სამეურნეო დარგების, კერძოდ მესაქონლეობაში საქონლის მოვლა-პატრონობის, საკვები ბაზის ეფექტურად გამოყენების, საკვებშესანაშენე საქმიანობისა და რძის პროდუქტების დამზადება-დამზადებაში.

ხალხური მეურნეობის ისტორიული გამოცდილების შესწავლის ეროვნული მნიშვნელოვანი ყურადღება ენიჭება იმ გაგებითაც, რომ ქართველი ხალხის შრომით საქმიანობაში ყოფითი კულტურის ცალკეული ელემენტების ჩამოყალიბება ხდებოდა საუკუნეების მანძილზე ხანგრძლივი შრომით მიღებული შედეგების შემოწმების გზით.

ამ მიმართულებით ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა არა მარტო ხელს უწყობს კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში ჩამოყალიბებული სამეურნეო ტრადიციების მრავალფეროვნების და ხალხის სამეურნეო კულტურის საწარმოო დაწინაურების დონის გამოვლენას, არამედ სოციალისტური მეურნეობის სწორი დაგეგმვის, შემდგომი წინსვლისა და განვითარების საქმესაც.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქვემო ქართლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის სიძნელეები, რაც ამ კუთხის რთული ისტორიული ცხოვრების შედეგებით არის განპირობებული. ადგილობრივი, აბორიგენი მოსახლეობის განადგურება-გასახლებას პარალელურად თან სდევდა სხვადასხვა ეროვნული ფენების დამკვიდრება ცალკე ეთნოსოციალური უჯრედების სახით, რომელთაც თან მოჰყვათ თავის ეროვნულ სპეციფიკასთან დაკავშირებული სამეურნეო-კულტურული ტრადიციები და თავისებურებანი. სწორედ ამიტომ მოხდა რომ ქვემო ქართლში, დამჯდარი ბინადარი მოსახლეობის გვერდით, წარმოდგენილია მომთაბარული ბუნების ხალხებიც.

საკვლევი რეგიონის სამეურნეო-კულტურული ტრადიციების შესწავლისას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება კუთხის ისტორიულ წარსულს მოსახლეობის მიგრაციის პროცესებს და ცალკეული ეროვნული ფენების სამეურნეო ტრადიციებს, რადგან ქვემო ქართლის „ეთნოგრაფიული სინამდვილე კომპლექსური, მრავალგზის შეჯვარებული მოვლენაა, რომლის შესწავლა თითოეული ისტორიულ-კულტურული ელემენტის ამომარცვლას და საკუთრივ აბორიგენულ თავისებურებათა მიკვლევას მოითხოვს"[4].

ამიტომ ნაშრომში წარმოდგენილი ფართო საკითხების ყოველმხრივ გაშუქების პრეტენზიას ჩვენი კვლევა არ ისახავს მიზნად. ქვემო

---

[4] გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, საქ. მუზ. მოამბე, ტ. IV, 1926, გვ. 208.

ქართლის მესაქონლეობის კვლევა შემდგომ გაფართოებას მოითხოვს; თათრულ-აზერბაიჯანული, სომხური, რუსული, ბერძნული და სხვ. მოსახლეობის სამეურნეო-ყოფითი და კულტურულ-ისტორიული მონაცემების ყოველმხრივი, კომპლექსური შესწავლა საშუალებას მოგვცემს თვალი გავადევნოთ საქართველოში ჩამოსახლებული უცხო, ეთნიკური ელემენტების მკვიდრ მოსახლეობასთან ხანგრძლივი ურთიერთობისა და მეზობლობის პირობებში ჩამოყალიბებული საწარმოო ჩვევების განვითარების პროცესს, ხასიათსა და თავისებურებებს.

ეთნოგრაფიული კვლევიდან ჩანს[5], რომ შემოტანილი ცალკეული კულტურის ელემენტები ეთვისებოდნენ ადგილობრივ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებს, ხოლო რიგ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდნენ თვითმყოფი კულტურის თანმხლებ ელემენტებს, ავსებდნენ და ამდიდრებდნენ რა მას, ქართველი ხალხის სამეურნეო კულტურის მაღალი მონაპოვრებითაც. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფისა და კულტურის თავისებურებანი, მისი მაღალგანვითარებული ფორმები, რომელიც ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო და კულტურულ-ისტორიული სპეციფიკურობითაა განპირობებული, განუწყვეტლივ სძლევდა მოძალებული უცხო კულტურის თანმხლებ ელემენტებს და ინარჩუნებდა თვითმყოფი კულტურის ძირეული ნიშნების სიმტკიცესა და გამძლეობას. ამავე დროს არ უარყოფდა უცხო სამეურნეო ყოფისა და კულტურის დადებით ელემენტებსაც.

ქვემო ქართლი თავისი შრავალფეროვანი კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებით, ეთნოკულტურული და პოლიტიკური ისტორიით, ყოველთვის იპყრობდა სპეციალისტების ყურადღებას. XIX ს-ში ქვემო ქართლს იკვლევდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ეკონომისტები, გეოგრაფები, ისტორიკოსები, არქეოლოგები.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ რეგიონზე საკმაოდ ვრცელი ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალა არსებობს[6],

---

5 ეთნოგრაფიული მასალები ძირითადად იკრიბებოდა ქართულ მოსახლეობაში, შესაძლებლობისამებრ არაქართულ მოსახლეობაშიც.

6 სადღეისოდ ცნობილი სიგელ-გუჯრების უმეტესი ნაწილი ქვემო ქართლის კუთხეებსა და სოფლებს ეხება, რადგან სამეფო-სადედოფლო მამულების უმეტესობა ამ კუთხეში იყო განლაგებული. საკმაოდ ვრცელი სიგელ-გუჯარი და მამულის დაკორება გადარჩენილი და გამოქვეყნებული ქვემო ქართლის მებატონეების — ბარათაშვილებისა და ყაფლანიშვილების.

ქვემო ქართლის ეკონომიკური სურათის აღსადგენად მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში" და „მეწინავე სადროშოს ძღვენისა და გარიგების წიგნში", სადაც გამოსაღების დიდი ნორმები მოწმობს, რომ ქვემო ქართლში მეცხოველობას იმ პერიოდში დაწინაურებული ხასიათი ჰქონდა.

ვახუშტის მიერ ქვემო ქართლის ცალკეული კუთხეების დაწერილებითი

ეთნოგრაფიული ცნობები ქვემო ქართლის მეურნეობის და საკუთრივ მესაქონლეობის შესახებ მცირეა და არასისტემატური კვლევის ხასიათს ატარებს. ქვემო ქართლში მესაქონლეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ ყურადღება გამახვილებულია გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, რაც იმ დროის პერიოდული პრესიდან ირკვევა[7]. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ, ჯერ ერთი, ქვემო ქართლში შვეიცარული ყველის მრეწველობის წარმატებაში, მეორეც, მომთაბარეობის მავნე შედეგებში, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა მესაქონლეობის ამ ფორმის ლიკვიდაციის საკითხი. ამ პერიოდის მასალა ძირითადად ამ ორ მიზანს ემსახურება. ავტორების ერთი ჯგუფი ძირითადად იხილავს შვეიცარული ყველის მრეწველობის განვითარების გზებს, შესაძლებლობებსა და მომავალს, ეძებენ გზებს შვეიცარული ყველის მრეწველობის ადგილობრივ მოსახლეობაში დასანერგად. ავტორების მეორე ჯგუფი სისტემატურად აქვეყნებს მასალებს მომთაბარული მეურნეობის მავნე შედეგებზე, რომელიც აქტუალური პრობლემაა ამ პერიოდისათვის. მომთაბარეობა ხელს უშლიდა შავი ჭირის ეპიდემიების აღმოფხვრას საქართველოში, საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფო წესრიგს, დამლუპველ ზეგავლენას ახდენდა თვით მომთაბარეების ყოფაზე, რომელნიც აუტანელ სიღარიბესა და უსუფთაობაში ცხოვრობდნენ.

რევოლუციამდელ მკვლევართა ნაშრომებში აშკარად ჩანს ქვემო ქართლის, კერძოდ, ბორჩალოს მაზრის სოფლის მეურნეობის დაბალი დონე. ჩამორჩენილობის ძირითად მიზეზს ისინი მხოლოდ მომთაბარეობასა და მის მავნე შედეგებში ხედავენ.

ქვემო ქართლის მესაქონლეობის ცალკეული საკითხების განხილ-

აღწერისას აღნიშნულია აქ გაერცელებული საქონლის ჯიშები, საქონლის რაოდენობა, საკვები ბაზა.

XVIII ს. ქვემო ქართლის მოსახლეობისა და მფლობელობის სტატისტიკური მასალა აღწერილი და გამოქვეყნებულია ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს ფუნდამენტურ ნაშრომში (ქვემო ქართლი, I—II, ტფ., 1935; მ ი ს ი ვ ე, ქვემო ქართლი, III—IV, ტფ.. 1936).

ქვემო ქართლი ვრცლადაა შესწავლილი ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების ისტორიულ და ისტორიულ-გეოგრაფიულ გამოკვლევებში.

7 ქვემო ქართლის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ცალკეულ ცნობებს ეხვდებით გასული საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში, სადაც მასალებს აქვეყნებენ: ა. ალანტარი, ა. თამამშევი, ა. არღუთინსკი, პ. ვოზიანოვი, გ. ბუნიატოვი, ი. ანდრონიკოვი, ა. ნატროვევი, ხ. ვერმიშევი, გ. შადინოვი, ა. ახელედიანი, ი. ვასილევი, დ. რუდნევი, ა. ერიცოვი, ზ. ვულისაშვილი. კ. პეტრიაშვილი და სხვ. („ივერია", „მოამბე", „გუთნის დედა", „მეურნე", „სასოფლო გაზეთი", „მოსავალი", К, КХ, КСХ, МИЭБГКЗК, СМИЭБГЗК, МУКЛЗПИСК, ЭКОСХ, НО. ЭО, ТКОСХ, СМОМПК).

ვისას ამ მკვლევართა მიზანს არ წარმოადგენდა ხალხური ემპირიული ცოდნის წარმოჩენა, მესაქონლეობის როლის განსაზღვრა ხალხის, საზოგადოების განვითარების საქმეში.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ქვემო ქართლი პირველად შეისწავლა აღბულაღის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ XX საუკუნის 20-იან წლებში[8]. ექსპედიციის მუშაობის შედეგებში ანალიზი გაუკეთდა აღნიშნული რეგიონის კულტურულ-სამეურნეო ყოფას, დადასტურდა რეგიონში ბარისა და მთის ზონის ურთიერთშეხამებული ხასიათი, მიწათმოქმედება-მესაქონლეობის სიმბიოზი და მათი ადგილი ხალხის სამეურნეო ყოფაში. შემდგომ წლებში ქვემო ქართლის შესწავლას აგრძელებდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ მოწყობილი ექსპედიციები.

ნაშრომი დაწერილია ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, რომელიც ველზე იკრიბებოდა 1967—1975 წლებში ქვემო ქართლში ცალკეული მივლინებებისა თუ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობის დროს ჩატარებული მუშაობიას. კვლევის კომპლექსურ ინტენსიური მეთოდის გამოყენებით ნაშრომში აისახა საკვლევი თემის მეურნეობრივ-მატერიალური მხარე, რომელიც ძირითადად XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის სურათის ამსახველია.

საქართველოს მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიული პრობლემების კვლევის აუცილებლობამ, მათ შორის საქართველოს მესაქონლეობის მოავალფეროვანი ფორმების თავისებურებების გარკვევის პრაქტიკულმა საჭიროებამ დღის წესრიგში დააყენა ნაშრომის გამოცემა, რომელიც შესაძლებლობისამებრ შეივსო ახალი მონაცემებით. საკვლევ რეგიონში ფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალა გაანალიზებულია ისტორიულ, არქეოლოგიურ, ბოტანიკურ, ფოლკლორულ და სხვა დარგების მეცნიერული მონაცემების შუქზე, რამაც რიგი ყოფაში დამოწმებული მოვლენის უფრო ღრმა ანალიზისა და განზოგადოების შესაძლებლობა მოგვცა.

---

[8] გ. ჩიტაია. დასახ. ნაშრომი.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ქვემო ქართლის სამეურნეო-გუნეგრივი და ისტორიულ-გეოგრაფიული პიროგეგის მიმოხილვა

ისტორიული წყაროების მიხედვით ქართლი ნაწილდება „ზემო" და „შიდა" ქართლად. ძველვე აქვა მოხსენებული ვახუშტისაც, რაც იმაზე მიუთითებს რომ ტერიტორიულად უნდა არსებულიყო „ქვემო ქართლიც", რომელსაც ვახუშტი „საბარათიანოში" გულისხმობს[1]. ისტორიულად ქვემო ქართლი ორ ტრადიციულ საერისთაოდ იყო დაყოფილი ხუნანისა და სამშვილდის[2]. ვახუშტის მიხედვით ხუნანის (გარდაბანი) საერისთაოში შედიოდა გარდაბანი, ხომხითი, ბერდუჯის მდინარე, ტაშირი და ბამბაკი. გლდანი, მარტყოფი და ლილოც გარდაბნის საერისთაოს ნაწილს შეადგენდნენ. სამშვილდის საერისთაოში შედიოდა საბარათიანო, დბანისხევი, სკვირეთი და თრიალეთი[3]. საერისთაო ქალაქად იხსენიება თავდაპირველად გაჩიანი (მდ. ხრამისა და მაშავერას შესართავთან), შემდეგ სამშვილდე[4].

ტერიტორიულად ქვემო ქართლი აეოთიანებდა ალგეთს, ბამბაკს, ბერდუჯს (ლებედა), დმანისის ხეობას, თრიალეთს, მტკვრის გაღმა მხარეს — ყარაიით, სკვირეთს, ხომხითს, ტაშირს ლორის რაიონით, ქციის ხეობას, ყაიყულს (აბოკი), ყარაბულახს.

ივ. ჯავახიშვილის[5] მიხედვით სტრაბონის ცნობაში აღნიშნული ტერმინი გუგარენა ანუ გუგარეთი ეწოდებოდა ბორჩალოს მხარის სამხრეთ ნაწილს. ქართული გეოგრაფიული ტერმინოლოგიით გუგარეთი ხშირად ქვემო ქართლად, ხოლო რუსეთთან შეერთების შემდეგ —

---

1 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

2 დ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, საკ. დის. თბ., 1965, გვ. 74.

3 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

4 ზ. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი, გარდაბნისა და გაჩიანის საერისთაონი და მათი ნაშთნი, ივერია, 1900, № 15.

5 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919, გვ. 21.

ბორჩალოს მაზრად იწოდებოდა. ამ ტერმინის კეალი შემორჩენილი უნდა იყოს ახლანდელ გეოგრაფიულ სახელ — გუჯარეთში.

ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილს სომეხთა პოლიტიკური ბატონობის სახსოვრად შემორჩა ტერმინი „სომხითი"[6], რომელიც აერთიანებდა ბოლნისისა და დმანისის ხეობებს, ლორეს ველს. „თუნიერ თრიალეთისა, ორთა საერისთაოთა, რამეთუ, ვინათგან ხოსროვანთა შემდგომად დაიპყრეს ბაგრატ მეფისამდე სომხეთის მეფეთა ადგილი ესენი, ვითარცა მოგვითხრობს ცხოვრება, ამისთვს უწო/დ/ეს სომხითი"[7]. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ტერმინი „სომხითი" X საუკუნიდან გვხვდება და მხოლოდ ქართულად და ქართულ მწერლობაში იხმარებოდა[8]. სომხური საისტორიო მწერლობა ამ ქვეყანას „სომხითს" არ უწოდებდა, პირიქით, ქართველთა ველს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს ტერიტორია ძველთაგანვე ქართველებს სჭერიათ[9].

XVIII ს. I მეოთხედში ქვემო ქართლი იხსენება როგორც საბარათაშვილო, საბარათიანო, რადგან უდიდესი ნაწილი ამ პროვინციებისა ეკუთვნოდათ ბარათაშვილებს და მათგან გამოყოფილ ყაფლანიშვილებს[10].

ტერმინს „ქვემო ქართლი" პირველად მოიხსენიებს ერეკლე II 1770 წ. რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ საქართველოს მოკლე მიმოხილვაში „ეს სომხითი და საბარათიანო არის ქვემო ქართლი". ამავე სახელწოდებით იხსენიება იგი გასული საუკუნის ლიტერატურაში[11].

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსეთის იმპერიის დარაიონების მიხედვით, ისტორიულ ქვემო ქართლში შედიოდა თბილისის მაზრის აღმოსავლეთი ნაწილი, ბორჩალოს მაზრა, ყაზახის მაზრის დასავლეთი ნაწილის ერთი ნაკვეთი, ალექსანდრეპოლის მაზრის ჩრდილო ნაწილი, ყარსის ოლქის ჩრდილო ნაწილი, ახალქალაქის მაზრის აღმოსავლეთი ნაწილი, გორის მაზრის სამხრეთი მონაკვეთი. 1880 წ.

---

6 აკად. მ. ბროსეს მოსაზრებით ტერმინი „სომხითი" უნდა წარმოსდგებოდეს სიტყვ: დან „სამხრეთ". „Pescription geograph de la ceorgr par le tsarevitch vakhouscht, publilc par M. Brosset." pp. 141—142.

7 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

8 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

9 პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის კვლევით, იმ მთავარ სახელწოდებათაგან, რომლებითაც სხვადასხვა დროს ქვემო ქართლი ცნობილი იყო ისტორიაში (სომხითი, გაჩიანი, ტაშირი, გუგარეთი, გარდაბანი), წარმოადგენს ამ მხარეში ქართველთა სხვადასხვა ტომების გავრცელების ადგილს. იხ. მისივე. ქვემო ქართლის ზოგადი მნიშვნელობის მქონე გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I—II, თბ., 1923—1924.

10 ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

11 Л. Загурский, Географический и этнографический очерк Тифлисской губернии с картою, СМОТГ, 1870, т. I.

ბორჩალოს მაზრა გამოეყო თბილისის მაზრას ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად. იგი იყოფოდა ოთხ საბოქაულოდ: ლორის, ბორჩალოს, თრიალეთისა და ეკატერინეფელდის. ფართით პირველი ადგილი ეჭირა ლორის საბოქაულოს, შემდეგ თრიალეთისას[12]. ბორჩალოს მაზრის ტერიტორიაში არ შედიოდა დღევანდელი გარდაბნის რაიონი და თეთრიწყაროს რაიონის უმეტესი ნაწილი. სამაგიეროდ იგი აერთიანებდა ლორეს ვაკეს ალავერდითა და ვორონცოვკით, რომლებიც ამჟამად სომხეთის სსრ საზღვრებში იმყოფება. მაზრაში ითვლებოდა 256 სოფელი, ადმინისტრაციული ცენტრით — შულავერი.

თანამედროვე ქვემო ქართლი აერთიანებს მარნეულის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, დმანისისა და წალკის რაიონებს (საერთო ფართობი 5192 კვ. კმ). გეოგრაფიულად ჩრდილოეთიდან საზღვრავს თბილისის, მცხეთის, ცასპისა და გორის რაიონები. აღმოსავლეთიდან — საგარეჯოს რაიონი, სამხრეთით მისი საზღვარი რესპუბლიკის საზღვარს ემთხვევა. ქვემო ქართლის ტერიტორია მოიცავს ქვემო ქართლის ვაკის დიდ ნაწილს, წალკა-დმანისის ზეგანსა და მის აღმოსავლეთ ფერდობებს[13].

ქვემო ქართლის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მდიდარმა ბუნებრივმა საფარმა განსაზღვრა მხარის მეურნეობრივი პროფილი და კარგი წანამძღვრები შექმნა მისი ეკონომიკურ დაწინაურებისათვის. გეოგრაფიულად კარგად გამოკვეთილი, ეკონომიურადაც ძლიერ ერთეულს წარმოადგენდა. ნოყიერი ველები მიწათმოქმედების განვითარებას უწყობდა ხელს, მაღალმთიანი ალპური ზონა — მეცხოველეობას.

ქვემო ქართლის რელიეფი საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. აქ წარმოდგენილია ვაკეები, მთის ვაკეები, ქვაბულები, მდინარეული ტერასები, მდინარეთა ხეობები, მთის ფერდობები.

გეოგრაფიული და გეომორფოლოგიური პირობები თავისებურ გავლენას ახდენს ქვემო ქართლის კლიმატზე. აქ გამოიყოფა რამდენიმე კლიმატური ზონა: მ შ რ ა ლ ი, ზღვის დონიდან 500 მ-მდე. წლიური ტემპერატურა საშუალოდ 11,5—13°-მდე მერყეობს. ხელშემწყობია მებაღეობის, მევენახეობის განვითარებისათვის. ს უ ბ ტ რ ო პ ი კ უ ლ ი,

---

12 ბორჩალოს მაზრა, ივერია, 1890, № 244.

13 ქვემო ქართლის ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა ეყრდნობა შემდეგ ლიტერატურას: ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1958; გ. გ ე ხ ტ მ ა ნ ი, საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, თბ., 1926; ლ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1981; მ. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ ნიადაგები, თბ., 1966; ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები; VIII, 1957; IX, 1959. საქართველოს აღმოსავლეთ-ცენტრალური ეკონომიკური რაიონი, ქვემო ქართლის ქვერაიონი, თბ., 1970.

ზღვის დონიდან 500—800მ-მდე. წლიური ტემპერატურა 10—12°-ის ფარგლებში მერყეობს. ამ ზონის კლიმატი ხელსაყრელია ხორბლის, სიმინდის, აგრეთვე მეხილეობისა და მეღვინეობის განვითარებისათვის. ზ ო მ ი ე რ ა დ ნ ო ტ ი ო, — ზღვის დონიდან 100—1700 მ სიმაღლემდე. წლიური ტემპერატურა 6—8°-მდე მერყეობს. იგი ძირითადად დმანისია და წალკის ვაკეებს მოიცავს. მ ა ღ ა ლ ი მ თ ი ს კ ლ ი მ ა ტ ი, იგი კულტურული მცენარეულობის გავრცელებისათვის ნაკლებ ხელსაყრელია, სამაგიეროდ სათიბ-საძოვრების დიდი მასივები მესაქონლეობის განვითარების ბაზას წარმოადგენს.

ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია ნიადაგსაფარი, რომელიც რელიეფური, კლიმატური და ჰიდროგრაფიული რეჟიმის გავლენით მრავალფეროვნებით ხასიათდება. დაბლობშია შავმიწა და მუქი წაბლისფერი ნიადაგები. აქ არის თავმოყრილი სახნავი მიწების ძირითადი ფონდი. მდინარეების სანაპიროებზე გავრცელებული დამლაშებული ალვიური ნიადაგები სათიბ-საძოვრებადაა გამოყენებული. სახეხვეობით შეტ გავრცელებას პოულობს ტყის ყომრალი ნიადაგები, მაღალმთიან ზონაში — მთა-მდელოს ნიადაგები.

ქვემო ქართლის ბუნებრივ სიმდიდრეებს შორის დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება მდინარეებს. მის ტერიტორიას კვეთავს მდინარეები მტკვარი, ხრამი, დებედა, მაშავერა, ალგეთი და სხვ., რომლებიც გამოიყენება როგორც ჰიდროენერგეტიკული, ასევე ირიგაციული მიზნებისთვის.

კლიმატმა და რელიეფის სირთულემ განსაზღვრა მცენარეული საფარის მრავალფეროვნებაც. ქვემო ქართლის ვაკეზე განვითარებულია ეროიანი და აბზინდიან-ეროიანი ველები. რომლებიც კარგადაა გამოკვეთილი მდ. მტკვრის ორივე მხარეს, მარნეულის რაიონში და გარდაბნის ვაკის აღმოსავლეთ ნაწილში. იგი გამოყენებულია სათიბ-საძოვრებად და ამავე დროს საზამთრო საძოვარსაც წარმოადგენს. მდ. ხრამისა და ალგეთის ქვემო წელში მდებარე აბზინდიან-ეროიანი ველები მნიშვნელოვანია როგორც საზამთრო საძოვარი. მაგალითად, იალღუჯის აბზინდიანი ველი ძველთაგანვე იყო გამოყენებული მესაქონლეობისათვის. ქვემო ქართლში დიდი ადგილი უჭირავს ჯაგ-ეკლიან და მთის ველებს, რომელიც შედგენილია სუბალპების ბალახეულობისაგან. ალპური მცენარეულობა შედარებით მცირედაა წარმოდგენილი თრიალეთის, სომსარისა და ჯავახეთის ქედებზე.

ქვემო ქართლის მთის ველთა და მდელოთა ბალახეული მცენარეულობა ძვირფას ბაზას წარმოადგენს მესაქონლეობის განვითარებისათვის. აქ სათიბ-საძოვრებს 218172 ჰექტარი ფართობი უკავია, რაც

ქვემო ქართლის მთელი ტერიტორიის 37,3%-ს შეადგენს (საქართველოს მთელი სათიბ-საძოვრების 12,8%-ს). საძოვრების ფართობით ქვემო ქართლი წინ უსწრებს შიდა ქართლისა და კახეთის რაიონებს. სათიბ-საძოვრებით უფრო მდიდარია დმანისის, წალკის, შემდგომ მარნეულისა და თეთრიწყაროს რაიონები. ნოყიერი ბალახეულობა, წყლების სიუხვე, მისადგომად კარგი გზები დიდად ზრდის ქართლის სათიბ-საძოვრების ღირებულებას.

ქვემო ქართლში სამიწათმოქმედო კულტურის სიძველეზე ხელოვნური რწყვის რთული სისტემაც მიუთითებს. სარწყავად გამოყენებული იყო მდინარეები: ალგეთი, ხრამი, მაშავერა და სხვ. ხრამის ხეობებში ძირითადად წყაროებს იყენებდნენ სარწყავად. ვახუშტის მითითებით „ველთა შინა ორა იყო ნაყოფი უწყლობით", რის გამოც მეფე ვახტანგ VI-ს გაუყვანია მდინარე ხრამის წყალი სოფ. არუხლოდან სპეციალურად გაჭრილ რუში და მოურწყავს ველი. ხუნანის ველისთვის კი „გაიტანა რე ქიისა ნახიდურის ბოლოდამ და აღაშენა დაბნები"[14].

თანამედროვე პირობებში მიწათმოქმედებას ქვემო ქართლში წამყვანი როლი ენიჭება. სახნავად ყველაზე უზრუნველყოფილია მარნეულის რაიონი, ყველაზე ნაკლებად — დმანისის რაიონი. მარცვლეული კულტურებიდან ამჟამად ფართო გავრცელება აქვს ქერს, ხორბალს, ჭვავს. გარკვეული პერიოდიდან საგანგებო მნიშვნელობა მოიპოვა სიმინდმაც. ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია თამბაქო, მზესუმზირა და სხვ. გავრცელებულია კარტოფილის მეურნეობა.

ისტორიულად ქვემო ქართლი სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს სხვა კუთხეებთან. „ტფილისი ძირითადად სამხრეთითგან, ოსეთი-ბორჩალოთგან შემოსულ სურსათით იკვებებოდა"[15]. ამჟამადაც ქვემო ქართლს წამყვანი როლი ენიჭება სამრეწველო ცენტრების (რუსთავი, თბილისი) ბოსტნეულ-ბაღჩეულის კულტურებით მომარაგებაში.

ქვემო ქართლის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეფეტვეობაც. ფენახები ძირითადად გაშენებულია გარდაბან-მარნეულის ველზე, ნაწილობრივ კი თეთრიწყაროს რაიონში.

მნიშვნელოვნად განვითარებული მიწათმოქმედების გვერდით ქვემო ქართლში მეცხოველეობაც ხანგრძლივი ტრადიციებით არის წარმოდგენილი. ნაყოფიერი ბალახეულობით მდიდარი ალპური საძოვრები და მდ. ხრამისა და მტკვრის ძველთაგანვე ცნობილი საზამთრო სა-

---

[14] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 307, 313.

[15] ი ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

ძოვრები ყოველგვარ პირობებს ქმნიდნენ მესაქონლეობის განვითარებისათვის.

მესაქონლეობა წარმოდგენილი ყოფილა ყველა „სახის პირუტყვით ცხვარი, ძროხა, კანბეჩი, ცხენი, ვირი, თხა მრავალნი იშობიან", „თვნიერ აქლემისა პირუტყვნი მრავალნი" და სხვ.[16].

ქვემო ქართლში მესაქონლეობას განსაკუთრებით დაწინაურებული სახე მიუღია XIX საუკუნის შუა ხანებიდან. ამ პერიოდში რაციონალურად იქნა ათვისებული ქვემო ქართლის სათიბ-საძოვრები. თრიალეთის ნაყოფიერმა სუბალპურმა საძოვრებმა განაპირობა კავკასიაში რძის მრეწველობის ახალი დარგის — შვეიცარიული ყველის წარმოების შექმნა, რომელიც მთლიანად უცხოელმა მრეწველებმა ჩაიგდეს ხელში (კუჩენბახი, ამეტერი, ნიდეკერი და სხვ.).

ქვემო ქართლის ეკონომიკაში წინა ადგილზე დგას მსხვილფეხა მესაქონლეობა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა რაიონების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად (პროცენტული ზომით): გარდაბან-მარნეულის რაიონებზე მოდის საერთო სულადობის 29,0%, ბოლნის-თეთრიწყაროზე — 30,2%, წალკა-დმანისზე — 40,8%. მეორე ადგილზე დგას წვრილფეხა რქიანი პირუტყვის მოშენება. ცხვრის ჯიშებიდან გავრცელებულია ნახევრად უხეშმატყლიანი ადგილობრივი ცხვარი და უხეშმატყლიანი თუშური ცხვარი. მეცხვარეობა ქვემო ქართლში ძირითადად სახორცე-სამატყლე მიმართულებით ვითარდება.

ქვემო ქართლი მარტო სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობით კი არ იყო დაკავშირებული სხვა კუთხეებთან, არამედ სამხედრო თვალსაზრისითაც. მის ტერიტორიაზე გადიოდა საქართველოს ერთ-ერთი მთავარი თავდაცვითი ხაზი „სამხრეთის დიდი შარაგზა", სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მომავალი მტრის ურდოთა მოსაგერიებლად. საუკუნეთა მანძილზე ქვემო ქართლი პირნათლად ასრულებდა სამხრეთი კარიბჭის მოვალეობას და მამაცურად უმკლავდებოდა უცხო თავდამსხმელთა შემოსევებს. მის ტერიტორიაზე მთელი სიმძიმით გადაიარა არაბების, თურქ-სელჯუკების, სპარსელების, ყიზილბაშების შემოსევებმა, რომელსაც მუდმივ ერთოდა ლეკთა წვრილ-წვრილი და განუწყვეტელი თარეში. ამის შედეგად ერთ დროს მჭიდროდ დასახლებულ, აყვავებულ მხარეში მომრავლდა ნასახლარები, მიწის პირიდან ამოძირკვის ბევრი ქართული სოფელი, რომელთა არსებობაზე დღეს მხოლოდ ტოპონიმები და ისტორიული წყაროები მიგვანიშნებენ. XVIII საუკუნეში ქვემო ქართლის მოსახლეობა ისე იყო შეთხელებული, რომ

---

[16] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34—35.

დიდ სოფლებზე თერთმეტი კომლილა თუ მოდიოდა, უმრავლესობაში სამს ან ხუთს არ აღემატებოდა[17].

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მხრივ საქართველოს არც ერთ კუთხეში არ ვხვდებით ისეთ მრავალფეროვნებას, როგორც ქვემო ქართლში. აღნიშნული გარემოება ამ კუთხის ბედუკუღმართობაში უნდა ვეძიოთ. მაჰმადიანი მფლობელები, რომლებიც მოხვდნენ ქვემო ქართლში, ცდილობდნენ აქ ადგილობრივი მეურნეობის მოშლას და ამ მიზნით მასიურად ასახლებდნენ უცხო ტომთა წარმომადგენლებს.

ქვემო ქართლის დაცარიელებული ადგილების შესავსებად საქართველოს მეფეებიც იძულებულნი ხდებოდნენ სხვა ეროვნების ხალხები ჩაესახლებინათ. ერეკლე II-მ, შემდეგ გიორგი XII-მ ბოლნისისა და მაშავერას ხეობაში ყარაბაღიდან წამოსული სომხები დაასახლა, ალავერდისა და ახტალის სპილენძის საბადოებზე ხელოსანი ბერძნები მოიწვია. მეფის რუსეთიც თავისი ექსპანსიური ამოცანების განსახორციელებლად ხელს უწყობდა ამიერკავკასიის ინტენსიურ კოლონიზაციას და მასიურად ასახლებდა აქ სხვადასხვა ეროვნების ხალხებს სომხებს, ბერძნებს, რუსებსა და გერმანელებს.

სომხების ჩამოსახლებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში გარეშე მტრისაგან შევიწროებული სომხები თავშესაფარს საქართველოს ტერიტორიაზე პოულობდნენ და განსაკუთრებით მათ საზღვრებთან ახლო მდებარე ტერიტორიებზე სახლდებოდნენ. საქართველოს მეფეებიც სავაჭრო მრეწველობის განვითარების მიზნით, მასიურად ასახლებდნენ სომეხთა ოჯახებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: XVII საუკუნეში, როცა სპარსეთის და ოსმალეთის შემოტევებმა მეტისმეტად შეავიწროვეს სომხეთი, დიდი კოლონადა ჩამოსახლდა საქართველოში. ამან ფართო გაქანება მიიღო ვორონცოვ-დაშკოვის ხელისუფლების დროსაც.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, მცხოვრები სომხების ერთი ნაწილი მოსახლეობის ძველ ფენას განეკუთვნება (სამშვილდის მოსახლეობა), მეორე ჩამოსახლებულია გასულ საუკუნეში ან გადმოსულები არიან საქართველოს სხვა რაიონებიდან.

1829—1831 წწ. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, გენერალ პასკევიჩის ინიციატივით სომხებისა და ბერძნების დიდი ჯგუფი ჩამოსახლდა ამიერკავკასიაში[18].

---

17 ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII ს. I ნახევარში, თბ., 1935, გვ. 237.

18 ვ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. I, 1940, გვ. 235.

წალკის ტერიტორიაზე ქართველთა 16 ნამოსახლარზე დასახლეს ოსმალთა ქვეშევრდომობისაგან გათავისუფლებული ბერძენ კოლონისტთა შთამომავლობა. ურუმობა[19], სოფლებში: წინწყარო, ზემო ახალშენი, რეხა, ბეშთაშენი. წალკაში ბერძნებთან ერთად ჩასახლეს ქურთები და ბოშები. სომხები კი — ახალციხის, ბოგდანოვკის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრიწყაროს ტერიტორიებზე.

1818 წლიდან ჩამოსახლეს გერმანელი კოლონისტები. სულ 486 ოჯახი — თბილისის მახლობლად, მარნეულ-ბოლნისის რაიონებსა და წალკაში.

რუსი მოსახლეობის ჩასახლება პირველად საქართველოში დაბანაკებული ჯარიდან გამოსული ბეგარამოხდილი ჯარისკაცებით დაიწყო. შემდეგ დაემატნენ რუსეთიდან გამოდევნილი სხვადასხვა რელიგიური სექტის მიმდევრები „რასკოლნიკები", „დუხობორები", „მოლოკნები" და სხვ. „პოსელენცები" რუსეთიდან იძულების წესით ჩამოასახლეს. ისინი უმეტესად სახლდებოდნენ თეთრიწყაროს, ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში. შექმნეს ახალი სოფლები: „ივანოვკა", „ვორონცოვკა" და სხვ.

ქვემო ქართლის მოსახლეობა წარმოადგენდა სხვადასხვა ეროვნების ხალხების მთელ კალეიდოსკოპს, რომლებიც მშვიდად ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით მცირე სივრცეზე 45 საზოგადოებაში გაერთიანებული[20]. თითოეულმა საზოგადოებამ ქვემო ქართლში შეინარჩუნა თავისი ენა, სარწმუნოება, ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაცია არ ხდებოდა. შექმნეს ადგილობრივი მოსახლეობიდან იზოლირებული მეურნეობა. სომხები მისდევდნენ ვაჭრობას, ხელოსნობას, აზერბაიჯანელები — მომთაბარე მესაქონლეობას, რუსები — მებოსტნეობას, ბერძნები ითვლებოდნენ საუკეთესო ქვის მთლელებად.

აბორიგენი ქართული მოსახლეობა ქვემო ქართლში უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი, რაც ამ კუთხის გაჩანაგება-განადგურების კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია. დაუსრულებელ ომიან-

---

19 გ. ჩიტაიამ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ურუმების შემადგენლობის საკითხს, სადაც გაარკვია, რომ ტერმინი „ურუმი" კონფესიონალური წარმოშობისაა. იგი მოიცავს ძველი ქართული პროვინციებიდან გადმოსულ მოსახლეობას — ვაუშიშელებს, ფასიანელებს და სხვ. (გ. ჩიტაია. თრიალეთის ეთნიკური შემადგენლობის საკითხისათვის, ხელნაწერი, 1952).

შემდგომ პერიოდში წალკელ ურუმთა ყოფა შეისწავლეს და სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნეს ეთნოგრაფებმა თ. ჩიქოვანმა, ლ. ფეშაევამ და ა. სიხარულიძემ.

20 А. Аргутинский. Колонисты и туземцы Борчалинского уезда, „Новое обозрение", 1894, № 3720—22.

ნობას შედეგად მოსდევდა ადგილობრივი მოსახლეობის მასიური ამოწყვეტა-განადგურება. გადარჩენილთა მრავალი თაობა თავშესაფარის საძებნელად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გარბოდა. XIX საუკუნეში საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებამ მოჰყვა ქვემო ქართლიდან ქართველ მემამულე-თავადთა ამოგდებაც. ისინი ჰყიდნენ მამაპაპეულ ადგილებს, რომელსაც ჩამოსული ვაჭრები და კოლონისტები იძენდნენ.

ქვემო ქართლის გაუკაცრიელების ნათელი მაგალითია თეთრიწყაროს რაიონის წარსული. ვახუშტის მიერ 1721 წლის აღწერით თეთრიწყაროს რაიონში დადასტურებულია 186 სოფელი. აქედან სრულად გამქრალია 124, გადარჩენილა მხოლოდ 62 სოფელი, სადაც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სახლდებიან ქართველი მთიულები და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთაც სოფლებს შეუნარჩუნეს ძველი ისტორიული სახელები. ამათ გვერდით გაჩნდა კიდევ ახალი სოფლები, ახალი სახელებით. „საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფის“ მიხედვით (1966 წ. გამოცემა), თეთრიწყაროს რაიონი წარმოდგენილია 83 სოფლით, აქედან ქართული—31-ია, დანარჩენი დასახლებულია არაქართული მოსახლეობით (სომხები, ოსები, რუსები და სხვ.). რაიონის მთიანეთში ცხოვრობენ მთიულეთ-გუდამაყრიდან გადმოსული მთიულები[21] (ს. ქსოვრეთი, ვაკე, გუდარეხი და სხვ.). უკანასკნელ პერიოდში ჩამოასახლეს ზემო რაჭიდან და ჯავახეთიდან (სოფ. მაწევანი, მენქალისი და სხვ.).

ანალოგიური მდგომარეობა დასტურდება ბოლნისის რაიონში. აქ ჩამოსახლებულია ჯავახები, რაჭველები, იმერლები. მაგალითად, სოფ. ქვეშში ტიპიურ სურათს ვხედავთ: სოფლის ტერიტორიაზე სახლობენ ადგილობრივი მაცხოვრებლები (ურუმაშვილი, ბესალაშვილი, გოგებაშვილი, აპრესოვი, აკოფაშვილი და სხვა), სოფლის გარეთ, გზის პირას —1952 წელს ჩამოსახლებული მოსახლეობა იმერეთიდან და ჯავახეთიდან. ამავე წლებში ქართული მოსახლეობა ჩამოსახლებული იქნა მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში[23].

---

21 მთიულების შესახებ ცნობა მოეპოვება ჰუგო შუხარტს, იხ. О географии и статистике картвельских (южно-кавказских) языков, СМОМПК, вып. 341. Отд. I, с. 114.

22 ამორიგენული გვარებიდან გ. ჩიტაიას მიერ სოფ. ჩხიკვთაში დადასტურებულია რამაზაშვილი, რომელიც ვახუშტის აღწერილობაში ფარემუზაშვილის ყმადაა მოხსენებული და საგინაშვილი სოფ. მაწევანში (გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან ალბულახის რაიონში, გვ. 207).

23 რაიონების მიხედვით ყველაზე მეტი დასახლებული პუნქტი თეთრიწყაროს რაიონშია, შემდეგ მოდის მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისისა და წალკის რაიონები,

საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით ქვემო ქართლი გამოირჩევა ეთნიკური სიჭრელით, რაც ინტენსიური მიგრაციული პროცესებით უნდა აიხსნას. მკვიდრი მოსახლეობა დაფუძნებულია ძირითადად ალგეთის ხეობაში, სხვა რეგიონებში ქართული მოსახლეობა აღდგა 1950—1970-იან წლებში.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ჩასახლებულმა არა მარტო სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა შეინარჩუნეს თავისი ადათ-წესები და მეურნეობის ხასიათი, არამედ ჯერ კიდევ 30-იან წლებში თეთრიწყაროს რაიონში დასახლებული მთიულები ნაკლებ ბაძავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ძნელად ითვისებდნენ მათ ყოფით ჩვევებს, არ უნათესავდებოდნენ, სარძლო ფშავიდან ან გუდამაყრიდან მოყავდათ, ქალსაც იქ ათხოვებდნენ. ნაკლებ განიცდიდნენ გარეშე გავლენას თავისი ჩაკეტილობის გამო[24]. ანალოგიური მდგომარეობა იყო სომხურ, თათრულ და ბერძნულ მოსახლეობაში.

თანამედროვე პირობებში ქვემო ქართლში შექმნილია მყარი პირობები სხვადასხვა ეროვნების ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის. ამაზე მეტყველებს მთელ რიგ სოფლებში ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი გლეხების კეთილი ურთიერთმეზობლობა.

---

24 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი ბთიან ქართლში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, გვ. 230.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ქვემო ქართლის მესაქონლეობის ფორმების კლასიფიკაცია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე

მესაქონლეობა უძსოვარი დროიდან ადამიანთა არსებობისა და ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების მთავარ საშუალებას წარმოადგენდა. ცხოველთა მოშინაურების, ჯიშების გამოყვანის, მათი სამეურნეო თვისებების განვითარება-ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი როლი ადამიანის სამეურნეო შრომით მოღვაწეობას უნდა ეთამაშა.

კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში „შრომის საშუალების მთავარ როლს ასრულებდა მოშინაურებული, უკვე შრომის მეოხებით გარდაქმნილი, გამოზრდილი ცხოველი“[1]. ცხოველთა მოშინაურებამ გარკვეული როლი ითამაშა თვით ადამიანთა საზოგადოებრივ განვითარებაში, მესაქონლეობის დაწინაურებამ, მეჯოგე ტომების შექმნამ, რასაც შედეგად მოჰყვა შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება, შეცვალა მანამდე არსებული ოჯახური დამოკიდებულება და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოშვა, ადამიანის სამეურნეო კულტურულმა მოღვაწეობამ, რაც საქონლის მოვლა-პატრონობის, საჯიშე-სანაშენე საქმიანობის სხვადასხვა ხერხებსა და მეთოდებში გამოიხატა, ხელი შეუწყო ცხოველთა პროდუქტიულობისა და შრომისუნარიანობის ზრდას. მესაქონლეობის განვითარება თავიდანვე ისეთ ადგილებში გაიშალა, სადაც მეტი საშუალება იყო საკვები ბაზის, ვრცელი მიწის ფართობებისა და საძოვრების გამოყენებისათვის.

უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურმა მონაპოვრებმა თვალნათლივ დაადასტურა ამიერკავკასიის ძველი ცივილიზაციის როლი არა მარტო სამიწათმოქმედო კულტურის, არამედ მესაქონლეობის განვითარებაშიც. საქართველოში ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების ქრონოლოგიურ-ტერიტორიული პრინციპით დახასიათებისას, მკვლევართა უმეტესობა ყველაზე ადრეულად ქვემო ქართლის ძეგლებს მიიჩნევენ, სადაც მიკვლეულია ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამო-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, I, თბ., 1951, გვ. 230.

სახლარები (შულავერის გორა, იმირის გორა, ხრამის დიდი გორა). ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მიკვლეული მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ. წ. ა. IV ათასწლეულის შუა ხანები) და შულავერ-შომუთეფეს კულტურის (ძვ. წ. ფ. V ათასწლეულის) უადრესი ძეგლები მკვლევართ ავარაუდებინებს, რომ აღნიშნული კულტურის საწყისებიც ამავე ტერიტორიაზეა საძიებელი. ნეოლითური ხანის უძველესი მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კომპლექსის აღმოცენება კავკასიაში რაც ქიულთეფეს, შულავერისა და შომუთეფეს კულტურულ ფენებში გარკვეულად ჩანს, ერთხელ კიდევ მიუთითებს ამიერკავკასიაში მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე[2].

კავკასიის მესაქონლეობის განვითარება-გენეზისის გარკვევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეთნოგრაფიულ მონაცემებსაც საქონლის ჯიშების წარმოშობა-გარდაქმნის, მათი სამეურნეო თვისებების ჩამოყალიბების, სამეურნეო-მატერიალური ბაზის წარმოებისა და მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომითი საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული ტრადიციების შესწავლის გზით.

მესაქონლეობის, როგორც მეურნეობის დარგის, ჩამოყალიბება ხანგრძლივ ისტორიულ პროცესებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. იგი ვარაუდობს როგორც ადგილობრივ გეო-კლიმატური და ეკოლოგიური პირობების გავლენას, ისე ხალხის საწარმოო-სამეურნეო ემპირიკის განვითარებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე გამართლებული გამოცდილების გადაცემის და განვითარების უწყვეტ პროცესს წარმოადგენს.

(ქართველმა ხალხმა მეურნეობის ამ სფეროში მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნა და ჩამოაყალიბა მრავალი ტრადიციული ფორმა და სისტემა) რომლებიც განვითარების მრავალმხრივი თავისებურებებით ხასიათდებიან. ქართველი ხალხის კულტურულ-სამე-

---

[2] გ. გობეჯიშვილი, თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები, თეზისები მოხსენებების, თბ., 1959; ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971), თბ. 1975; მათივე, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971; ტ. ჩუბინაშვილი, ლ. ნებიერიძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები, თბ., 1971; ტ. ჩუბინაშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965; ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969; თ. კიღურაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამწარმოებლო კულტურის პერიოდიზაცია, თბ. 1976; გ. ავალიშვილი, ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974; გ. მირცხულავა, სამშვილდე, თბ., 1975; ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976.

ურნეო ტრადიციებთან ერთად მეურნეობის ფორმათა ნაირსახეობას კავკასიის რთული ეკოლოგიური პირობებიც განსაზღვრავდა. კერძოდ, შკვეთრად გამოკვეთილი ვერტიკალური ზონალობა ლოკალურ ტერიტორიალურ უჯრედში მეურნეობის განლაგებისა და განვითარების სპეციფიკურ პირობებს ქმნიდა. ამიტომ (მესაქონლეობასთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული ტრადიციები და სამეურნეო-ეკონომიკური მიმართულებები საქართველოს ყველა კუთხეში ერთნაირად არ გამოვლენილა. ბარის, შუამთისა და მთიანეთის სამეურნეო კომპლექსებში მესაქონლეობა კანონზომიერი განსხვავებულობით წარმოგვიდგება[3].) ეთნოგრაფიული კვლევით შესაძლებელი ხდება ცალკეულ ბუნებრივ-ეკოლოგიურ გარემოში მეურნეობის ამ დარგის სხვადასხვა ფორმებისა და ქვესახეობის ლოკალურ-რეგიონალური განლაგებისა და განვითარების სპეციფიკური მრავალფეროვნების წარმოჩენა[4].

ქვემო ქართლის მესაქონლეობის რეგიონალური კვლევაც, მოცემულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში, სოციალ-ეკონომიკური განვითარების გარკვეულ დონეზე მცხოვრებ ხალხთა მეურნეობისა და კულტურის ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსების თავისებურებათა გამოვლენასა და დადგენას გულისხმობს.

მესაქონლეობის ფორმების შესწავლის თვალსაზრისით, ქვემო ქართლი ერთერთი საინტერესო რეგიონთაგანია. აქ წარმოდგენილია როგორც ქართული სამეურნეო ყოფისათვის სახასიათო, ისე ქართულ-კავკასიური მეურნეობისათვის უცხო, ნომადური მესაქონლეობის ფორმაც, რაც უპირველესად ადგილობრივ გეო-კლიმატურ, სამეურნეო-ეკონომიკურ და კულტურულ-ისტორიულ ვითარებაში პოულობს ახსნას. მეურნეობის ფორმათა გენეზისზე განუწყვეტელ გავლენას

---

3 უკანასკნელ წლებში საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეების მესაქონლეობის ფორმათა სისტემური შესწავლის საფუძველზე, კონკრეტული სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად საქართველოში დადასტურდა მესაქონლეობის ოთხი ძირითადი ფორმა: ალპური, მთა-ბარული, დაბლობისა და მომთაბარული (ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი).

4 საქართველოს მესაქონლეობის ფორმათა შესწავლას ამ ბოლო დროს რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა, სადაც კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით, ახალი მეთოდოლოგიური მიდგომით გამოვლინდა ლოკალური თავისებურებების არსებობა, რომელმაც სათანადო ახსნა-დასაბუთება მოითხოვა. (ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში; ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში კულტურის ელემენტების კლასიფიკაციისა და სამეურნეო-კულტურულ ტიპოლოგიასთან მისი მიმართების საკითხისათვის, კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბ., 1983; ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, რუს. Хозяйственно-культурное и социально-экономические проблемы скотоводства Грузии; მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში; ი. კ ვ ი ტ ა ნ ი. დასახ. ნაშრომი; თ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, მესაქონლეობის ძირითადი ფორმები ქვემო ქართლში, მაცნე, თბილისი, 1974.

ახდენდა უცხო ტომთა შემოსევები, მკვიდრი მოსახლეობის მიგრაცია, სხვადასხვა ეთნიკური ერთეულების ჩასახლება და სხვა. ეს ერთი მხრივ აძნელებდა ტრადიციული სამეურნეო კულტურის განვითარებას, მეორე მხრივ ადგილი ჰქონდა ახალი სამეურნეო ფორმების დამკვიდრებას[5].

სპეციალური კვლევით ქვემო ქართლის ქართულ მოსახლეობაში დადგინდა მესაქონლეობის ორი ძირითადი ფორმა: ბარული//დაბლობის — მთისწინა ზოლში, ალპური—მთიანეთში. ცნობილია რომ გეოგრაფიული გარემო არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მეურნეობის ხასიათს, მის თავისებურებებს, ამიტომ მეურნეობის მთური და ბარული ტიპი საკმაოდ მკვეთრად გამოხატული ნიშნებით ხასიათდება. მაგრამ ეს ერთეულები არ იყვნენ იზოლირებულნი და მათი განვითარება საერთო კანონზომიერებას ემყარება. რაც შეეხება ქვემო ქართლში მცხოვრებ მუსლიმანურ მოსახლეობას, აქ გავრცელებულია ნახევრადმომთაბარული მესაქონლეობის ფორმა.

მესაქონლეობის განვითარებას საკვლევ რეგიონში ხელს უწყობდა როგორც ადგილობრივი ბუნებრივი პირობები, საკვები ბაზის სიუხვე, ისე ეკონომიკურ ცენტრებთან სიახლოვე. ძირითადად ქვემო ქართლი ამარაგებდა თბილისს მესაქონლეობის პროდუქტებით: რძით, ყველით, ხორცით. თანამედროვე პირობებშიც მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის მეურნეობა მრავალდარგოვანია, ამავე მიზეზით მაინც წამყვანი როლი მესაქონლეობას ენიჭება[6].

ქვემო ქართლში ბარული მესაქონლეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, რაც ერთი მხრივ ხელს უწყობდა სათიბ-საძოვრების მოწყობას, მეორე მხრივ აადვილებდა პირუტყვის გამოზამთრებას. ბარული მესაქონლეობის ბაზები ძირითადად სოფელთან ახლო მდებარე საძოვრებით ამოიწურებოდა. მიწათმოქმედების დაწინაურება ძირითადად მუშა-პირუტყვისა და მეკამეჩეობის განვითარებას საჭიროებდა. მეწველი და სხვა დანიშნულების საქონელი შეზღუდული იყო, პროდუქტსაც ძირითადად ადგილობრივი დანიშნულების ხასიათი ჰქონდა.

არქეოლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოთქმული ვარაუდით, მეურნეობის ამ დარგის გენეზისის ძირითად ეტაპზე

---

5 ვ. შამილაძე, მცირე ზომთაბარეობა საქართველოში, კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, V, 1974; მისივე, ზომთაბარეობის აღმოცენებისა და განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ კავკასიაში, კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VII, 1979.

6 ა. ბექაური, თეთრიწყაროს სოფლის მეურნეობა, თბ., 1963, გვ. 6; საქართველოს აღმოსავლეთ ცენტრალური ეკონომიკური რაიონი, ქვემო ქართლის ქვერაიონი, გვ. 10—15.

განვითარებული უნდა ყოფილიყო ბარული მესაქონლეობის ფორმა, რომელსაც ჯერ კიდევ ადრე ნეოლითამდე ნიადაგის ხელოვნური და ბუნებრივი მორწყვის პირობებში ჩაეყარა საფუძველი. ამ მონაცემებთან უახლესი ეთნოგრაფიული მონაცემების განზოგადების შუქზე ნაჩვენებია[7], რომ მთის შინაგანი სამეურნეო-ბუნებრივი რესურსების ათვისების პროცესში ჯერ გამოყენებული იყო სოფლისპირა საძოვრები, სამეურნეო სავარგულები, მოგვიანებით — პარალელური სამეურნეო ბაზები, ბოლოს — მაღალი მთის საზაფხულო ალპური საძოვრები.

განათხარი მასალებით ვლინდება, რომ ქვემო ქართლს ვაკე უძველესი დროიდან ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მესაქონლეობის განვითარებისათვის. ცენტრალურკავკასიური, ანუ შულავერ-შომუთეფეს კულტურის სამეურნეო ბაზას უფრო მესაქონლეობა ქმნის, ვიდრე მიწათმოქმედება. ნამოსახლარი ბორცვების ოსტეოლოგიურ მასალაში უმთავრესად მსხვილფეხა საქონლის ძვლებია წარმოდგენილი, რაც მეძროხეობის დაწინაურებას მოწმობს, რომლის ბაზაზე სავსებით შესაძლებელია მყარი ბინადარი ცხოვრების მოწყობა. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ქვემო ქართლის ვაკეზე ათასწლეულობით უწყვეტი ცხოვრება მაინცდამაინც სარწყავ მიწათმოქმედებაზე კი არა, არამედ მესაქონლეობაზე — მსხვილფეხა საქონლის მოშენებაზე იყო დაფუძნებული[8].

ქვემო ქართლში ბარული მესაქონლეობის თავდაპირველობის ვარაუდის დადებითად გადაჭრას მხარს უჭერს არა მარტო არქეოლოგიური მონაცემები, არამედ მეურნეობის ამ ფორმის ტრადიციული ხასიათიც, რომელიც ნათლად ასახავს აბორიგენი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის თავისებურებებს.

ალპური მესაქონლეობისაგან განსხვავებით, ბარული მესაქონლეობა ორგანულად იყო დაკავშირებული ძირითად საცხოვრებელ ბაზასთან და ადგილობრივ სათიბ-საძოვრებთან. ბარული მესაქონლეობის გავრცელების არეალები უშუალოდ უკავშირდებოდა ადგილობრივ სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებს, ხოლო განვითარების შესაბამებს ძირითადად განაპირობებდა მიწათმოქმედება და საკვები ბაზა.

საკვლევი რეგიონის ბარულ მესაქონლეობაში XIX ბოლოს და XX ს. დასაწყისში წამყვანი როლი მსხვილფეხა მესაქონლეობას ენიჭება, რომლის სამეურნეო დანიშნულება მდგომარეობს მიწათმოქმედების განვითარებასა და საოჯახო წლიური ეკონომიკის წარმოების საქმეში.

---

7 ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 55—56; ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36—38.

8 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—41.

მეურნეობის მთური ფორმისათვის განსაზღვრულია ალპური მესაქონლეობის ფორმა, რომელიც ძირითადად მაღალმთიან ქვეყნებში განვითარდა და მტკიცედ დაუკავშირდა ბინადრულ ცხოვრებასა და სამიწათმოქმედო მეურნეობას. მთავარ დამახასიათებელ ნიშნად მიჩნეულია „არკვეულ სიმაღლეზე მდებარე" ალპური მცენარეულობით მდიდარი საზაფხულო საძოვრების და საზამთრო საკვები ბაზის სამეურნეო-გეოგრაფიული ერთიანობა, საქონლისა და მისი მომვლელი პერსონალის პერიოდული მოძრაობა ბარიდან მთისკენ და პირიქით, ალპური მესაქონლეობის სეზონურობა და მისი დამოკიდებული ხასიათი ძირითად სამეურნეო ბაზასთან. მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე მთური ინტენსიური მემინდვრეობის დაქვემდებარებული ხასიათი. საქართველოს მთიანეთში ალპური მესაქონლეობა (აჭარა, ფშავ-ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, სვანეთი, რაჭა, კავკასიის სხვა მხარეები: ინგუშეთი, ჩაჩნეთი, ოსეთი, ბალყარეთი[9]) წარმოდგენილია მესაქონლეობა-მიწათმოქმედების შერწყმულ, ვერტიკალურ-ზონალურ ჭრილში.

მომთაბარეობა დამახასიათებელი იყო მხოლოდ საქართველოში ჩამოსახლებულ თუ სხვადასხვა პერიოდებში შემოვრილი ნომადური ტომებისათვის, რომელიც დამაგრდნენ კავკასიაში ცალკე ეთნოსოციალური უჯრედების სახით. ამიერკავკასიაში ველის მომთაბარეთა ინტენსიური შემოსახლება და მეურნეობის მომთაბარული ტიპის ჩამოყალიბება, რომელიც ადრეული შუასაუკუნეებიდან დაიწყო, საბოლოოდ გვიანფეოდალურ ეპოქაში დასრულდა. საქართველოს გეოგრაფიულ პირობებთან შეფარდებით ველის მომთაბარეობამ ტრანსფორმაცია განიცადა და ვერტიკალური ზონალური მომთაბარეობით შეიცვალა[10].

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები მომთაბარე ტომები ისტორიული წყაროების მიხედვით ცნობილია „ელის" სახელწოდებით[11]. „ელის" დასახლების შესახებ საქართველოში არსებობს ვახუშტის ორი ცნობა, რომელიც XVII საუკუნის 10—30-იან წლებს მიეკუთნება. „ოდეს მოუხვნა შაჰ-აბას მეფე გიორგის, მოიყვანა ელნი ბორჩალუ, დასხნა აქა და ამიერ ეწოდა ბორჩალუ"[12]. მეორე ცნობის მიხედვით „ნახიდურს ქვევით ქციის ამიერ-იმიერ კიდეს სახლობენ

---

9 ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი; მ. ქანთარია, ყაბარდოს სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1982, გვ. 26.

10 ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

11 „el"-თურქული სიტყვაა, ნიშნავს ტომს, ხალხს, ქვეყანას, მხარეს, თურქთა მომთაბარე ტომებს. აზერბაიჯანულად — ტომი.

12 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

ელნი მამადნი, მოხარკენი და მოლაშქრენი მეფისანი..., რომელი დასხნა შაჰ სეფიმ ალავარს, ქვეყით ნაჯაბადინამდე და ეკლესია ნაზარამდე"[13].

ამაზე ადრეული ცნობა „ელის" სახლობის შესახებ საქართველოში არ მოიპოვება. შემდეგი პერიოდის ცნობები მოცემულია XVIII საუკუნის I მეოთხედის წყაროებში. „დასტურლამალში"[14] მოხსენებული „ელი", ცხადია, უნდა იყოს შაჰ აბასისა და შაჰ სეფის მიერ დასახელებული „ელის" შთამომავლობა.

„დასტურლამალის" ცნობით „ელი" მოსახლეობდა 76 თაბუნში[15]. ი. ლორთქიფანიძე აღადგენს მხოლოდ 28 თაბუნის ადგილმდებარეობას ალგეთში, ქციის ხეობაში, მტკვრის გაღმა მხარეს, სომხითში, და დმანისის ხეობაში[16]. როგორც ჩანს, „ელი", მისთვის მიჩნეული პირველი ადგილსამყოფელიდან გადასულა სხვა მხარეებშიც[17].

არსებობს კიდევ ერთი სიგელი, სადაც „ელის" საცხოვრისია მინიშნებული. სიგელი მიეკუთვნება გიორგი ერეკლეს ძეს და დათარიღებულია 1792 წლით. „წყალობითა ღვთისათა ჩვენ მემკვიდრემან, გიორგიმ გიბოძეთ ჩვენს რძალს წერეთლის ასულს ქეთევანს ელი ყაიყოლჯელი ბორჩალოში თვის ყიშლაღთა ახლა რომ ლამბა ქვეშენი დგანან ის ადგილი და ლორეს ციხეს გადაღმა ყაიყალჯალი რომ სდგას ის ადგილი, შენთვის პირის სანახავად მოგვირთმევია" (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი, საბუთი 14759).

ცნობილია, რომ თურქული ტომები არაერთხელ შემოჭრილან საქართველოში აქ დამკვიდრების მიზნით: თურქ-სელჯუკები (XI—XII სს.), მონღოლ-თურქები (XIII—XIV სს.), თურქმანები (XIV—XV სს.), ოსმალები, ყიზილბაშები (XV—XVI სს.). XVII საუკუნეში შაჰ-აბასმა დიდი რაოდენობით ჩამოასახლა მომთაბარე ტომები ცენტრალური და სამხრეთი ირანიდან. ეს საქმიანობა შაჰ-აბასის მოშდევნო შაჰებსაც გაუგრძელებიათ. საქართველოში მცხოვრები თურქთა მასები დროთა განმავლობაში ერთი თურქული ელემენტის „თარაქამაჰ" სახელით გაერთიანდნენ[18]. მათ მეტწილ შენარჩუნებული ჰქონდათ ველის მო-

---

13 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

14 დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოცემა, ტფ., 1886.

15 „ელი" დაყოფილი თაბუნებად. თაბუნი ემორჩილებოდა მეფის მოხელეს ან ტომის მეთაურს (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVIII სს., 1968, გვ. 310—311).

16 ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, I—II, გვ. 248.

17 ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

18 А. Д. Ерицов, Экономический быт государственных крестьян казахского уезда Елизаветпольской губернии, МИЭБГКЗК, т, II, 1886, 43.

მთაბარეთათვის დამახასიათებელი სოციალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ის თავისებურებები, რომლებიც მომთაბარული ყოფით იყო გამოწვეული და არსებითად განსხვავდებოდა ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობის მეურნეობისა და ცხოვრების წესისგან[19] მომთაბარე ტომების ჩამოსახლება საქართველოში წარმოებდა, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობის დარღვევის, და, მეორეც, ინტენსიური სამეურნეო ცხოვრების მოშლის მიზნით.

მომთაბარეობა ზიანს აყენებდა არა მარტო ადგილობრივ მეურნეობას, არამედ ეპიდემიის ბუდედაც იყო ქცეული[20]. ქართულ-კავკასიური სინამდვილისათვის მომთაბარული ხასიათის ცხოვრება „ცოლ-შვილით საქონლის ფეხის აყოლა" სრულიად უცხო მოვლენა იყო: „აუარება საქონელი თავისი პატრონებით, ურმებზე დაბარგებული ბარგ-ბარხანით, ცოლ-შვილით და ფრინველით მიემგზავრება საითკენღაც. პირველ ნახვაზედ უეჭველად ასე იფიქრებდი: ეს ხალხი ვიღაცას აუყრია, გამოუდევნია და ეხლა მიდის სადღაც ახალ სამშობლოს საძებნელად... საქართველოს მიდამოებში ასეთი ადგილი არ მოიპოვება, ქართველი ერის ცხოვრებაში ხომ სულ არაა ამისთანა მოვლენა"[21]. ლიტერატურული მონაცემებიდან ჩანს, როგორი მწვავე კონფლიქტი ჰქონდა ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას მომთაბარეებთან, რომელიც უცხო სხეულად ჩანდა ბინადარი მოსახლეობის სამეურნეო ყოფასთან შედარებით[22].

მომთაბარული (ნომადური) მესაქონლეობა საქართველოში ჩაისა-

---

19 საბჭოთა ეთნოგრაფიაში მესაქონლეობასთან დაკავშირებული ზოგადთეორიული ასპექტების ახსნისას მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო რეგონალური კვლევის შედეგებს, კერძოდ საქართველოსა და კავკასიის მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიულ პრობლემებს, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მესაქონლეობის ძირითადი ტიპების დაზუსტებისა და მესაქონლეობის უმთავრესი ფორმებისა და მათი ქვესახეობების სისტემატიკისა და კლასიფიკაციის შემდგომი სრულყოფის საქმეში (იხ. დისკუსია ჟურნ. „ს ო ვ ე ტ ს კ ა ი ა ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ა ს", 1981, № 4; ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე. „ერთხელ კიდევ კავკასიის მესაქონლეობის კლასიფიკაციისა და ტერმინოლოგიის შესახებ," სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბ., 1985).

20 „Кочевание это страшное зло, в нем причина, что Закавказье, несмотря на все меры, применяемые в течении 12 лет не может освободиться от чумы. А. Прокопенко. Чумная эпозиция в Тифлисской губернии в 1911—1912 гг., Закавказский ветеринарный вестник, № 6. 1912.

21 შ. დ ე დ ე ბ რ ი შ ვ ი ლ ი. შინაური საქონლის მოვლა-მოშენება, მოსავალი, 1909, № 15.

22 მ ო მ თ ა ბ ა რ ე ქართულ ლიტერატურაში იხმარება ქართულ-კავკასიური მესაქონლური მეურნეობისათვის სრულიად უცხო მესაქონლეობის ფორმის აღსანიშნ ლ. „Кочевать—вести со своим семейством и хозяйством своим жизнь бродя-

ხა გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში და შესაძჩნევად ჩამორჩა აბორიგენი მოსახლეობის მესაქონლეობის ფორმებ.) საქართველოს ადგილობრივი, ბუნებრივ-კლიმატური და სამეურნეო-ეკონომიური პირობების გავლენით, ადაპტაციამ ადგილობრივ დაწინაურებულ სამეურნეო პირობებთან თავისი შედეგი გამოიღო. დროთა განმავლობაში თათარი მესაქონლეები იძულებულნი ხდებიან მესაქონლური მეურნეობა აწარმოონ ძირითად სამოსახლო ადგილებთან მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ კავშირში. ამაზე მიგვითითებს ვახუშტის ცნობაც „სახლეობენ ელნი ქციამდე ველსა ზედა და სთესენ ყოველსა მარცვალსა და თესლთა ზეითაღწერილთა და მტილოვანთა, სავსენი პირუტყვითაო...“[23]. როგორც ჩანს, ადგილობრივი ზემდგომი ორგანოებიც აიიულებდნენ სამიწათმოქმედო სამუშაოებში ჩაბმას, რადგან „ელის“ დებულებაში დაწესებული ჩანს მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული გადასახადებიც.

ყოველივე ზემოთქმული მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოში მცხოვრები მომთაბარე მესაქონლების მეურნეობის ტიპის დადგენისას. თუ ვისარგებლებთ ლიტერატურული მონაცემებით[24] და ადგილობრივი ეთნოგრაფიული მასალით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრები მუსულმანი მოსახლეობა განეკუთვნება ნახევრადმომთაბარული მეურნეობის ტიპს, რაც გულისხმობს საზამთრო აძოვრების ზონაში დასახლებას და სამიწათმოქმედო ბაზების გაჩენას.

გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში აღმოცენებული მომთაბარული მესაქონლეობა საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკურ პირობებში სა-

---

чую, неоседлую, переходить со стадами с места на место, ради подножного корма, перенося с собой и разнообразное жилье свое, комомтную кибитку, кожанный чум или устраивая себе жилье из жердей коры“ (В. Даль. Толковый словарь живого великорусского языка, С.-Петербург—Москва, 1905, с. 180). Кочевать—переезжать, переходить с места на место со своими жильем и имуществом, вести такой образ жизни. А. П. Ушаков, Толковый словарь русского языка, т. I, М., 1935, с. 1491. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ტერმინი „მომთაბარე“-ხალხი, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის საცხოვრებლად, მოხეტიალე, არამკვიდრი მცხოვრები (ტ. V, თბ., 1959, გვ. 792).

მომთაბარეს სინონიმია მესხემი: საბასთან — მესხემი, რომელი უმკვიდროთა და სხვათა ადგილთა გამოიზრდებოდეს და ადრე წამავალ იყოს (სიტყვის კონა, სახელგამი, 1949, გვ. 228). ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით, მესხემი — ეგინაო კაცია, მწირი და წარმავალი (ქართლი ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 300).

23 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

24 მესაქონლეობის მკვლევარი ი. ანდრონიკოვი საქართველოში მცხოვრებ თა-რაქამანელებს ნახევრადმომთაბარე მესაქონლეების ტიპს განაკუთვნებს, იხ. მისიე, скотоводство в закавказском крае, СМИЭГОГКЗК, т. V, 1888, გვ. 18).

გრძნობლად შეიზღუდა. ქვემო ქართლის გარდა იგი მესხეთ-ჯავახეთისა და ჭოროხ-ილმაკის აუზებში იყო წარმოდგენილი და თავიდანვე ბინადარი ცხოვრების წესზე გადასვლის აშკარა ტენდენციებს ატარებდა, რაც საბოლოოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ დასრულდა.

ბარული მესაქონლეობის ფორმა (გავრცელებული იყო ქვემო ქართლის რაიონების, კერძოდ, თეთრიწყაროს, მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის ბარის ზოლში, ძირითადად ქართულ, სომხურ და რუს მოსახლეობაში.

ბარული მესაქონლეობის განვითარებისათვის აქ ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ქვემო ქართლის ბარის თბილი კლიმატი, სათიბ-საძოვრების სიუხვე. (განვითარებული მიწათმოქმედების პირობებში ბარული მესაქონლეობა ეარაუდობდა საქონლის სეზონურ გადაადგილებას სოფლის შიდა და ახლოს მდებარე საძოვრებზე. გაზაფხულ-ზაფხულის პირობებში საქონელი იმყოფებოდა სოფლის საძოვრებზე, სოფლის მიერ დაქირავებული პირის, მენახირის მეთვალყურეობის ქვეშ. იანვრიდან — საზამთრო სადგომში (გომი).

გომი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ფიქსირებულ ძველ სახლებში მიდგმულია საცხოვრებელ სახლზე. თანამედროვე სახლებში მოთავსებულია საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ან განცალკევებით დგას ეზოში. ამჟამად იგი წარმოდგენილია შედარებით უფრო პატარა მასშტაბში, ვიდრე ძველი ტიპის გომები.

თანამედროვე გომის შიგნითა ინტერიერი უცვლელია: ბაგა, ქვაბ-იატაკი — ზ ღ ვ ა ვ ი, ს ა ნ ე რ წ ყ ა ლ ი, სინათლისათვის — შ უ კ უ მ ი, იგი დაყოფილია საძროხედ, სახბორედ, საცხვრედ.

(საქონლის მოვლა-პატრონობა ოჯახში ძირითადად ქალის მოვალეობას შეადგენდა. მისი საზრუნავი იყო როგორც საქონლის, ისე საქონლის სადგომი ბინის სისუფთავის დაცვა: საქონლის გაბანა, საკვებითა და წყლით უზრუნველყოფა,) გომის დასუფთავება: წუნწუხის ჩამორეცხვა, ნეხვის გატანა.

ქვემო ქართლში საქონლის ბაგური მოვლა-პატრონობა დიდ სიძნელეებთან არ იყო დაკავშირებული, რადგან ხშირად ზამთრის პერიოდში თბილი ამინდები ჭარბობდა, რაც საქონლის მოვლას აადვილებდა. მთხრობელთა გადმოცემით „თუ კარგი ზამთარი დგას, საქონელი სულ ტყეშია, თვითონ შოულობს საჭმელს და თავისით ირჩენს თავს“.

(საქონლის ბაგური მოვლა-პატრონობის ციკლში ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საქონლის საკვები მარაგით უზრუნველყოფა, რათა პირუტყვი თუნდაც გახანგრძლივებული ზამთრის პერიოდშიც საშუალება ჰქონდა შეენარჩუნებინა წველადობა, ხორცი და სამუშაო ძალა.) მოსახლეობა იმარაგებდა თივას, ბზეს, დამატებით საკვებად სიმინდის ფუჩეჩს, ქერს, უგრეხელს, მაგრამ ყველაზე „ყუათიან“ საკვებს

წარმოადგენდა თივა.) ქართველი გლეხის უპირველესი საზრუნავი იყო მაღალხარისხოვანი თივის მომარაგება. ამასთან წარმოდგენილი თიბვის მთელი რიგი პროცესები: ჰ ე ლ ი ს გ ა შ რ ო ბ ა, ჰ ე ლ ი ს ა ყ ე ნ ე ბ ა, დ ა ბ უ ლ უ ლ ე ბ ა, დ ა ძ ი რ ვ ა ტრადიციულად შემოწმებული და გამოცდილი წესების მიხედვით სრულდებოდა.

(ქვემო ქართლში არსებობდა სათიბების ორგვარი სახეობა: სასოფლო და საბატონო. სასოფლო სათიბები სოფლის მიერ იყო განაწილებული ცალკეულ ოჯახებზე) რომელიც შემდომ მემკვიდრეობით გადაეცემოდა. სათიბად მიღებულ ნაკვეთს სოფელში „ნორმას“ უწოდებდნენ. მაგ., ლევანიის ნორმა, მიხაანთ ნორმა და სხვ.

(საბატონო სათიბების მფლობელები ადგილობრივი მებატონეები იყვნენ.) თითოეული გლეხი, რომელიც მებატონისაგან სათიბს იჯარით აიღებდა, ვალდებული იყო გათიბვის შემდეგ ოთხი წილი თივიდან ერთი მებატონისათვის დაეთმო.

ქვემო ქართლის სოფლებს სათიბები უმეტესად სოფელთან ახლოს ჰქონდათ. თეთრიწყაროს რაიონის გლეხებს სათიბები „ბედენზეც“ ჰქონდათ განაწილებული. სათიბებს ერთმანეთისგან არჩევენ სახელწოდების მიხედვით. თეთრიწყაროს რაიონში სოფ. მაწევანი: სიონი, კაკლები, წინწყარო, გომურების თავი; სოფ. ქსოვრეთი: საღირალა, რუსის ადგილი, ბოლო ვაკე; სოფ. კლდეისი: ვეჟანას ველი, ანტონას ველი, თეთრი კლდის ძირი; ბოლნისის რაიონში, სოფ. რატევანი — გრძელმიწები, სომხის თაფა, თელის მიწები, ქარაფის თავი; მარნეულის რაიონი, სოფ. სიონი — ქალაფა, ლამის ხევი, ნაჩეხი... და მრავალი სხვა.

სათიბი ძველი ქართული ტერმინია. გ. მერჩულესთან ვხვდებით „სათიბელი ქუეყანაჲ“. ისტორიულ საბუთებშიც უმეტესად „სათიბი“ გვხვდება[25].

უფრო ზოგადი მნიშვნელობისაა ტერმინი „თივა“. ივ. ჯავახიშვილის კვლევით[26] „თივა“ ძველ ქართულში ნედლ, მოუთიბავ ბალახს ეწოდებოდა, ხოლო მოთიბულ ხმელ ბალახს — ხმელი თივა. საბასთან[27] თივა — მოთიბული ხმელი ბალახის მნიშვნელობით იხმარება. როგორც ჩანს, თივას გათიბული, გამხმარი ბალახის მნიშვნელობა XVII ს-ზე უწინარეს უნდა ჰქონდეს მინიჭებული.

საქართველოში დამოწმებულია თიბვის, თივის გაშრობის, გადაზიდვის და დაბინავების სხვადასხვა ხერხები, განპირობებული გეოგ-

---

25 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფ., 1930, გვ. 139.

26 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 271.

27 ს ო ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ., ტ. IV, გვ. 310

რაფიულ-კლიმატური გარემოს თავისებურებებით[28]. თიბვა ბალახის ცელით ჭრას ეწოდება. თიბავენ უმეტესად მამაკაცები. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დამოწმებულია აგრეთვე ბალახის ნამგლით მოთიბვა — ჯენცვლა[29].

ქვემო ქართლში, იმისათვის, რომ „სათიბად ბალახი მოვიდეს", გაზაფხულზე მინდვრებს დ ა ა ყ ო რ უ ღ ე ბ ი ნ. ნიშნებს ჩაუსვამენ, ქვა-ღორღისაგან გასწმენდნენ და „თვალს დაიჭერენ", რომ საქონელი არ გადავიდეს. ზოგ სოფელში მ ე ყ ო რ უ ღ ე ს//მ ე თ ვ ა ლ ყ უ რ ე ს დაუყენებენ. როცა ბალახს შეატყობენ რომ სათიბად მზად არის, შ ე წ ი თ ლ დ ე ბ ა — დაიწყებენ თიბვას.

ველზე შეკრებილი მასალებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის თითქმის ყველა სოფელში თიბვა იწყებოდა თიბათვის 15—20 რიცხვიდან. თიბვის დაწყების დროდ უფრო გვიანვიან ამინდებს შეარჩევდნენ. თიბვას იწყებდნენ ადრე, მზის ამოსვლამდე. იშვიათად მეზობლებმაც იცოდნენ ერთმანეთის მიხმარება რიგ-რიგობით. საერთოდ კი, ყველა თავისთვის თიბავდა, ჩქარობდა კარგ ამინდებს დაშურებოდა, რომ სათიბი დროზე დაემთავრებინა.

თიბვის დროს იარაღად იხმარებოდა ცელი, ა ხ ვ ე ტ ი ს ა ს ფოცხი და ორთითა. თიბვის დაწყების წინ კაცები ცელებს მოამზადებდნენ სათიბად: გრძემლზე ცელს გ ა ა მ ო კ ვ ე რ ა ვ დ ნ ე ნ//გ ა ა მ ო წ კ ე პ ლ ა ვ დ ნ ე ნ, შემდეგ გალესავდნენ.

გათიბულ ბალახს თეთრიწყაროს რაიონის მთიულები ნ ა მ ხ რ ე ვ ს ეძახიან, ბარის მოსახლეობა ჭ ე ლ ს. ჭელს ერთი-ორი დღით დასტოვებენ გასაშრობად. თივის ხარისხის შენარჩუნება გაშრობაზეა დამოკიდებული. თუ ჭელში თივა კარგად გაშრა და წვიმამ არ მოუსწრო კარგი ხარისხის თივა დგება. გათიბული ბალახი თუ დაინამა „თივას ყუათი ეცვლება".

გაშრობის შემდეგ ჭელს იღებენ. მოაგროვებენ ფოცხით, ორთითებით და ერთ გრძელ ზოლად მოაქუჩებენ. ერთად მოხვეტილ, მოთიბულ ბალახს ქვემო ქართლის ბარში ჭ ე ლ ი ს ა ყ ე ნ ე ბ ა ეწოდება, მთიულებში დ ა გ უ ლ ვ ი ლ ი, ბოლნის-დმანისის რაიონებში ღ ვ ა რ ე უ ლ ი. ამ სამუშაოს ს ა ხ ვ ე ტ ე ლ ზ ე წ ა ს ვ ლ ა ს ან დ ა ღ ვ ა რ ე უ ლ ე ბ ა ს უწოდებენ.

ჭელის მოგროვების შემდეგ თივას დააბულულებენ. ბ უ ლ უ ლ ი სახელდახელოდ ნაგები პატარა ზვინია[30]. იგი უსაროდ იგება. ბულუ-

---

28 ვ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ნ. მ ი ნ დ ა ძ ე, ნამკალ-ნათიბის ერთეულები, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, თბ. 1985.

29 ვ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ნ. მ ი ნ დ ა ძ ე დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

30 საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამოწმებულია თივის ბულულის აღმნიშ-

ლები ხარებით ჩამოაქვთ საკარმიდამო ნაკვეთზე და ზვინავენ//ძირავენ. დ ა ძ ი რ ვ ა აუცილებელი იყო გათიბული ბალახის ბუნებრივი მოვლენებისაგან დასაცავად. ძირის დასადგმელად არჩევდნენ სუფთა ადგილს, ცოტა შემაღლებულს, ქვემოდან წვიმა რომ არ შედგომოდა. თუ ადგილი ფერდობი იყო, ქვემოდან აამაღლებდნენ ფიჩხს, რცხილის, მუხის ტოტებს ჩაუყრიდნენ, ზემოდან ფოთლებს დააყრიდნენ და მერე დადგამდნენ ძ ი რ ს. ძირის დადგმას ჭირდებოდა ორი ან სამი კაცი. ერთი ორთითით ურმიდან თივას უყრიდა, მეორე — აწოდებდა, მესამე — ძირზე იდგა და ტკეპნიდა. ქვევიდან დაძირვის შემდეგ თავს მ ო უ დ გ ა მ დ ნ ე ნ//მ ო უ წ ვ ე რ ა ვ დ ნ ე ნ სამთითით და ჯვარედინად ლ ა ტ ნ ე ბ ს გადაკიდებდნენ ქარს რომ არ გაეფანტა. ასე დადგმულ თივის ზვინს ძ ი რ ი ერქვა. ძირი გვხვდება ორი ფორმის: მრგვალი და გრძელი. თითოეული ძირის აგებას 30—40 ბულული ჭირდებოდა.

იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეს საშუალება არ ჰქონდა ბულულები სახლში გადმოეზიდა, მინდორშივე დადგამდა ჯ ა უ რ ა ს. ჯაურა 7—8 ბულულისაგან იგებოდა (მთხრობელთა გადმოცემით „ჯაურა უფრო ოსებმა იცოდნენ, ჩვენ იშვიათ შემთხვევაში ვდგამდითო“).

ჯაურას ასაგებად თავდაპირველად მოკრიდნენ კ ა პ ი ა ნ ხეს, ჩასვამდნენ მიწაში. ზემოდან დააყრიდნენ ფიჩხს, ფოთლებს, შემდეგ მოთიბულ ბალახს ძირი რომ განივრად ჰქონოდა და წყალს არ გაეფუჭებინა. დაძირავდა ჩვეულებრივ ორი კაცი. დაძირვის შემდეგ დაგრეხილი ბალახით თავს მაგრად მოუკრავდნენ, ს ა თ ა ვ ე ს გაუკეთებდნენ რომ არ დაშლილიყო. გადმოტანისას ჯაურას სარის კაპზე თოკს მოაბამდნენ და თრევით ჩამოიტანდნენ.

თივის შესანახად ადრე გავრცელებული იყო ს ა ბ ძ ე ლ ი, ამჟამად ს ა თ ი ვ ე. სათივე ძირითადად შედის კარ-მიდამოს კომპლექსში და, როგორც წესი, ეზოშია მოთავსებული. იგი კვადრატული ფორმის ნაგებობაა, რომელიც შედგმულია ოთხ ბოძზე. ბოძებად გამოყენებულია მუხის, თელის ან წიფლის ხე. სათივის დასადგმელად ჯერ ამოთხრიან მიწას და ხის ბოძებს ჩასვამენ, ზედ ოთხ ცალ ლ ა ტ ა ნ ს გასდებან, ბოძები რომ შეაერთოს, წვრილ ლატანებსაც დააყრიან და დატკეპნიან. შემდეგ ორი კაცი (ერთი სათივეზე დგას, მეორე ქვემოდან

ვნელი სხვადასხვა ტერმინები: ხევსურეთში ხ ე ლ ნ ა ბ ა-ხ ო ლ ნ ა ბ ი (არხოტი), ს ა ფ ა ნ დ რ ე (ზატილი, მთიულეთი). ს ა წ ი რ ი (ფშავი), ჩ ე ჩ ი ლ ა (თუშეთი), ნ ა ქ უ ჩ ი (ქართლი), რ ა დ ი, კ ე ი რ ტ ი (კახეთი), ბ ა თ ა ნ (რაჭა, სვანეთი), ბ ი ე ი ნ ა (ხევი), დასავლეთ საქართველოში თივის ბულულს „ბუჩქ-ბუჩქად“ აგებულ თივასაც უწოდებენ (მ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ნ. მ ი ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79).

აწვდის) თივას ფენა-ფენა დააწყობენ და ზემოდან ტოლით გადახურავენ.

მთხრობელთა გადმოცემით, კარგი ხარისხის თივად ითვლებოდა ნ ა ჩ ხ ა რ ტ ი ს ა და ყ ა მ ი რ ი ს თივა. მ ა წ ვ ე რ ლ ი ს თივა არ ვარგოდა. თივას ფოთლიანს ამჯობინებენ „ლ ი ხ ი რომელსაც არ ურევია" (მსხვილი ღერო). კარგი ხარისხის თივა ფერად მწვანე უნდა იყოს, არ უნდა იფშვნებოდეს, დაობებული ან ჩახურებული არ უნდა იყოს „თივის საამური სუნი უნდა სდიოდეს".

თივა ითვლებოდა საქონლის ყველაზე უუათიან საკვებად, მოსახლეობა მას რაციონალურად იყენებდა. ბაგაზე საქონელს თავდაპირველად ბზით კვებავდნენ, შუა ზამთრიდან — თივით. მეწველი საქონელი ძირითადად თივაზე ჰყავდათ. საქონელს კვებავდნენ დღეში სამჯერ. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქონლისათვის მარილის დროულ მიწოდებას. მარილი ყოველთვის ეძლეოდა მას საკვების მიწოდების შემდეგ. ზამთარში მარილს ქვებს ჩაუყრიდნენ ბაგაში. მოსახლეობის დაკვირვებით „მარილი რამდენიც არ უნდა მისცე არ სწყენს, მაგრამ ზამთარში ზედმეტი მარილი არ უნდა, ზაფხულში კი, რაც მეტს შეჭამს უკეთესია. საქონელიც ზაფხულში უფრო ეტანება ბალახზე მარილს, ვიდრე ზამთარში. მარილს მიღების შემდეგ საქონელი უფრო მადიანად სძოვს და ხორცსაც კარგად იმატებს. მუშა საქონელს მეტ მარილს ვაძლევთ, ხბოს კვირაში ერთხელ, მაკე ძროხას იშვიათად, რადგან ბევრი მარილი წყალს მოაწყურებს და მუცელზე გაბერავსო". მარილს მესაქონლე სამკურნალოდაც იყენებდა იმ შემთხვევაში, როცა საქონელს რაიმე სენი მოედებოდა; ავადმყოფ საქონელს მარილის ნორმას უმატებდნენ, რადგან იგი მადას უზრდიდა და ავადმყოფობაც იოლად ვეღარ ერეოდა.

გაზაფხულზე, როცა გუთანში გასაყვანად ამზადებდნენ მუშა საქონელს, კვების ნორმა უდიდდებოდა. მის საკვებ რაციონს ემატებოდა თივა და როში (წყლის წისქვილზე მახვილად დაფქვილი სიმინდის ფქვილი ან ქერი ცხელ წყალში აზელილი). როშს გუნდებად შეკრავდნენ და საქონელს ბაგებში ჩაუდებდნენ. ჩვეულებრივ სხვა საქონელთან ერთად კვებავენ მაკე ძროხას, გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ სუფთა თივაზე გადაჰყავთ.

ალპური მესაქონლეობა გავრცელებული ჩანს ქვემო ქართლის მთიანეთის, კერძოდ, თეთრიწყაროს რაიონის ზედა ზონის მოსახლეობაში (თანამედროვე პირობებში თეთრიწყაროს რაიონის მევრნეობა ორ ნაწილად იყოფა: ქვედა (ბარის) ზონისა და ზედა (მთიანი) ზონის მეურნეობად.). ზედა ზონის სოფლები, რომლებიც დასახლებუ-

ლია ძირითადად მთიულეთ-გუდამაყრიდან გადმოსახლებულ მთიულებით, საზაფხულო საძოვრად იყენებს ბედენის მთას[31].

ბედენის მთა მდებარეობს ზღვის დონიდან 1875 მ. სიმაღლეზე, მისი კალთები ხშირტყიანია თხემი კი დაფარულია სუბალპური ბალახეულობით[32]. მთხრობელთა გადმოცემით, „კერძოობის დროს ბედენი ეკუთვნოდა ერთ ბატონს „მირზოოს", რომლისაგანაც სოფლის მოსახლეობა იჯარით იღებდა საძოვრებს. ქირაში აძლევდნენ ოთხ თუმანს ფულად და ერთ ფუთ კარაქს. ბედენზე ადიოდა ერთდროულად 7—8 სოფელი. ყველა სოფელი განლაგდებოდა ცალ-ცალკე. „ვაკის ბედემი", „გუდარეხის ბედემი", „ქსოვრეთის ბედემი" და ა. შ. სოფლებს ასევე განაწილებული ჰქონდათ საძოვრები: ნიში, არინდო, თახთაბულახი, ახალსოფლის, მანგლისის გადასახედი, ყრუქვა. მუხიანი. აბარილები და სხვა.

საზაფხულო საძოვრებზე გასვლის წინ კაცები „ადრეულად" წავიდოდნენ და აგებდნენ „უბირ" (უბრალო) ქოხებს. მაგალითად იქვე ბედენის ტყეში ჭრიდენ და იქვე მორავდნენ. ყველა სოფელს თავისი ადგილი ჰქონდა გამოყოფილი, სადაც ერთ რიგზე ჩადგამდნენ ქოხებს. ქოხს ყველა საკუთრივ აგებდა, იშვიათად ორი ოჯახი ერთი გვარისა ერთ ქოხში შევიდოდა.

ქოხისათვის გვერდი ადგილს შეარჩევდნენ რომ მყუდროდ ყოფილიყო. ამოიღებდნენ საძირკველს ნახევარ მეტრამდე. ქოხის კედლის უკანა პირზე ერთ ბოძს ჩაუსვამდნენ, ერთს — წინ, ზემოდან ერთ თავხეს „პლახს" დაუდებდნენ ისე, რომ სამკუთხედის ფორმა მიეღო. პლახის ძირები ქვაზე ეწყობოდა, თავები — თავხეზე. ზემოდან ბელტით გადახურავდნენ. ქოხს შიგნიდან „საპინეებს" გაუმართავდნენ სამოთხ რიგად, სადაც ქალები პირებით ახალმოწველილ რძეს ჩამოსდგამდნენ.

ამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ მთაზე გადარეკავდნენ საქონელს. საზაფხულო საძოვრებზე მიმავალ საქონელს თან მიყვებოდა წველა-დღვებასთან დაკავშირებული პერსონალი (ქალები, საქონლის მომვლელად დაქირავებული მწყემსები). მამაკაცები რჩებოდნენ სოფლად სამიწათმოქმედო სამუშაოებისათვის — მკა, ლეწვა, ფარკხვა და სხვა. ბედემზე ქალებს თან მიჰქონდათ ყველა აუცილებელი ნივთი თუ ჭურჭელი, რომელიც წველა-დღვებასთან იყო დაკავშირებული[33].

---

31 ბენდერი ვახუშტის მიხედვით, იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

32 გ. გობეჯიშვილი, ბედენის აკლდამა, ძეგლის მეგობარი, 1967, № 12.

33 სანადბე — ხისგან გამოთლილი კოდი ჭოჭიანი//პირმოყვანილი, ტაგანი//საწველელი, ბაკანი ხისგან გამოთლილი პირგანიერი თასი, ხონაი, წიწანი ხის დიდი პატარა ფორმის თეფშები, ტუნკიაი ხაჭოს პარკი, სადღვე-

(საძოვარზე საქონელი ემორჩილებოდა გარკვეულ რეჟიმს: დილით ადრე მ ო უ დ ი ლ ა ვ ე ბ დ ნ ე ნ — გაუშვებდნენ საუზმეზე. მზის ამოსვლის წინ მ ო უ ს ა დ ი ლ ებ ს — საქონელი ამ დროს ბრუნდება ბინაზე, მოწველიდნენ, წყალს დაალევინებდნენ, ცოტა ხანს გააჩერებდნენ და ისევ გაუშვებდნენ საძოვარზე. შუადღისას, როცა დიდი სიცხე ჩამოწვებოდა, საქონელს ს ა დ გ ო მ შ ი (დიდი დაბურული ტყე იყო) შერეკავდნენ. მზის გადასვლის შემდეგ კვლავ გაუშვებდნენ საძოვარზე — ს ა მ ხ ა რ ზ ე.

ხბოებს იქვე ქოხის ახლოს გრილ ტყიან ადგილას შერეკავდნენ, სადაც ნ ო ლ ი//ქ ო რ ფ ა ბალახი იყო. მუშა საქონელს ხვნის დამთავრების შემდეგ ამოიყვანდნენ.

(ღამით საქონელი იდგა ქოხის წინ ბ ა კ შ ი. ხბოებისათვის ცალკე იყო ს ა ხ ბ ო რ ე.

საძოვარზე მოწყობილი იყო ს ა მ ა რ ი ლ ე ე ბ ი — ბრტყელი ქვები მარილის დასაყრელად) დ ა ლ ა თ ბ ე — წყლის დასალევად გამოყვანილი წყარო.

ბოლნისის რაიონის მთელ რიგ სოფლებს ზაფხულობით საქონელი დმანისის საძოვრებზე მიყავდათ; ქაჩალ-გორა, კანკალისი, გიულბულახი, ყარალაჯი, შამბიანი და სხვ.

მარნეულის რაიონის ქართულ სოფლებს — წერაქვს, სიონს — საქონელი მეზობელი სომხეთის სსრ რესპუბლიკის საძოვრებზე გადაჰყავდათ.

(საზაფხულო საძოვრებზე საქონელი რჩებოდა 3 თვე. ამ ხნის განმავლობაში საქონლის მოვლა-პატრონობა ევალებოდა მწყემსს, ხოლო რძის პროდუქტების დამზადება და შენახვა მწველავს. მწველავი საქონელს მიჰყვებოდა ოჯახიდან. თუ ოჯახში ქალების სიმრავლე იყო, საქონელს მხოლოდ ერთი გაჰყვებოდა, დანარჩენები ოჯახში რჩებოდნენ.

საზაფხულო საძოვრებზე უმეტესად ისეთი ოჯახები მიდიოდნენ, ვისაც 5-ზე მეტი ძროხა ჰყავდა. იყო შემთხვევები, როცა ნაკლები საქონლის პატრონებიც (1ან 2) მიდიოდნენ, ამ შემთხვევაში მას მეზობლების საქონელიც მიჰყავდა.) საქონლის მიბარების ამ ფორმას ზ ი ა რ ე ს უწოდებდნენ. „ვაზიარებდით ერთმანეთს საქონელსო“, — ამბობენ მთხრობელები. „ზიარეს“ წაყვანა ხდებოდა შემდეგი პირობით: ყოველი შაბათის ნაწველს ზიარე იღებდა თავისთვის, დანარჩენს აგროვებდა პატრონისათვის. თუ ერბოზე იყო გარიგება, მაშინ 4 კგ ერბოში 3 კგ პატრონს რჩებოდა. (საქონელს, როგორც აღვნიშნეთ, საზაფ-

---

ბელი ვ ა რ ი ა ან თიხის სადღვებელი, საკარაქე კოდი, საყველე კოდი, ნ ა ღ ე ბ ი ს სარეკელი, ქ ი ტ ა და სხვ.

ხულო საძოვრებზე თან მიჰყვებოდა მწყემსიც. მწყემს ქირაობდა სოფელი, ერთ ან ორ კაცს, შეთანხმების მიხედვით. მწყემსებად უმეტესად დგებოდნენ თათრები, რომლებიც ყოველ გაზაფხულზე ჩამოიელიდნენ სოფლებში სამუშაოს საძებრად. სოფელი ცალ-ცალკე უქირავებდა საქონელს — მენახირეს, ხბოებს — მეხბორეს. მეხბორე სოფელშიც ჰყავდათ და მთაშიც მიჰყვებოდათ. საზღაურად აძლევდნენ ს ა კ ვ ი რ ა ო ს — კვირაში ერთხელ დილის რძეს.

მენახირედ ქირაობდნენ უმეტესად ორ კაცს. ერთი მიდიოდა მთაში. მეორე — ბარად რჩებოდა. მორიგება ხდებოდა ექვსი თვით ან ერთი წლით — ა ხ ი ან ს ა ძ ო ვ ა რ ი ერქვა. სოფელს ევალებოდა მენახირისათვის მიეცა ტანსაცმელი, ფეხსამოსი ქ ა ლ ა მ ა ნ დ ი. მორიგებაზე იყო ნატურით გადაეხადათ მისი საზღაური თუ ფულად. თუ ანაზღაურება ნატურით იყო, მაშინ ორ ფუთამდე ხორბალს ან ორ წლიან ხბოს აძლევდნენ. კვება სოფელში მენახირის იყო, მთაში — სოფლის.

მენახირის ვალდებულებას შეადგენდა საქონლის რიგიანად მოვლა, ადრიანად გაყვანა საძოვარზე, შემდეგ კი მორეკვა მოსაწველად, შუადღისას მეხბორეს საქონელი ჩრდილ ადგილებში უნდა გაეყვანა, რომ არ დაესიცხა, მზის გადახვლის შემდეგ კი გამოეყვანა გაშლილ საძოვარზე. მასვე ევალებოდა მარილისა და წყლის მიცემა საქონლისათვის. საღამო ხანს მენახირე პატრონს აბარებდა საქონელს.

მენახირე პასუხს აგებდა საქონლის დასახიჩრებაზე, დაკარგვაზე. თუ საქონელი დაეკარგებოდა, ვალდებული იყო საქონლის ღირებულების „ოთხი წლიდან სამი თვითონ გადაეხადა" მაგალითად. თუ საქონლის ღირებულება იყო 40 მან. 10 მან. პატრონი იხდიდა, 30-ს კი მენახირე.

თუ სოფელი მენახირეს კმაყოფილი დარჩებოდა, მორიგების ვადას უგრძელებდა.

ბწველავების მოვალეობას შეადგენდა ძროხის მოწველა, რძის გადამუშავება და შენახვა.

საძოვარზე ძროხას წველიდნენ „ბაკებში", რომელიც ქოხის წინაა შემოღობილი. ყველა თავ-თავის საქონელს წველიდა.

წველიან ხის საწველებში. მოწველილი რძის არწყვა არ იცოდნენ, არც რაიმე საზომი ჰქონდათ, იტყოდნენ: „ორმა ერთი გაავსო", ე. ი. ერთი საწველავი. მოწველილ რძეს ხის ვარცლებზე დ ა ფ ი ლ ა ვ დ ნ ე ნ. ნალებისაგან ამზადებდნენ კარაქს, დარჩენილი რძიდან ყველს იღებდნენ. დღვებავდნენ დ ა გ ე ბ შ ი//ქ ო ხ ე ბ შ ი, რომელიც რამდენიმე ოჯახს ჰქონდა ერთად აგებული რძის ნაწარმის შესანახად. ზოგჯერ თავიანთი „დაგის" ერთ კუთხეში ჰქონდათ მოწყობილი „რძის საფილავი", დღვებავდნენ ხის ან თიხის სადღვებლებში.

შემოდგომისათვის მწველავებს ეობო და ყველი ჩამოჰქონდათ ბარში. ერბო ჩამოჰქონდათ ხის კასრებით ან გუდებით, ყველი კი გუდებით.

ნეხვ:რადმომთაბარული მესაქონლეობის ფორმა (გავრცელებული იყო მარნეულის რაიონის „ელის", ნაწილობრივ გარდაბნის რაიონის მუსულმანურ მოსახლეობაშიც, რომელიც ოჯახიანად მომთაბარეობდა თოიალეთის საძოვრებზე.

საზაფხულო საძოვრებზე გასვლა დიდი დღესასწაული იყო მუსულმანი მესაქონლის ოჯახში, სადაც აპრილის დასაწყისიდან უკვე შეიმჩნეოდა გამოცოცხლება. ერთმანეთში სტუმრიანობის გაძლიერება, ურთიერთკეთილი სურვილებით გაბსჭვალული ოჯახები ერთმანეთს ეთანხმდებოდნენ ქოხის, საძოვარი ადგილების, გზის მარშრუტის შერჩევაში და ა. შ.

მუსულმანი მესაქონლის მიზნები და ოცნებები, რომელიც მას ესახება საზაფხულო საძოვრებზე გამგზავრებით, კარგად არის ასახული თათრულ ლექსში „საძოვრისა და დაბლობის"[34] გაბაასების სახით, სადაც საძოვარი ნიშნის მოგებით მიმართავს დაბლობს, რომ ხალხი მისკენ მიისწრაფვის; იქ ეძებს თავის ბედნიერების, სიმდიდრისა და ჯანმრთელობის წყაროს.

(საძოვარზე გასასვლელად ირჩევდეენ მაისის შუა რიცხვებს, რადგან ამ დროისათვის თოვლი მთებზე უკვე გამდნარია და ბალახიც ამოსულია. მაგრამ იყო ისეთი შემთხვევები, როცა ზამთრის შიმშილობისაგან აქონელი დავარდნის პირას იყო მისული და პატრონი იძულებული ხდებოდა აპრილის შუა რიცხვებიდანვე გასულიყო სოფლიდან) ამ შემთხვევაში იგი წასასვლელად ირჩევდა ყველაზე შორს მდებარე საძოვარს, რომ მოგვიანებით ჩასულიყო ადგილზე. გზაზე გაჩერებული საქონელი და თათრის ობა[35] მიდიოდნენ ნელა, სვენებ-სვენებით, და აჩანაგებდნენ გზასთან ახლო მდებარე სოფლებს. (საზაფხულო სა-

---

[34] М. Кулиев, Спор Ешлага с изменностью, СМОМПК, вып. XII, 1892.

[35] „ობას" ადგილობრივ უწოდებენ თავშეყრას, ჯგუფს, ლიტერატურული მონაცემებით „ობა" თურქული ტერმინია და ნიშნავს ქეჩისაგან გაკეთებულ კარავს, რომელშიც მომთაბარე ცხოვრობს თავის ოჯახით იხ. Д. Будагов, Сравнительный словарь Турецко-татарских наречий. 1969, т. I, с. 211; Д. Магазаник, Турецко-русский словарь, 1945, с. 315.

3. გბაშვილთან „ობა" — მომთაბარეთა ჩვეულებრივი დაყოფა: „ომახი" და „ობად." (იხ. მახლობელი აღმოსავლეთის სოციალ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, 1969, გვ. 21), საბასთან „ობა" — ულუსთ სადგომი (იხ. სიტყვის კონა, გვ. 263). დ. ჩუბინაშვილთან, თურქ-ულუსის სადგომი ბანაკი (იხ. ქართული ლექსიკონი, გვ. 460).

ძოვრებზე პირველი მიემგზავრებოდნენ უფრო შეძლებული მესაქონლეები, რომელთაც სოფლის დანარჩენი მოსახლეობა მიყვებოდა წინდაწინ გაიგზავნებოდა ცხვარი, რომელსაც „ჩობნებს" (მწყემსებს) გააყოლებდნენ, შემდეგ საქონელი და ხალხი. იყო ასეთი შემთხვევებიც. როცა 1. ცხვარს და საქონელს ერთად უშვებდნენ, ხალხს კი ცალკე. 2. ცხვარს, საქონელსა და ხალხს ცალ-ცალკე, 3. ცხვარი, საქონელი და ხალხი ერთად. მთელი სოფლის ცხვარი იგზავნებოდა ერთად თუ მცირერიცხოვანი იყო, მაშინ ერთ ფარად უშვებდნენ. ცხვარს მწყემსებთან ერთად მიჰყვებოდა ოჯახის უფროსიც, რომელიც საძოვარზე ასვლისა და ცხვარის დაბინავების შემდეგ ცხვარს მწყემსების მეთვალყურეობის ქვეშ სტოვებდა და უკან სოფელში ბრუნდებოდა საქონლისა და ოჯახის გამგზავრების ორგანიზაციის მოსაწყობად. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზების გამო ცხვრის გამგზავრება დაგვიანდებოდა, მაშინ ცხვარს და საქონელს ერთად გაუშვებდნენ.

საქონლის გარეკვა 10 მაისიდან თვის ბოლომდე გრძელდებოდა. საქონელი მიდიოდა არა ერთად და ერთ დროს, არამედ ნაწილ-ნაწილ მაჰლა-მაჰლა. მ ა ჰ ლ ა ერქვა სოფლის უბანს, შემდგომ სოფლის მიერ უბნობრივ გაერთიანებულ საქონელს. რამდენიმე, დაახლოებით რვაათი ოჯახის მიერ გაერთიანებული საქონელი ჰქმნიდა ერთ მაჰლას. სოფელში იქმნებოდა ასეთი რამდენიმე მაჰლა. საძოვარზე ისინი უბნებად ნაწილდებოდნენ და ცალ-ცალკე საძოვრებს იკავებდნენ. თუ „მაჰლა" შედგებოდა 7 ოჯახისაგან. მაშინ მათ ეკავათ 7 „ჰარავა" (ურემი), ჰყავდათ 300 სულამდე ცხვარი; 100 სულამდე მსხვილფეხა, 30 სული აქლემი, 6 ცხენი, 15 სახედარი. საძოვარზე ასვლის შემდეგ იშენებდნენ 2 ალაჩიხს და 5 დაგას[36].

„მაჰლაში" შემავალი ოჯახები ეკონომიურად სხვადასხვა შეძლების წევრებს აერთიანებდა. შეძლებულ „მაჰლას" უფრო მეტი საქონელიც ჰყავდა და უკეთეს საძოვრებს იკავებდა.

საძოვარზე გამგზავრების წინ სოფელში ეწყობოდა კენჭიკურა. კენჭის ამღები რჩებოდა სოფლის ქონების მეთვალყურედ. მას კ ა ბ ო ლ ი (დარაჯი) ერქვა. ზოგი სოფელი მთელ თავის ავლადიდებას 2—3 სახლში მოათავსებდა და იქ დააყენებდა დარაჯებსაც. „მაისის შემდეგ ყარაიაზში სრულებით მიტოვებული ბინებიდა"[37] რჩებოდა. საძოვრებზე ასვლას უნდებოდნენ 15—20 დღე.

ბავშვები და ქალები ურმებზე თავსდებოდნენ, რომელსაც „ჰარაგას" უწოდებდნენ. თუ კარგი დარები იდგა, საქონელს ფეხით მიჰყვე-

---

[36] П. Возняков, Данные по скотоводству в Борчалинском уезде, КСХ, 1894, № 29.

[37] შ. დ ე ღ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, იხ. შინაური საქონლის მოვლა-მოშენება.

ბოდნენ. ღამე ურემში ეძინათ. ავდრიან დარებში „ჰარვას“ ზემოდან „ჩადრს“ უკეთებდნენ (ურმის ჭალებზე გადებულია მოხრილი ხე, რომელზედაც ზემოდან გადაკრულია „ფალასი“ უბრალო ნაჭერი). „ჰარავაში“ ებათ ხარები ან კამეჩები შეძლების მიხედვით, ვისაც ურმები არ ჰქონდა, ბარგი აქლემებით მიჰქონდათ, აქლემს „ტევეს“ უწოდებდნენ. „ჰარავაში“ თათრებს ეწყოთ ყოველნაირი „ხაბა-ხუბა“ (სხვადასხვა ბარგი)[38]. სიღარიბის გამო სურსათი თითქმის სულ არ მიჰქონდათ, სამაგიეროდ სურსათს გზად შემხვედრ სოფლებში იძენდნენ ან იტაცებდნენ.

საზაფხულო საძოვრებზე ჩასვლისას ყველა „მაჰლა“ იკავებდა საძოვრებს: შორია-მაჰლა, კარაბაღ-მაჰლა, ბაღალუჰ-მაჰლა და სხვ. შემდეგ ააგებდნენ საცხოვრებელ ქოხებს, რომლის მასალა თან მიჰქონდათ სოფლიდან. თათარი მესაქონლის საზაფხულო ბინა იყო 2 ტიპის: 1. ალაჩიხი, 2. დაიადაგე[39] (დაგა მარნეულ-ბოლნისის რაიონის ქართულ მოსახლეობაში ეწოდება). დაიას დასადგმელად ორტოტა მარგილებს — „ჩიბუხს“ გამოთლიდნენ. ორ „ჩიბუხს“ ერთმანეთის პირდაპირ დაარჭობდნენ და თავებს ერთმანეთზე ღაზლის ძაფით (მატყლის ძაფი) გადაებამდნენ. ასე 30-მდე ჩიბუხს დაარჭობდნენ ერთ სიგრძეზე. ზემოდან ქეჩებს დააფარებდნენ და იმასაც ღაზლის ძაფით დაამაგრებდნენ ქარს რომ არ აეგლიჯა. მზის მხარეს ღიად დასტოვებდნენ და კარების ნაცვლად ფარდაგს ან ტომარას ჩამოაფარებდნენ. ქოხს გვერდებიდან და უკანა მხრიდან დიდ ქვებს შემოუწყობდნენ.

ალაჩიხი განსხვავებული ნაგებობა იყო. იგი გადაჭიმული იყო 1/5—2/5 მ სიმაღლის ჯოხზე, რომელზედაც დამაგრებული იყო „ფალასი“, მისი ბოლოები მიწაში იყო ჩაფლული. მდიდრებს დაიაც ეკავათ და ალაჩიხიც. ალაჩიხი მდიდრულად, ნოხებით ჰქონდათ გაწყობილი. იგი საძინებლად და სტუმრების მისაღებად იყო განკუთვნილი.

ლიტერატურაში[40] ცნობილია ალაჩიხის ორი სახე — მუხურ და კიუმა. კიუმა გრძელი ფორმისა იყო, მუხური კი ნახევარსფეროსი. ალაჩიხი გაყოფილი იყო ორ ნაწილად, პატარა განკუთვნილი იყო რძის ნაწარმის შესანახად, დიდი კი — საძინებლად.

---

[38] წველა-დღევანდელობისათვის აუცილებელია სპილენძის ჭურჭელი. სარნიში — ჭურჭელი, რაშიც წველიდნენ; კავან—რძის დასაყენებელი ჭურჭელი; თეშთ — ოაზეც აყენებდნენ რძეს ნაღების მოსახდელად; ქიუფე — ქოთანი ერბოს შესანახი; ნეჰრე-ხის სადღვებელი; ტახტა-გაშირ — ხის კოვზი და ა. შ. საძოვარზე აუცილებლად მიჰქონდათ ცხვრის ტყავები, ლებისა და საბნის ნაცვლად.

[39] П. Возианов, დას ხ. ნშრომ., გვ. 32.

[40] М. А. Скибицкий. Карабагские летние пастбища, МУКЛЗПИСК, т. IV, 1899, с. 67.

ალაჩიხი და დაია 10—20 წლის განმავლობაში ძლებდა. საძოვრიდან დაბრუნების დროს მომთაბარეები ალაჩიხის შლიდნენ და უკან მიჰქონდათ სოფლებში.

აღსანიშნავია[41], რომ მომთაბარეები მთაზე ასვლისას ერთ საძოვარზე არ ჩერდებოდნენ და სულ მაღლა-მაღლა მიიწევდნენ ახალი საძოვრებისკენ. ამ ხნის განმავლობაში პირველად დაბალი ზონის ნამყოფ საძოვრებზე ბალახი ასწრებდა ხელმეორედ ამოსვლას, უკან დაბრუნებისას მომთაბარეები ისევ ჩერდებოდნენ აქ ისე, რომ მათ სეზონზე 8—10-ჯერ მაინც უხდებოდათ საცხოვრებლის გადატანა.

ნალაღებზე რძის მეურნეობასთან დაკავშირებული მთელი საქმიანობა ქალის მოვალეობას წარმოადგენდა: წყლის მოტანა, საუმლის გაკეთება, სათბობის მომარაგება, ძროხის მოვლა, ყველ-კარაქის გაკეთება, მატყლის დართვა და ქსოვა და ა. შ. ბავშვები მწყემსავდნენ საქონელს, მამაკაცები უვლიდნენ ცხვარს. რძის პროდუქტებს მომთაბარეები ჰყიდდნენ ან ჩამოჰქონდათ ბარში და ცვლიდნენ მათთვის საჭირო სურსათზე. მამაკაცები ზაფხულის პერიოდში 2—3-ჯერ მაინც ჩამოდიოდნენ ბარში.

აგვისტოს ბოლოს თათარი მესაქონლეები უკან იწყებდნენ დაბრუნებას. მათ ამ მოძრაობას კვლავ მოყვებოდა სოფლების ახლო-მახლო საძოვრების, გზებისა და ტყეების დაუნდობელი ექსპლოატაცია, რაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ამის გამო, ადგილობრივმა მოსახლეობამ რამდენჯერმე წამოაყენა საკითხი მომთაბარეთა ასეთი თავნებობის წინააღმდეგ, 1885 წ. მთავრობამ შემდეგ ღონისძიებას მიმართა[42]. ორგანიზებული ხასიათი რომ მიეცა მომთაბარეთა მოძრაობისათვის, გამოიცა განკარგულება, რომ აპრილის ბოლომდე შეეჩერებინათ მომთაბარეები ადგილზე, რათა შემდეგ ერთდროულად გაეშვათ საძოვრებზე, მაგრამ ამ ღონისძიებამ შედეგი ვერ გამოიღო, რადგან თბილი ამინდების დადგომასთან ერთად მომთაბარეების ცალკეული ურიცხვი ჯგუფები დაიძრა საზაფხულო საძოვრებისაკენ, რომელთა შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

ბარში დაბრუნების შემდეგ ნახევრადმომთაბარე მესაქონლის ოჯახს ელოდა შიმშილი, სიცივე, საქონლის დავარდნა.

ცხვარს „იაღლუჯაზე" გაუშვებდნენ. მსხვილფეხა საქონელს ბარად დასტოვებდნენ. მაგრამ ზამთრის პერიოდში ძალიან უჭირდათ მათი გამოკვება საქონლის საკვების უმარისობის გამო. მთელი ზაფხულის პერიოდში ველად გასული ნახევრადმომთაბარე მესაქონლის ოჯა-

---

[41] А. Д. Ерицов. ЕБГК Казахского уезда Елизаветопольской губернии, МТЭБГКЗК, т. II, 1886. с. 134.

[42] А. Ерицов, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

ხი ვეღარ ახერხებდა მიწათმოქმედების რიგიანად წარმოებას და მის ძირითად საარსებო საშუალებად მხოლოდ მესაქონლეობის პროდუქტების გაცვლა-გაყიდვა რჩებოდა, რაც მათ უზარმაზარ ჯალაბობას ერთ თვესაც ძლივს ჰყოფნიდა: ამიტომ იგი იძულებული ხდებოდა მევახშისაგან (მარნეული, თბილისი) აეღო ვალად ფულადი თანხა ოჯახის გამოსაკვებად ზამთრის პერიოდში, რის დროულად გადახდას ვერ ახერხებდა. მევახშეს კი სარგებელში მიჰქონდა ცოცხალი საქონელი ან მომავალი ზაფხულის მთელ ნაწველში წილს იღებდა. ასე წლითიწლობით გადადიოდა მათი ვალი და მევახშის ხელში ჩაეარდნილები ვეღარც იხსნიდნენ თავს.

როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს, მუსულმანური მოსახლეობის ეს საშინელი გაჭირვებული მდგომარეობა საყოველთაო მსჯელობის საგნად ქცეულა მესაქონლეობის მკვლევრებს შორის, კერძოდ, ხატისოვს[43] პრესაში წამოუყენებია საკითხი მომთაბარეობის ფორმის შეცვლის შესახებ, რამაც შემდგომ წლებშიც ჰპოვა საყოველთაო გამოხმაურება[44].

კავკასიაში ნომადიზმის გენეზისის ისტორიული ძიების შედეგებიდან ჩანს, რომ მომთაბარეობა იმთავითვე წინააღმდეგობაში მოხვდა აბორიგენთა ბინადარ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან[45]. ქვემო ქართლის ადგილობრივი ბარული მესაქონლეობის ფორმას გარკვეული პერიოდის მანძილზე მკაცრად უტევდა მომხდური ტომებისათვის ნიშანდობლივი მომთაბარე მესაქონლეობა. ინტენსიური მიწათმოქმედება და მომთაბარეობა ერთმანეთს ვერ ეგუებოდა, მეურნეობის ამ ორი ფორმის ბრძოლა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, მომთაბარეობა ზიანს აყენებდა სათიბ-სასაძოვრე სისტემას, სახნავ-სათეს ადგილებს, გზებს, იშლებოდა ინტენსიური მიწათმოქმედება. საერთო უკმაყოფილებას იწვევდა თათარ-მესაქონლეების სიზარმაცე სოფლის მეურნეობის წარმოების საქმეში, რაც ქალაქსაც დიდ ზიანს აყენებდა, განსაკუთრებით მოუსავლიანობის წლებში.

XIX საუკუნის დასასრულისათვის ამიერკავკასიის მომთაბარეთა უმრავლესობა ბინადარი ცხოვრების წესსა და ნახევრადმომთაბარულ ყაიდაზე გადადის. ამის მიზეზი უპირველესად უნდა ვეძიოთ ადგილობრივი კულტურული სამეურნეო ტრადიციების მდგრადობაში, საზამთრო საძოვრების შეზღუდულ ხასიათში, რაც იწვევდა მომთაბარეთა

---

[43] А. Хатисов, По поводу вопроса о кочевниках. К, 1870, № 5.

[44] Д. И. Руднев, О кочевом движении в Тифлисской губернии, Тф. 1909, с. 31—41. Его же, Меры к улучшению местного скота в Закавказье, КХ, 1910, № 5.

[45] ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

მუდმივ კავშირს საზამთრო საცხოვრებელთან და სამეურნეო ნაგებობებისა და საზამთრო მარაგის შექმნის საჭიროებას.

როგორც ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს, ზემოაღნიშნული პერიოდიდან შეიმჩნევა მომთაბარეობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ დარღვევები მომთაბარეობის მამაპაპეულ წესებში, რისი გამომწვეული მიზეზიც ადგილობრივ ბუნებრივ-სამეურნეო და ეკონომიკური ცხოვრების გავლენაში უნდა ვეძიოთ. ეს ცვლილებები გამოიხატა შემდეგნაირად: თუ ადრე სამომთაბაროდ წასული ოჯახის უფროსი კაცები ჩამოირბენდნენ ბარში დროებით და შემდეგ ისევ უკან ბრუნდებოდნენ, აღებულ მოსავალს კი ბედის ანაბარა სტოვებდნენ სოფელში, შემდგომ, როცა ამ ნაბიჯით გამოწვეული გაჭირვება იგემეს, ზამთარში, ბარიდან ჩამოსული უკან აღარ ბრუნდება მთაში და ოჯახის უფროსი თვითონ რჩება სოფელში საზამთრო სარჩოს მოსავლელად

ხდებოდა ისიც, რომ მეზობელს გაატანდნენ თავის საქონელს სამომთაბაროდ, თვითონ კი სოფელში რჩებოდნენ მოსავლის ასაღებად ან მხოლოდ ქალებს გაუშვებდნენ ბუჟუმ:ებთან ერთად და სხვა.

შემდგომში ეს მოვლენები განმტკიცდა, რამაც არსებითად შეცვალა კიდეც მომთაბარეთა ყოფა. საღლეესოდ მათი შთამომავლობა გულმოდგინედ მიჰყვეს მიწათმოქმედებას, მევენახეობას, მებაღეობას და დიდ წარმატებებსაც აღწევს ამ საქმეში.

თავი მესამე

მსხვილფეხა საქონლის ეთნოგრაფიული დახასიათება

(სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში კავკასია და, კერძოდ, საქართველო ცხოველთა მოშინაურების და მესაქონლეობის ჩასახვა-განვითარების ერთ-ერთ სავარაუდებელ ცენტრადაა აღიარებული[1]) უკანასკნელი პერიოდის არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა ამიერკავკასიის ძველი ცივილიზაციის როლი ცხოველთა მოშინაურებასა და მესაქონლეობის განვითარებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული ქვემო ქართლშიც. მესაქონლეობა ფართო მასშტაბებით არის წარმოდგენილი ნეოლით-ენეოლითის ხანის შულავერ-შომუთეფეს კულტურაში. ხოლო ფართოდ ცნობილი თრიალეთური მასალა დადებითად წყვეტს ამიერკავკასიაში მსხვილფეხა საქონლის აბორიგენული წარმომავლობის საკითხს და ადგილობრივი კულტურის თვითმყოფადობის სასარგებლოდ მეტყველებს. შულავერ-შომუთეფეს კულტურის სამეურნეო ბაზას მესაქონლეობა ქმნის. ნასახლარ ბორცვებზე აკრეფილ ოსტეოლოგიურ მასალაში მსხვილფეხა საქონლის ძვლები აშკარად ჭარბობს[2], რაც მსხვილფეხა მესაქონლეობის დაწინაურებულ ხასიათზე მიგვითითებს, ქვემო ქართლის ვაკის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობდა ერთი მხრივ სათიბ-საძოვრის მოწყობას, მეორე მხრივ აადვილებდა პირუტყვის გამოზამთრებას, რაც ძველი დროიდანვე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ბარული ტიპის მესაქონლეობის განვითარებისათვის.

თრიალეთის ყორღანულ კულტურაში წარმოდგენილი ოსტეოლოგიური მასალები ახლებურად სვამენ ქართული ჯიშის შინაური პირუტყვის ფორმირების საკითხს[3]. თრიალეთურ სამარხებში აღმოჩენილი

---

[1] Д. Анучин, К древнейшей истории домашних животных в России, Тр. 6-го арх. съезда, вып. IV, 1886.

[2] ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

[3] Б. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тб., 1948; მისვე, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941.

ხარის ოსტეოლოგიური მასალების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის მიხედვით, უფრო მეტ გავრცელებას პოულობდა ტანდიდი ჯიშის ხარები[4], მაგრამ ფეოდალური ეპოქის კულტურულ ფენებში წარმოდგენილია უფრო მცირეტანიანი ჯიშის ხარებიც, რომელიც საქართველოში ცნობილია „კოლხეთის კულტურიდან" (მინგეჩაური, სამთავრო). მისი აზრით, ქართული ბრახიცეროსების წარმოშობა შეიძლება მომდინარეობდეს დასავლურ-ქართული მცირეტანიანი ხარისა და თრიალეთური პრიმიგენიუსის შერევის შედეგად[5], ამავე დროს იგი არ გამორიცხავს ტანდიდი შინაური საქონლის აბორიგენულ წარმომავლობას.

ქართული ბრახიცეროსების შესწავლისას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ქართული მთური საქონლის შესწავლას. ნ. იოსელიანის კრანიოლოგიურ გამოკვლევებს ხევსურული ფერის მასალებზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამიერკავკასიაში მსხვილფეხა საქონლის აბორიგენული წარმომავლობის საკითხის გადასაწყვეტად. იგი ბოლოს ულებს იმ აზრს, რომ თითქოს პრიმიგენიუსი საქართველოში გვიან პერიოდში, ჩრდილოეთის სტეპების ზონიდან და დასავლეთ ევროპიდან იყოს შემოყვანილი[6]. მ. იოსელიანის აზრით, ქართული ძროხეული მერძეულ საქონლად უნდა ჩაითვალოს. მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებად რძის ჭარბი ცხიმიანობა მოჰყავს. ნ. იოსელიანის გამოკვლევებში დასმული იყო არა მარტო შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული საკითხებიც. კერძოდ, ავტორის აზრით, ქართული ბრახიცეროსები მოშენების პირობებში მაღალი წველადობის ჯიშებად განვითარდებიან.

ქართული ბრახიცეროსების მერძეული თვისებების ჩამოყალიბებაზე ბუნებრივი პირობების გარდა, გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის აქტიური სამეურნეო მოღვაწეობაც, რაც ელინდება ჯიშების შერჩევა-გამოყვანის, მოვლა-პატრონობის მრავალფეროვან ხერხებში.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ქვემო ქართლში გავრცელებული მსხვილფეხა საქონლის ჯიშებიდან ბარის ზონაში გავრცელებულია „ქართული"//„ადგილობრივი" საქონელი[7], მთიან ზონაში — „ხევსუ-

---

[4] Н. Бурчак-Абрамович, Древний крупный рогатый скот Триалетского хребта в Цалкинском районе. Труды Естественно-исторического музея им. Г. Зардаби, вып. IX, Баку, 1954.

[5] Н. Бурчак-Абрамович, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

[6] მ. იოსელიანი, ქართული Brachyceros-ების კრანიოლოგიური გამოკვლევა საქ. მუზეუმის მოამბე. ტ. IV, 1927, გვ. 42—43, მისივე, მასალებიხევსურული ფერის ოსტეოლოგიისათვის, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1927, გვ. 74—78.

[7] ქვემო ქართლში გავრცელებული საქონლის ასაკობრივი ტერმინოლოგია იგი-

რული"//„მთიულური" საქონელი, მუსულმანურ მოსახლეობაში — „თარაქამას" საქონელი. „თარაქამას" ჯიშის საქონელი ფართო გავრცელებას პოულობს ქართულ და სომხურ მოსახლეობაშიც. მსხვილფეხა საქონლის კავკასიური ჯიშების კლასიფიკაციისას „თარაქამას" ჯიშის საქონელი გამოყოფილია ცალკე ტიპად და მისი ლოკალური გავრცელების ცენტრად ითვლება ბორჩალოს მაზრა[8]. ლიტერატურული მონაცემებით იგი გავრცელებას პოულობდა ახალქალაქის ჩრდილო ნაწილში და სიღნაღის მაზრაში[9]. და კავკასიაში შემოყვანილი უნდა იყოს თათრებისა და სომხების მიერ სპარსეთიდან და თურქეთიდან[10].

„ქართული" საქონელი ქვემო ქართლში გორისა და ზემო ქართლის სხვა რაიონებიდან გადმოსახლებულ ქართველებს გადმოუყვანიათ XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში. „ხევსურული" საქონლის მოშენება უკავშირდება ხევსურეთიდან და მთიულეთ-გუდამაყრიდან გადმოსახლებულებს, თუმცა როგორც გლეხები აღნიშნავენ, იგი დროთა განმავლობაში „ადგილობრივ" საქონელს შერევია და ამიტომ „გადაჯიშებულ ხევსურულს" უწოდებენ. ქვემო ქართლის მთიანეთის კლიმატურ პირობებს „ხევსურული" ჯიშის ძროხა ყველაზე მეტად შეეგუა, რის გამოც ზედა ზონის კოლმეურნეობებში მის გამრავლებას დღესაც მისდევენ[11].

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, ქვემო ქართლის მოსახლეობა „თარაქამას" მხოლოდ არაქართულ მოსახლეობაში გავრცელებულ საქონელს უწოდებს და მას „სათათრო" საქონლის სახელითაც მოიხსენებს. ამავე დროს, როგორც მისი დახასიათებიდან ჩანს, დროთა განმავლობაში ეს „სათათრო" საქონელი ქვემო ქართლის კლიმატურ პირობებთან საკმაოდ კარგად შეგუებულა.

„აქ სათათრო საქონელია მეტი წილი, — აღნიშნავენ მთხრობლები — სხვა ჯიში აქ ვერ გვარობს, ავად ხდება. მთიდან საქონელს ვერ

ვეა, რაც საქართველოს სხვა კუთხეებში. ახალდაბადებული—ქორფა, ერთ თვემდე—ბოჩოლა, ერთ წლამდე — საფურე ხბო ან სახარე ხბო, ერთი წლისას — კვებულა, ორ წლამდე — დეკეული, უშობელი ან მოზვერი, სამი წლიდან — ძროხა ან ხარი, თუ არ დაიკოდა — ბუღა.

[8] А. Тамамшев, Материалы по изучению крупного скота Грузии. ИТГПИ, вып. I, 1924.

[9] А. Натроев, О крупном рогатом скоте в Тифлисской губернии, ТИКОСХ, 7—8. 1891.

[10] Хр. Вермишев. Экономический быт гос. крестьян в Ахалкалакском и Ахалцихском уездах Тифлисской губернии, МУКМЗПИСК, т. II, 1899.

[11] ვ. გონგაძე, თეთრიწყაროს რაიონი (მისი ახლო წარსული და მომავალი), თბ., 1959, გვ. 106.

ვყიდულობთ, ფუქდება, აციებს) უმეტესად ცხელ ადგილებში — ს ა ნ დ ა რ შ ი (მარნეული) ვყიდულობთ, რადგან იქ ნაყიდი საქონელი კარგად ძლებდაო".

ლიტერატურული მონაცემებით თარაქამას ჯიში გამძლე, მუშა საქონლის თვისებებით ხასიათდება[12].

თარაქამას ჯიშის საქონლის გარეგნობის ტიპიური ნიშანია ერთი ფერი[13] (უმეტესად მოწითალო), მხოლოდ უკანა ფეხების შიგნითა ნაწილები და მუცელი უფრო ღია ფერისაა, ვიდრე ტანის დანარჩენი ნაწილები. ძროხის სიმაღლე ადწევს 109 სმ-დან 118 სმ-მდე, ხარისა კი — 128 სმ-დან 139 სმ-მდე. საქონელს აქვს პატარა თავი, ცოცხალი მოძრავი თვალები, კისერი არც ძალიან მსხვილი, საშუალო, საკმაოდ განვითარებული მკერდი, მოკლე, მაგარი ფეხები, მოკლე, გვერდზე გაშვერილი რქები, ცური საშუალო სიდიდის, თითები კარგად გამოკვეთილი, ტემპერამენტი ცოცხალი. ხარის ცოცხალი წონა უდრის 295 — 390 კგ, ძროხისა — 245—324 კგ[14].

თარაქამას ჯიშის საქონელი გამოირჩევა ძალით, შრომისუნარიანობით. ამტანობით მაგრამ ნაკლები პროდუქტიულობით[15], რაც გამოწვეული იყო არახელსაყრელი მოვლის პირობებით (განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში). მის დადებით თვისებად ითვლება ის, რომ ადვილად იტანს ცხოვრების რთულ პირობებს: მთელი ზაფხულის განმავლობაში საძოვარზეა, გაზაფხულზე იკვებება ყუაგამოცლილი ბალახით ან ტყეში ნეკერით, ეგუება ყოველნაირ წყალს, გამოიყენება ყველაზე მძიმე სამუშაოებზე. ამავე დროს ადვილად იტანს ინფექციურ დაავადებებსაც.

როგორც ლიტერატურული მონაცემებიდან ჩანს, XIX ს. II ნახევრიდან ხელისუფლებამ მსხვილი მემამულეებისა და უცხოელი კოლონისტებისადმი დახმარების მიზნით, ჯიშიანი პირუტყვის მოშენება გადაწყვიტა. ამ მოსაზრებით აჭარაში შემოჰყავთ ახალციხური, არდაგანული, მუგრული საქონელი, ზემო რაჭაში — ყარაჩაული, ქვემო რაჭაში — ოდიშური, ოსური, იმერეთში — ახალციხური, ქვემო ქართლში — ოსური, დასავლეთ ევროპული ჯიშის „შვიცის" საქონელი.

ადგილობრივი ჯიშის გაუმჯობესების მიზნით, „შვიცის" საქონელი შეუჯვარეს „თარაქამას" საქონელს, მაგრამ ამან დადებითი შედეგი ვერ გამოიღო, უშედეგოდ დამთავრდა ერბო-ყველის ქარხნის მეპატრონე-

---

[12] А. Тамамшев, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

[13] А. Гласко, დასახ. ნაშრომი, გვ. 34—35.

[14] რ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ტფ., 1931, გვ. 110.

[15] რ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

ების კეზელის, ძმები ამმერტებისა თავად ივანე ბაგრატიონ-მუხ-რანსკის და სხვ. ცდები[16]. ეს ცდები უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო უცხოელ მრეწველთა ფერმებში რძის პროდუქციების ამაღლებისაკენ, მაგრამ სხვადასხვა ჯიშების შემოყვანას ართულებდა რთული აკლიმატიზაცია ადგილობრივ სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებთან. შემოყვანილი საქონელი არარენტაბელური იყო სიცოცხლის ხანგრძლივობით, ვერ ეგუებოდა ადგილობრივ რელიეფს, სამეურნეო პირობებსა და კვების რეჟიმს. აქედან გამომდინარე, ცალკეულ დაინტერესებულ მკვლევართა შორის მომწიფდა აზრი[17], რომლის მიხედვითაც ადგილობრივი მესაქონლეობის განვითარების შემდგომი პერსპექტივა მხოლოდ აბორიგენული პირუტყვის სწორი მოვლა-პატრონობის, კვების გაუმჯობესების ბაზაზე და შერჩევის გზით უნდა განხორციელებულიყო. შეუძლებელი იყო იმის უგულვებელყოფა, რომ აბორიგენული პირუტყვი გაცილებით ნაკლებ მიდრეკილებას იჩენდა ინფექციური დაავადებებისადმი, ვიდრე შემოყვანილი კეთილშობილი მეტისები. მაგალითად, 1872 წ. ეპიდემიამ მთლიანად გაანადგურა შვიცის ჯიშის ძროხები საქართველოში. 1879 წ. შავი ჭირის ეპიდემიის დროს ქვემო ქართლში, ბარონ ფონ-კუჩენბახის ფერმაში მთლიანად ამოწყდა შემოყვანილი ოსური საქონელი და მეტისის ნახევარი. მაშინ როცა ადგილობრივი „თარაქამას“ ჯიშის საქონელიდან მხოლოდ 25% დაიღუპა[18].

ცხადი გახდა ის გარემოება, რომ საქონლის შერჩევა-გამოყვანის საქმეში გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა ჯიშების შერჩევის, ადგილობრივ კლიმატურ და გეოგრაფიულ პირობებთან მისი შეგუების საქმეში, რაც ხანგრძლივი ემპირიული ცოდნა-გამოცდილების ბაზაზე იყო დამყარებული. ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს და ლიტერატურული მონაცემებიც ადასტურებს, რომ ჩვენს საკვლევ რაიონში ხალხთა მიგრაციის პროცესს თან სდევდა მუდამ საქონლის სხვადასხვა ჯიშების შემოყვანა, როგორიცაა დასავლეთ ევროპული ჯიშის წითელი ფერის გერმანული ნ ე მ ე ნ ც უ რ ი, რუსული მსხვილი ჯიშის მ ო ლ ო კ ა ნ უ რ ი, შავიზღვისპირეთის საქონელი და სხვ. რიცხობრივად ყველაზე

---

16 რ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112. Д. И. Руднев. Меры к улучшению местного скота в Закавказье, КХ, 1910, № 4; Хр. Вермишев, Очерк хозяйства генерал-лейт. кн. Ивана Багратиона-Мухранского, ТИКОСХ, 1895, № 8—9, с. 411,

17 И. Тер-Мосесян. Заметка о скотоводстве на Кавказье. ТКОСХ, 18, № 5, с. 395, И. Руднев, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

18 А. Тамамшев, Крупный рогатый скот Армении в прошлом и настоящем, Ереван, 1947, с. 70.

მეტი შემოიყვანეს რუსული საქონელი, ადგილობრივ იწოდება მ ო ლ ო კ ა ნ უ რ ი ს, ზ ა ო ტ ი ს, ჯ ი ლ ა გ ი ა ნ ი საქონლის სახელწოდებით. მთხრობელთა დახასიათებით, იგი ადგილობრივთან შედარებით „მძიმე," მთელი წლის განმავლობაში ბაგურ შენახვას მოითხოვს. თუ პროდუქტიულობით მოსახლეობა უპირატესობას ერთხმად რუსულ საქონელს აკუთვნებს, ცხიმიანობით „თარაქამას" ამჯობინებს. იგივე ფაქტი ლიტერატურული მონაცემებითაც დასტურდება. ა. გლასკოს შედარებული აქვს „მოლოკნური" და „თათრული" საქონლის ყოველდღიური წველის ნორმები, საიდანაც ჩანს, რომ რუსული ჯიშის საქონლის წველის ნორმები 3/4 პროცენტით აღემატება „თათრული" საქონლის წველის ნორმებს, მაგრამ ცხიმიანობის შედარებისას პროცენტულად „თათრული" აჭარბებს[19].

(თანამედროვე პირობებში შვეიცარულ, გერმანულ და რუსულ მ ს ხ ვ ი ლ ი ჯიშის პირუტყვის მოშენებას ქვემო ქართლში დღესაც მისდევენ,) მაგრამ ძირითადად კოლმეურნეობების კეთილმოწყობილ ფერმებში, (სადაც შესანიშნავი ბაგური მოვლა-პატრონობის პირობებია შექმნილი. მოსახლეობაში კი ამ ჯიშებმა გავრცელება ვერ ჰპოვა, რადგან ადგილობრივი მესაქონლეობის პირობებს და გეოგრაფიულ გარემოს ყველაზე მეტად პატარა ტანის ადგილობრივი „თათრული" საქონელი შეეფარდა.)

მერძეული საქონელი. მერძეული საქონლის გარეგნული ნიშნების დახასიათებისას საინტერესოა ქვემო ქართლის მოსახლეობის ის ემპირიული ცოდნა, რომელსაც იგი ემყარება კარგი ჯიშის საქონლის შერჩევისას. ჯიშიან საქონელს არჩევენ შთამომავლობის შემდეგი გარეგნული მონაცემებით: წონა, ტანის ფორმა, ბეწვი, რქები, ფეხების მოყვანილობა, ცურის სიდიდე. მერძეული საქონელი გამხდარი უნდა ყოფილიყო, ტანის „უკან ვიწრო, წინ განიერი" მოყვანილობის, ცური მსხვილი, მაგრამ რბილი. ცურის თითები მსხვილი და განიერი, შესაძლებელია ასეთი ცურის მქონე ძროხა ნაკლებმეწველიც ყოფილიყო. ასეთ ცურს მოსახლეობაში კ ო დ ი ს ძ უ ძ უ ს ან ც უ რ-კ ვ ე რ ა ს ე ძ ა ხ დ ნ ე ნ. რძიანობის შესატყობად ყურადღება ექცეოდა ძროხის მუცელზე „ცურიდან გაწოლილ ძარღვებს"//„რძის მილებს", თუ „მილები" მსხვილი იყო კარგი მეწველი ძროხა დგებოდა. ზოგიერთი მესაქონლე ყურადღებას აქცევდა კუდის სიგრძესაც.

ადგილობრივი კარგი ჯიშის ძროხა დღეში 6—8 ლიტრამდე იწველიდა, მოსახლეობის დაკვირვებით პ ი რ ვ ე ლ ა, პირველხბონაყოლი

---

[19] А. Г л а с к о, დასახ. ნაშრომი, გვ. 46—47, ამასვე ადასტურებს. Хр. В е р м и ш е в, МИЭБГКЗК, т. II, გვ. 173.

ძროხა. რძეს „კარგად ვერ გამოიტანს". მეორეზე კი მეტს იწველის, „სანამ სამს მოიგებს, რძე სულ მატულობს, მერე კი დაბრუნდებაო". — აღნიშნავენ მთხრობელები. ამიტომ ძროხის ყიდვის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თუ რამდენ ხბონაყოლი იყო.

მოსახლეობაში გავრცელებულია ტერმინები ძროხის დამაკების, მაკინტლობის, მოგების აღსანიშნავად; მაკინტლობისას ძროხას — ა ვ ა რ დ ნ ი ლ ს ეძახიან, უ ხ ა ნ ს, უ კ ვ ე გ ა ს ა მ ა კ ი ს ი ა, ს ა ქ ო ნ ე ლ ი დ ე ვ ნ უ ლ ო ბ ს, ა ი ტ ე ხ ა, ა ხ ე რ დ ა, და სხვ. ნაადრევად დამაკებულ დეკეულზე იტყვიან უ მ ა რ თ ვ ი ს ა მ ი ხ ა რ ა, უდროოდ ნამაკზე — ქ ა ლ ა ბ ი ჭ ვ ა დ ნ ა მ ა კ ი, ახალდამაკებულ ძროხას — ნ ა ხ ა რ ე ვ ს უწოდებენ, დაგრილებას — დ ა ფ ა რ ვ ა, მაკეობის პირველ პერიოდში — ძროხამ ი ხ ა რ ა, ი დ ე ვ ნ ა, ი მ ა კ ა. მაკეობის მეორე პერიოდში — უ კ ვ ე მ ო ს ა გ ე ბ ი ა, უ კ ვ ე მ ო წ ე უ ლ ი ა.

თუ დეკეული პირველად იგებს — „პირველნაგები დეკეული" ჰქვია. მეორედ — „მეორენახები ძროხა".

მაკეობის განმავლობაში ძროხა სხვა საქონელთან ერთად ბინა გომში, მხოლოდ მისთვის ადგილი ცალკეა გამოყოფილი. კვებავენ ჩვეულებრივ, სანამ „ძუძუს გაკეთებას" დაიწყებს, ამის შემდეგ განცალკევებით აჭმევენ და კვების ნორმასაც უდიდებენ, ძირითადად თივაზე გადაჰყავთ.

როცა ძროხას მოგების დრო უდგება „რძე მოუდგა ძუძუებში, თითები გაუცხელდა, სახბორე დაუსივდა, მენჯები ჩაუცვივდა, წუხს და ერთ ადგილზე ვერ ჩერდება". ცალკე გომში გადაიყვანენ ან გომში ცალკე ადგილს გაუკეთებენ, დააბამენ, თივას დაუყრიან და თან თვალყურს ადევნებენ; თუ ძროხას გაუჭირდა მშობიარობა, ვთქვათ, ხბოს თავი არ მოდის ფეხებთან ერთად, დაეხმარებიან. ფეხებს უკან წაულებენ, თუ უფრო მძიმეა მდგომარეობა, მუცელს გაუჭრიან და ხბოს ამოიყვანენ ან დანას მუცელში შეუყოფენ, ხბოს დასჭრიან და ისე გამოიღებენ. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძროხის გადარჩენას. მესაქონლე ყოველ ღონეს ხმარობს, რომ „თავნს" — დედა ძროხას არაფერი გაჭირებოდა. ძროხის მშობიარობა, თუ ძალიან გაძნელებული არ იყო, მხოლოდ მეპატრონის მეთვალყურეობის ქვეშ ხდებოდა.

ზოგ შემთხვევაში ძროხას უჭირდა ხბოს მომყოლის (ბუდე) მოცილება, რასაც არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ძროხის მშვიდობიანად მომშობიარებისათვის. ამ შემთხვევისათვის ყველა ოჯახს მზად ჰქონდა „ალაო". მზადდება წინდაწინ სპეციალურად ამ დღისათვის. ფერისცვალობის დღეს მოკრეფილ პიტნას დაფქვავენ, პურთან ერთად თბილ წყალში აურევენ და დაალევინებენ. გარდა ამისა, ახალხბოიან

ძროხას ასმევდნენ წყალში გახსნილ დაფქული ქერისა და სიმინდის ფქვილს — „ლუფეს“. ხბოს მოგების შემდეგ — პიტნის წყალს.

ძროხის მომშობიარების შემდეგ გომურის კარზე კეცხლს დააყრიდნენ „უწმინდურის“ მოსპობის მიზნით. ძროხას სხვა ადგილას სუფთად გაუშლიდნენ თივას, ძუძუს ჩამობანდნენ, ხსენს ჩამოეწველავდნენ და შემდეგ მიუშვებდნენ ხბოს.

ახალმოგებულ ძროხას ზამთარში სამ დღეს გაჩერებდნენ სახლში, ზაფხულში ორ დღეს. ამ დროს ძროხას აკმევდნენ ქატოს, როშს, თივას, ასმევენ თბილ წყალში გახსნილ მარილს. დიდი რაოდენობით მარილწყლის მიცემა არ ვარგა, მუცელზე გაბერავს. თუ შეამჩნევს, რომ ახალმოგებული ძროხა ხბოს არ იკარებს, ამ შემთხვევაში ხბოს ზურგზე მარილს მოაყრიან, აალოკინებენ ძროხას და მერე მიუშვებენ ხბოს. იმ შემთხვევაში, თუ ძროხას ხბო დაეღუპებოდა და აღარ იწველიდა, მაშინ დაღუპულ ხბოს ტყავში თივას ჩატენიდნენ და ძროხას წინ დაუდგებდნენ. ამას „გუდას“//„ტყავსაც“ ეძახიან. ძროხა გუდას ლოკავდა და რძეს იძლეოდა. ლიტერატურის მიხედვითაც ცნობილია ბორჩალოს და გორის მაზრებში[20].

თეთრიწყაროს რაიონის ბარის მოსახლეობაში დასტურდება შემდეგი: ახალდაბადებულ ხბოს „ჩათოს“ (მატყლისაგან რბილად დაწნული თოკი) მოაბამენ კისერზე და ისე მიუშვებენ დედასთან იმ მიზნით, რომ ხბო თავიდანვე მიჩვეულიყო თოკზე მიბმას. წველის დროს ხბოს ძროხას ახლოს ან ფეხზე მიუბამენ.

გარკვეული რწმენა-წარმოდგენების საფუძველზე თეთრიწყაროს რაიონის მთის მოსახლეობა პირველ მოგებულ ხბოს არ ინახავს. „პირრძიანს“ დაკლავენ 2—3 კვირისას. მისი გაზრდა არ შეიძლებოდა, სახლის ანგელოზებისათვის უნდა შეეწირათ, სახლიდან არ გაუშვებდნენ — „ბარაქა დარჩეს სახლშიო“.

როგორც ლიტერატურული წყაროებიდან[21] ჩანს, პირველნაყოლი ხბოს დაკვლის წესი გავრცელებული ყოფილა საქართველოს მთიან ზოლში, მკვლევართა აზრით, ამ ჩვეულებას პრაქტიკული მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა, რადგან ხევსურეთში დეკეულები ადრე, პატარა ხნისანი მაკდებიან და, რადგან პირველნაყოლ ძროხას ჯერ რიგია-

---

[20] И. Васильева, Швецарское сыроваренье в Борчалинском уезде Тифлисской губернии. МУКЛЗПИСК, т. I, Тф. 1887, с. 338; С. Мачабели, Экономический быть государственных крестьян Горийского уезда Тифлисской губернии, МУКЛЗПИСК, т. I, 1887, с. 165—166.

[21] რ. გედევანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

ნად არ აქვს დასრულებული ზრდა, მისი პირველი ხბოც სუსტი იქნებოდა და საჯიშედ არ გამოდგებოდა.

ზემოაღნიშნული ჩვეულება თეთრიწყაროს რაიონის მთის მოსახლეობასაც თავიანთი წინაპრებიდან გადმოჰყოლიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალ საცხოვრებელ ადგილზე დაფუძნების შემედგ, როცა მოხდა სამშობლოდან წამოყვანილი ხევსურული საქონლის შერევა ადგილობრივთან, მიღებული ნაჯვარი უფრო ძლიერი, ხორციანი, გარემო პირობებთან შეგუებული აღმოჩნდა, რამაც განაპირობა აღნიშნული წესის შეცვლაც. თუ პირველი ხბო ფური იყო, პატრონი დაიბარებდა მეზობლებს, სანთელს აანთებდა, პურს გატეხდა და იტყოდა: „უტყუარი იყოს ესაო, რომ ვემსახურო და სიბერის დროს დავკლა სახლშიო“, აქის შემდეგ პირველნაყოლ ხბოს გაზრდიდნენ და ოჯახის საჭიროების მიხედვით იყენებდნენ.

მოსახლეობა ყოველნაირად უფრთხილდებოდა ძროხის ცურის გაფუჭებას. ცურში რძის ჩადგომის შემთხვევაში ძროხას კურდღლის ძვალს ან ქურციანას (თრითინა) მოუსვამდნენ ცურზე. თუ ძროხას ცური უსივდებოდა, ცივ ტილოს დაადებდნენ, თბილ წყალს დაალევინებდნენ ან პურის ასტამს გააცხელებდნენ და იმით დადაღავდნენ. ნაკბენზე ძროხას ცურზე გოგირდს შეუბოლავდნენ და ა. შ.

ძროხას წველიან დღეში ორჯერ: დილა-საღამოს. თითქმის ერთსა და იმავე დროს. თუ წველის დროს ძროხა იწიხლებოდა, დაფხანდნენ („დაგლოთავდნენ“) ან მარილს მოაყრიდნენ ზურგზე; იშვიათად ფეხების გაკვრასაც მიმართავდნენ ან მიუმღერდნენ. ხმაურზე ძროხა გაჩერდება, თუ ამანაც არ უშველა ავი სულისაგან არისო, იტყვიან, შეულოცავენ და ნალოცს ჩამოკიდებენ კუდზე ან ყელზე. საერთოდ ქვემო ქართლში ძროხას წველიან ხბოს გამოწოვის შემდეგ.

მაგრამ თეთრიწყაროს რაიონის მთის მოსახლეობა ძროხებს ხბოს გამოწოვის გარეშეც წველის. ხბოს დაბადებისთანავე გაამშრალებენ და დედას მოაშორებენ, ისე რომ არც დაანახებენ[22]. ამ მეთოდს იმით ხსნიან, რომ უამისოდ ხბო ფუჭდება და ძროხაც არ იძლევა რძეს სრულად, როცა ხბოს ხედავს.

ცნობილია[23], როცა ძროხა ხბოს ხედავს, რძეს მალავს. მთლიანად

---

22 აღსანიშნავია, რომ ეს წესი გავრცელებულია ფშავ-ხევსურეთში და ოსებში. ა. თამაშვილს (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 113) განსაკუთრებით აქვს აღნიშნული იგი ფშავ-ხევსურეთში. ჩვენს საკვლევ რაიონში დადასტურებული ეს წესი ეკუთვნის იმავე მთიელ ქართველებს, რომლებიც მთიულეთ-გუდამაყრიდან და ფშავ-ხევსურეთიდან არიან გადმოსულები.

23 С. Х. Ходжаев, Сыроваренные заводы на Северном Кавказе, МУКЛЗПИСК, т. I, 1887, с. 5.

არ იძლევა და ამიტომ საბოლოოდ ხბოსათვის დატოვებული რძე ყოველთვის უფრო მეტად ნოყიერია, ხოლო მწველავის მიერ გამოწველილი რძე ბევრად ნაკლები რაოდენობისა და ცხიმიანობის არის. მაგრამ გამოერევა ხოლმე ისეთი ჰირველული ძროხებიც, რომლებიც უხბოროდ, ე. ი. ხბოს გამოწოვის გარეშე რძეს არ იძლევიან. ასეთ ძროხას „საგერობლიანს" უწოდებენ. საგერობლიანი ძროხა სანამ მეორედ არ მოიგებს, სულ აწოვებს ხბოს, არ იშორებს მას. მოსახლეობა ასეთი ძროხის ყოლას ერიდება და მაშინვე ყიდის.

ძროხას ქართველები წველიან მარჯვენა მხრიდან, მუსლიმანები მარცხნიდან, ცნობილია წველის სამი ხერხი:

I. გეზად (ჯვარედინად).

II. სწორად (როცა ჯერ წინა თითებს მოსწველიან, მერე უკანას).

III. მუჭით.

ზოგმა ცერითაც იცის წველა. მთხრობელთა გადმოცემით ცურის წინა თითებს უფრო მეტი ღალა აქვს, ვიდრე უკანას, რადგან რძე მკერდიდან პირდაპირ წინა თითებში მიდისო.

წველის დროს მწველავი ქალი ძროხას მიუმღერებს, რაც მათივე გადმოცემით პირუტყვზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. ძროხა აღარ ეურჩებოდა მწველავს და წველის დამთავრებამდე თვინიერად იდგა. სიმღერას ქალი ასრულებდა ერთ ხმაში, მონოტონურად. მოვიყვანთ ერთ-ერთ ტექსტს: „ფთუდეჯან, გენაცვალე, მთა-ბარი მოგივლია, ბალახი ტკბილად გიძოვია. გაამსე ჯიქანი, მოგვიტანე რძე; ზოგი ხბოს წილია ზოგი ჩვენი წილია: სტუმარსაც ვაჭმევთ, მასპინძელსაც ვაჭმევთ, ზამთრის სარდოსაც შევინახამთ ცხიმსა..."

სიმღერის ტექსტი მტკიცედ განსაზღვრული არ იყო, რაც ჩვენ მიერ შეკრებილი ლექსის სხვადასხვა ვარიანტებიდან ჩანს, მაგრამ დაბოლოება „ფთუ-დე-ჯან..." და შემდეგ ძროხის სახელის მიმართვა ყველგან ერთნაირია. ზოგან ძროხას დედასაც ეძახიან. მაგ., „დედო-დედო მარჩენალო დაგვაპურე, გაგვაჯე, რძე მოგვე, ზამთარი გაგვიიოლე..."

ანალოგიური ჩვეულება დამოწმებულია საქართველოს რიგ კუთხეებში: აჭარაში — ვ. შამილაძის მიერ[24], მესხეთში — მ. მაკალათიას მიერ[25].

მოსახლეობის გარკვეული ცოდნა-გამოცდილების მიხედვით საქონლის მუცლის გაფუჭება გამოწვეული იყო გარკვეული მიზეზით: მოწამვლით (გაზაფხულზე იელით, ადგილობრივ გიჟ-ბალახს ეძახიან),

---

24 ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 250.

25 მ. მაკალათია, მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი), კრ. მასალები მესხეთ-ჯავახეთის შესწავლისათვის, თბ., 1972, გვ. 38.

დარტყმით, წაქცევით, ზედმეტი ჭამით, წამხდარი „ლეშის“ სუნით, უზომოდ ცივი წყლის დალევით და სხვ.

მუშაპირუტყვი საქართველო მიწათმოქმედების კულტურის უძველესი კერაა. ქართველმა ტომებმა საუკუნეების მანძილზე განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს სახვნელი იარაღებისა და ხალხური საზიდი საშუალებების მეტად ორიგინალური სახეები, რომელთა არსებობა ორგანულად იყო შერწყმული ცოცხალ გამწევ ძალასთან. „მიწის მხვნელის მარჯვენა ხელი საქონელია. უმისოდ საქართველოში მიწის მხვნელი უხსოვარი დროიდანვე ვერ მოხნავდა მიწას, მარჯვენა ხელს კი ვინ არ გაუფრთხილდება თუ არა ხელი?“ ასე აფასებს რქოსანი საქონლის როლს მიწათმოქმედების განვითარებაში ქართველი მიმოხილველი[26]. უმისოდ საზოგადოდ ცნობილია ქართველი გლეხის დიდი სიყვარული საქონლისადმი (და კერძოდ ხარისადმი), ის დიდი მონდომება, რომელსაც იგი მუდამ იჩენდა მუშაპირუტყვის მოვლა-მოშენების საქმეში. ქართველი გლეხის დალოცვა მუდამ ასე იწყებოდა: „გაუმარჯოს ხარის ქედს, გუთნის ღვედს, ცის ნამსა და მიწის მოსავალსო“[27].

საქართველოში ხარს უდიდესი სამეურნეო და საკულტო მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დასტურდება როგორც ხარის გამწევ ძალად გამოყენების ძველი ტრადიციები, ისე მუშაპირუტყვის საუკეთესო ჯიშების შერჩევა-გამოყვანის წესები, რომლის მიღწევებში ადამიანის სამეურნეო-კულტურულ მოღვაწეობას მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ქვემო ქართლში გავრცელებული ხარის ჯიშების შესახებ ლიტერატურული ცნობები არ მოგვეპოვება. ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ გავრცელებული მუშაქონელი ადგილობრივი, ბარული ჩამომავლობისა უნდა იყოს. მთური საქონლისგან განსხვავებით, იგი უფრო მსხვილი, ღონიერი და შრომისუნარიანია.

ქვემო ქართლში განსაკუთრებით ფასობდა „თარაქამას“ ჯიშის ხარები. ა. ნატროევი[28] აღნიშნავს, რომ შრომისუნარიანობაში თარაქამას ჯიშის ხარებს არც კი შეიძლება შევადაროთ სხვა ჯიშის ხარები. თარაქამა ხარი შებმულია ყველაზე მძიმე გუთანში, ამუშავებს ძნელად გასატეხ ნიადაგს, მიაქვს ტვირთი 60 ფუთამდე და ამავე დროს საჭიროებს ცოტა საკვებს. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ქვემო ქართლში

---

26 შ. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, შინაური პირუტყვის მოვლა-მოშენება, მოსავალი, 1909, № 5.

27 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1960, გვ. 99.

28 А. Н а т р о е в, დას.ხ. ნაშრომი, გვ. 302.

თარაქამას ჯიშის ხარებს ვერც ერთმა ახალ ჯიშის საქონელმა შეტოქეობა ვერ გაუწია.

საინტერესოა ხალხური დაკვირვება ადგილობრივი კარგი ჯიშის ხარების გარეგნულ შეფასებაზე: იგი უნდა იყოს თამამი, ძვალსხვილი, მუხლმაგარი, დიდჩლიქა, ზურგი უნდა ჰქონდეს განიერი, სინესქნისაგან გასწორებული — „გათამამებული", კისერი მსხვილი, რქები მოყვანილი, წინ გასული კუდი გრძელი. უფრო სილამაზისათვის კარგ გამწვე ხარს მუცელი დიდი „ფაშიანი" არ უნდა ჰქონდეს. მესაქონლეთა აზრით, როცა ხარს ყიდულობ, სამჯერ უნდა შემოუარო გარშემო. მუხლი გაუსინჯო, თუ თოქმა არის, ე. ი. ხარი მაგარია, ნაგრამ მუხლში ძალა თუ არ აქვს, საყეფარში ვერ გასწევს — არ ვარგა თუ ხარს მუხლი მსხვილი და კოჭი დაბალი აქვს, ღონიერია, კარგია. ქვემო ქართლში ხართან დაკავშირებული ტერმინები ასაკის მიხედვით ზემოთ განვიხილეთ. მხოლოდ უნდა დავუმატოთ, რომ უღელში შებმამდე მოზვერს „ხანს" უწოდებენ უღელში შებმის შემდეგ კი — „ხარად გამოქნილს".

2 წლის მოზვერს, თუ კი იგი ხარად უნდათ, კოდავენ — „ყვერავენ". თუ მოზვერი ადრე დაიკოდებოდა, უფრო კარგი ხარი დგებოდა, გვიან დაკოდილი სამუშაოდ აღარ ვარგოდა, ზანტი გამოდიოდა. დასაკოდად უფრო კარგი იყო გამხდარი საქონელი, ისე ადვილადაც იკოდებოდა და ადვილადაც რჩებოდა.

მოზვრის დაკოდვა-დაყვერვა გაზაფხულობით იციან. საუკეთესო დროდ აპრილ-მაისი ითვლება. მთხრობელთა გადმოცემით, ახალ მთვარეზე დაკოდვა არ ვარგა, რადგან ჭრილობა გვიან შეხორცდება.

დასაკოდ საქონელს წააცვევენ, უკანა ფეხებს შეუკრავენ და რქებზე გამოსდებენ თოკს, რომ არ გაიწიოს ერთი კაცი თოკზე დგება, მეორე დაიწყებს დაკოდვას: სათესლე ჯირკვლებს შემოუბრუნებს აღმა, გადაუგრეხავს ძარღვებს და შემოაჭერს ბაწარს ტყავზე, რომ კაკლები ძირს არ დაეშვას. სამი დღის შემდეგ ბაწარს შეხსნიდნენ. იყო შემთხვევები, როცა დაკოდვის დროს ერთი კვერცხი იკოდებოდა, მეორე არა (ზოგ შემთხვევაში ძარღვი გამოდიოდა მაგარი ან ბაწარი წყდებოდა და სხვ.). ამას „ცალ-ჭანჭალას"[29] ეძახდნენ. „ცალ-ჭანჭალა" ბუღად არ დარჩებოდა, ისევე ხარად ამუშავებდნენ.

საქართველოში ძირითადად გავრცელებული ყოფილა დაკოდვის ჩვენ მიერ აღწერილი წესი[30]. გარდა ამისა, არსებობს კიდევ დაბეჭვით

---

[29] შეად. ქართლში, „ჭანს" ეძახიან. იხ. კ. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, გვ. 40.

[30] А. Натроев, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.

დაყვერვის წესი, რომელიც აღწერილი აქვს ვ. შამილაძეს ზემო აჭარაში[31] და დაკოდვა სათესლე ჯირკვლის ამოჭრის გზით, დამოწმებული აქვს ვ. ითონიშვილს სამგორში[32].

დაკოდვის შემდეგ ხდებოდა ხარის „გამოქნა", ჩვეულებრივ შემოდგომით. გამოსაქნელად პატარა მოზვერი არ ვარგოდა, რადგან შემდეგ მუშაობაში იჩაგრებოდა და ვეღარ იზრდებოდა. მთხრობელთა დაკვირვებით, გამოსაქნელად ყველაზე კარგ ასაკად ოთხი წელი ითვლება, როცა ხარს დასრულებული აქვს ზრდა, ძვლები გამაგრებული, შემდეგ მუშაობაში უფრო მაგრდება და ღონიერი გამოდის.

გამოსაქნელ ხარს ჯერ ცარიელ უღელს დაადგამენ კისერზე ერთი დღით. მეორე დღეს გამოქნილ ხართან ერთად ატარებენ, ცარიელი უღლით. შემდეგ პატარა ტვირთს მიუბამდნენ, რომელსაც თანდათან დაამძიმებდნენ, რომ ხარს „ქედი მოედო", კისერი გამოქონდა ნელ-ნელა და არ დაეეჭოდა. ხარის გამოქნა გუთანშიც ხდებოდა. შეაბამდნენ ს ა ძ ი რ ე შ ი გამოქნილ ხარებს, ს ა ჯ დ ო მ შ ი — გამოუქნელ წყვილ ხარს, ხოლო ს ა წ ყ ე ბ შ ი — ასევე გამოქნილ ხარებს. ამ მეთოდით გამოუქნელი ხარი იძულებული ხდებოდა გაჰყოლოდა სხვა ხარებს. გამოქნის პროცესში ხარს ს ა მ ხ რ ო ბ ი ს ა ს გამოუშვებდნენ, თან თოკს შეაბამდნენ კისერზე, რომ არ გაქცეულიყო და გაუშვებდნენ საძოვრად, შემდეგ ისევ ამუშავებდნენ დალამებამდის. ღამე კი გამოქნილ ხარებთან ერთად საძოვარზე გაუშვებდნენ. ასე მეორდებოდა რამდენიმე დღე. გუთანში ხარს შეიძლება გუთნის ჯაჭვმა ზურგი გაუხეხოს, ასეთ ჭრილობაზე ტალტს უსვამდნენ.

აგვისტოში ხდებოდა ხარის „გამართვა". ჭირნახული როცა მოიმკებოდა და გაითიბებოდა, ხარებს მინდვრად გარეკავდნენ და იქ დატოვებდნენ აცივებამდის, შემდეგ წამოიყვანდნენ სახლში და ზამთრის სამუშაოებისთვის იყენებდნენ.

ქვემო ქართლში, მიწათმოქმედების წარმოშობაში ხარს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. წლის განმავლობაში იგი დასაქმებულია შემდეგ სამუშაოებზე: მაის-ივნისი — გუთანი, ივლისი — თიბვა, ბულულების გადაზიდვა, აგვისტო—ძნების გადაზიდვა, სექტემბერი—გუთანი, ოქტომბერი-ნოემბერი — ურემშია, ეზიდება შეშას, დეკემბერი იანვარი — ურემში, ნალოში.

ხარს სამუშაოდ იყენებენ სამი წლიდან.

ხვნა-თესვის პერიოდში ხარი შებმულია გუთანში. ლიტერატურა-

---

31 ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

32 ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, მესაქონლეობა სამგორში, საქ. მუზ. მოამბე, 1962, ტ. X X I I I, გვ. 181.

ში გამოთქმული მოსაზრების თანახმად[33], თეთრიწყაროს რაიონში ვხვდებით ერქვანის (აქ ერქვანი იხმარება ყველა სახის სახვნელი იარაღის შესატყვისად) შემდეგ ძირითად სახეებს: გუთანს, ჩუთს, აჩაჩს, რომლებიც ადგილობრივ ბუნებრივ და სამეურნეო პირობებს შეეფარდება. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია გუთანი, სადაც ებმევა რვა უღელი ხარ-კამეჩი: გუთნის თავის ხარები, საძირის თავის ხარები, საჯდომი თავის ხარები, საწკები თავის ხარები, საჯდომი თავის ხარები, საწკები თავის ხარები, საძირის თავის ხარები, წინა უღლის ხარები.

გუთანში შესაბმელად ხარებს წინდაწინ ამზადებენ. ისინი ერთი სიმაღლისა უნდა ყოფილიყვნენ, შესახედავადაც ერთმანეთს უნდა მოხდენოდნენ. უღელთან ახლოს ზ ა ნ ტ ხარებს შეაბამდნენ, შემდეგ ფ ი ც ხ ე ბ ს, ისე რომ ღონით ერთმანეთი გაეწონასწორებინათ. წინ ზანტ ხარებს იმიტომ არჩევდნენ, რომ სწორად წაეყვანათ გუთანი, რადგან თუ ზანტთან ფიცხი იქნებოდა შებმული, ისინი თანხმობით ვერ გასწევდნენ უღელს. ძლიერ ხარებს ან კამეჩებს უკან უბამდნენ საძირეში.

ხვნა-თესვის პერიოდში მეურნის უპირველეს საზრუნავს შეადგენდა მუშა პირუტყვის კვების ხარისხისა და დასვენების რეჟიმის დაცვა: ხარებს ღამით აძოვებდნენ, შუადღისას ასვენებდნენ, მზის ჩასვლის შემდეგ გუთნიდან ხსნიდნენ და მინდორში მირეკავდნენ.

ურემში შებმულია ორი უღელი ხარი: ურმის თავის ხარები და საყევრის ხარები.

ამრიგად, ქვემო ქართლში მუშაპირუტყვთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მონაცემების გაცნობა ნათლად წარმოგვიდგენს ხარის იმ დიდ სამეურნეო როლს, რომელიც მას ეჭირა ადგილობრივ მეურნეობაში. მნიშვნელოვნად განვითარებული მიწათმოქმედება დიდ მოთხოვნილებას აყენებდა მუშა პირუტყვზე, რომლის შენახვა და საზრიანი მოვლა-პატრონობა ყველა ადგილობრივი მეურნის აუცილებელ და სავალდებულო საქმეს წარმოადგენდა.

მწარმოებლური საქონლის—ბუღის მოვლა-მოშენებას ქვემო ქართლში, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, უფრო შეძლებული მეურნეები მისდევდნენ „ვისაც ბევრი საქონელი ჰყავდა, ბუღაც იმას ჰყავდაო“. ზოგ შემთხვევაში სამი-ოთხი კომლი ერთად შეისყიდდა საზიაროდ ბუღას და რიგრიგობით უვლიდნენ. საერთოდ კი მასიურად ყოფილა გავრცელებული ბუღის თხოვების წესი სოფლიდან სოფელში ან თვით ძროხის ჩამოყვანა სხვა სოფლიდან.

ქვემო ქართლის გლეხობას გააჩნია გარკვეული გამოცდილება სა-

---

33 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულახის რაიონში, გვ. 212—213.

ბუღე ხბოს შერჩევისას. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება „ჯილაგს“ — როგორი დედის შვილია („კაი მწველელი, ჭკვიანი, წიხლი არ უნდა იცოდეს“). შესახედავად ხბო უნდა იყოს თამამი, ფერად წითელს ამჯობინებენ.

სხვა ხბოებთან შედარებით საბუღე ხბო უფრო თავისუფლად იზრდება, საკვებითაც ანებივრებენ: თავდაპირველად ძუძუზე ყოფნის დროს ერთი თითით მეტს აძლევენ, ვიდრე სხვას, შემდეგ სულ „წინდა თივაზე“ ჰყავთ.

გარეგნულად ბუღა უნდა იყოს ძლიერი, ძვალმსხვილი, მსხვილკისერა, ფერად მუქი, გრძელბეწვიანი, „წვეტა“ რქებით.

კარგი ბუღა ოთხიდან შვიდ წლამდე ეარგოდა. ამ ხნის განმავლობაში ერიდებოდნენ ბუღის წონაში მატებასა და დამძიმებას. შვიდი წლის მერე ბუღას კლავენ. ზოგის უღელში შებმაც იციან, ამას „ნაბუღვარს“ ეძახდნენ „ნაბუღვარი“ ზოგი კარგი გამოდიოდა, „ფიცხი“, უფრო ხშირად კი — „ჟანტი“, „ბოში“. ე. ი. ზარმაცი. ბუღასთან დაკავშირებული რელიგიური წეს-ჩვეულებიდან აღსანიშნავია ბუღის სამსხვერპლოდ შეწირვა (დავადასტურეთ თეთრიწყაროს რაიონის მთიულ მოსახლეობაში). შეწირულ ბუღას კურატს ან საღვთო ბუღას ეძახდნენ.

საკურატედ სპეციალურად შეარჩევდნენ კარგი შესახედაობის უნაკლო ბუღას, წითელს ან ლურჯი ფერისას. კურატად „პირველა“ მოზვერის დაყენებაც იცოდნენ. ხატისათვის დაყენებულ კურატს არც ამუშავებდნენ და არც უღელში შეაბამდნენ. ჩვეულებრივ უვლიდნენ, ოღონდ ესაა, რომ დანიშნავდნენ (ყურზე) და თავისუფლად გაუშვებდნენ საბალახოდ. კურატის ფულს მენახირე არ იღებდა, სხვის ყანაში რომ გადასულიყო, პასუხს პატრონს არავინ არ მოსთხოვდა. 7 წლის რომ გახდებოდა, მერე ის ნახირში აღარ ჩერდებოდა და ტყეში გადიოდა. კურატი 3, 5 და 7 წლის უნდა წაიყვანონ და „ამსახურონ“ როცა დრო მოუვიდოდა, პატრონმა იცოდა, სად იყო მისი „არხაჯი“, მოძებნიდა და წაიყვანდა ხატში. დეკანოზი მიიღებდა საკლავს, დალოცავდა პატრონს — „დაეხმარე, შეეწირეო“ და აწეული სანთლით თავს შეუტრუსავდა. შემდეგ აღმოსავლეთისაკენ მიაბრუნებდა და ხანჯალს კისერში ჩაარტყამდა. თუ ხატი მაღალ ადგილას იდგა, დეკანოზი თავმოჭრილ პირუტყვს თავდაღმართში დააგორებდა. ხორცს პატრონი იქვე მოხარშავდა და ხალხს დაურიგებდა, სახლში წაღება არ შეიძლებოდა, თავფეხი დეკანოზს რჩებოდა.

ქვემო ქართლში ავადმყოფობაზე ან რაიმე სხვა გაჭირვებაზე როცა ხარს, ძროხას, შამალს ან სხვა საქონელს შეუთქვამენ — „ზორას“ ეძახიან. „ზორა“ არა განირჩევა სხვა საქონლისაგან მხოლოდ ნიშანი

ადევს მარჯვენა ბეჭზე და კუდი შეტრუსული აქვს. მას ჩვეულებრივ ამუშავებენ, „საღვთოზე“ დაკლავენ.

კ ა მ ე ჩ ი ქვემო ქართლში ფართოდ იყო გავრცელებული. კამეჩის შესახებ არსებული ლიტერატურა ძალზე მცირეა თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართულ პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში აქა-იქ მიმოფანტულ ცნობებს, რომლებიც უმეტესად კამეჩის მოვლა-პატრონობას შეეხება.

კამეჩის წარმოშობის ცენტრად ითვლება შუა აზია, ოსტ-ინდოეთი და ოსტ-ინდოეთის არქიპელაგის კუნძულები, საიდანაც იგი უნდა გავრცელებულიყო მთელ კულტურულ სამყაროში. კერძოდ, შუა აზიიდან უნდა გადაეყვანათ ეგვიპტეში, საბერძნეთში, იტალიაში, უნგრეთში და შესაძლებელია ამერიკაშიც კი[34].

საქართველოში კამეჩის შემოყვანის შესახებ ცნობებს ვერსად ვერ ვხვდებით, მაგრამ როგორც ეთნოგრაფიული ყოფიდან ჩანს, მას ღრმად გაუდგამს ფესვები ქართველი გლეხის ყოფა-ცხოვრებაში. უხსოვარი დროიდან კამეჩი წარმოადგენდა ქართველი მეურნის სიმდიდრისა და სიძლიერის წყაროს. როცა ქართველ კაცს ვინმეს სიმდიდრის აღნიშვნა უნდოდა, ასე იტყოდა: „ერთი ორი გუთნეული ხარი და კამეჩი ჰყავსო[35].

ა. ნატროევი აღნიშნავდა, რომ თუ საქართველო არ ჩაითვლება კამეჩის წარმოშობის ძირითად კერად, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ კამეჩი აქ შემოუყვანიათ უხსოვარი დროიდანო[36]. საინტერესოა ამასთან დაკავშირებით დიდი ქართველი გეოგრაფის ვ. ბაგრატიონის განმარტებაც: ქიზიყს ძველი სახელწოდება „კამბეჩოვანი, კამეჩთა სიმრავლისათვის“[37] ეწოდაო.

ქვემო ქართლის მიწათმოქმედი გლეხის ყოფაში კამეჩს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. როგორც ვახუშტის ცნობიდანაც ჩანს[38], ქვემო ქართლში უძველესი დროიდან ყოფილა კამეჩთა სიმრავლე, იგი უცილოდ მოიხსენიება ძროხის და ცხვრის გვერდით. 1891 წელს გაცემული ოფიციალური ცნობების თანახმად[39], თბილისის გუბერნიაში ბორჩალოს მაზრას მეორე ადგილი უჭირავს კამეჩის რაოდენობის მხრივ. აქ 1 კვ. კმ-ზე მოდიოდა 13 123 სული კამეჩი, ხოლო 1911 წ.

---

[34] А. Натроев. დასახ. ნაშრომი, გვ. 327.

[35] შ. ედ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, მოსავალი, 1909, № 5.

[36] А. Натроев. დასახ. ნაშრომი, გვ. 329.

[37] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 98.

[38] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

[39] Кавказский календарь, 1913, 281.

მონაცემების მიხედვით — 35 570 სული[40]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კამეჩების მფლობელნი უფრო ქვემო ქართლის მიწათმოქმედნი იყვნენ, რომელთა სამეურნეო ყოფაში კამეჩს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ხოლო ნახევრადმომთაბარეებისათვის კამეჩის ყოლა აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რადგან აქ მიწათმოქმედებას მეორეხარისხოვანი როლი ეკავა.

კამეჩი გლეხის ყოფაში გამოიყენებოდა როგორც მიწათმოქმედებაში, ისე სატვირთოდ, გადასაზიდად. გლეხის თქმით, მუშაობაში ერთი კამეჩი ორ ხარს უდრიდა და ამიტომაც იგი ხარზე მეტადაც ფასობდა. თუ კარგი ჯიშის ძროხა 20—25 მანეთად ფასობდა, ფურკამეჩი — 40 მანეთად[40].

საუკეთესო სამუშაო თვისებების გარდა, კამეჩი ოღლი შესანახიც იყო. კვებაში „აზიზი" არ იყო, ჭამდა ყოველნაირ ბალახს და ადვილად ინაყრებდა თავს. მაგრამ, რასაკვირველია, კვების რაციონი მას ჩვეულებრივ ორჯერ მეტი სჭირდებოდა, ვიდრე ხარს. როცა გლეხი ორ ხარს ერთ გოდორ თივას დაუყრიდა საკვებად, თითო კამეჩს თითო გოდორი სჭირდებოდა. კამეჩს უმატებდნენ აგრეთვე სიმინდის, ქერის „როშს, რომ კარგად დანაყრებულიყო[41].

კამეჩის არსებობისათვის აუცილებელი იყო ორი პირობის დაცვა: ზაფხულში კამეჩს უნდა ჰქონოდა წყალი, ზამთარში სითბო. კამეჩი ვერ იტანდა ვერც სიცხეს და ვერც სიცივეს. ზაფხულობით კამეჩს უფრო ნაკლები მოვლა სჭირდებოდა, მუშაობის შემდეგ სადმე მდინარესთან ან დაყენებულ გუბესთან მირეკავდნენ და ჩაყრიდნენ, მაგრამ ზამთრობით მისი შენახვა უჭირდათ: უპირველეს ყოვლისა აუცილებელი იყო კამეჩისათვის თბილი გომური. ჩვეულებრივ იგი წყლის დასალევადაც კი არ გამოჰყავდათ გარეთ. ზამთარში აუცილებელი იყო მიწი გაბანვა. კამეჩის გაბანვა ხდებოდა იანვრიდან მარტის თვემდე, თვეში ერთხელ ან ორჯერ მაინც თბილი წყლითა და ჯაგრისით. შემდეგ ზემოდან გადაუსვამდნენ სელის ზეთს ან ნავთს. ზამთარში თუ გარეთ გაიყვანდნენ, მაშინ „დაჩულავდნენ" „ზემოდან „ჩულებს"[42] (თბილ ნაჭრებს) გადააფარებდნენ და „დაშარტავდნენ" (გადააბამდნენ), რომ არ შესცივნოდა.

ქვემო ქართლში კამეჩთან დაკავშირებული ასაკობრივი ტერმინოლოგია შემდეგნაირად წარმოგვიდგება[43]: ერთ წლამდე ზაქი, ორი

---

[40] А. Натроев, დასახ. ნაშრომი, გვ. 329.

[41] А. Натроев, დასახ. ნაშრომი, გვ. 332.

[42] ჩული — საბასთან „სხვათა ენაა, ქართულად სახურავი ჰქვიან ცხენისა, ძაღლის სახურავი" (თხზ., ტ. IV_2, გვ. 323).

[43] კ ა მ ე ჩ ი — საბასთან — „კამბეში-გამეჩი". ამასაც მამალსა ფარი და დედალ-

წლის — კვებულა, სამი წლიდან კამბეჩი და ფურ-ზაქი, მოგების შემდეგ — ფურ-კამეჩი.

ბერწ ფურ-კამეჩს ურწანს უწოდებენ. ურწან კამეჩს, როგორც ხარ-კამეჩს, ისე აბამენ უღელში, იგი კარგ მუშა საქონლად ითვლება. კამეჩი, რომელიც ერთ წელს უნაყოფოდ დარჩება ბერწი ჰქვია. ბერწი კამეჩი წლის განმავლობაში იწველება და, მთხრობელთა დახასიათებით, მას უკეთესი, ღალიანი რძე ჰქონდა.

ფურ-კამეჩი ჩვეულებრივ 7—8 თვეს აწოვებდა ზაქს, ბერწად დარჩენილი მესამე წელს მოიგებს.

კამეჩს უღელში აბამენ საერთოდ 5 წლისას, მაგრამ თუ კარგი კამეჩის გამოყვანა უნდათ, მაშინ 7 წლიდან. კამეჩის გამოქნა ისევე ხდება, როგორც ხარისა.

წარსულში, როგორც ეთნოგრაფიული მასალა, ასევე ისტორიული წყაროებიც ადასტურებენ, რომ აქლემიც[44] მჭიდროდ ყოფილა შერწყმული ქვემო ქართლისა და განსაკუთრებით ბორჩალოს მაზრის რელიეფთან[45]. ვახუშტი მოგვითხრობს: ქვემო ქართლში მრავლად მოიპოვება „პირუტყვნი აქლემიდან-თხამდე ყოველიო[46]". ოფიციალური ცნობებით 1911 წელს აქლემების რიცხვი ბორჩალოს მაზრაში 490 სულს უდრიდა[47].

მეაქლემეობას მისდევდნენ მხოლოდ „ბორჩალოელი თათრები", რომელნიც აქლემებს ტვირთის გადასაზიდად იყენებდნენ საზაფხულო საძოვრებზე გადასვლის დროს. მთხრობელთა თქმით, „აქლემების ქა-

---

სა ფური და შეილსა მათსა ღოღო ეწოდების და გამოზამთრებულსა ზაქი და წელიწადზე მეტისა შიშაგი „(თხზ-ნი, ტ. IV_2, გვ. 354). საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში:

ზემო ქართლი	შუა ქართლი	იმერეთი	სამეგრელო
1წ. ჩვილი ზაქი	ბერწულა	ლოტა	ზოკი
2წ. კვებულა	ზაქი	ზაქი	ბზინგი
3წ. კალოს მოკიდაო	კამეჩი	კამეჩი	მაშაყარალი
4წ. კამეჩი	„ — „	„ — „	მეკარნეჩი

(საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაცული შინამრეწველობის მასალები).

44 სულხან-საბას განმარტებით მამალს აქლემს ლოინი ჰქვიანი, დედალს-ჯაშა, შეილსა მათსა კოზაკი, ხოლო დუკატი გვარად მომცროსა და მალსა, თხზ., ტ. IV_1, გვ. 79.

45 ქვემო ქართლის თანამედროვე ყოფისათვის აქლემი ამჟამად უცხოა და ამდენად მასალებიც ნაკლებადაა წარმოდგენილი.

46 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

47 Кавказский календарь, 1913, გვ. 281.

რავანი, სავსე საპალნეებით მაისიდან რომ გაიქიმებოდა ბორჩალოს გზაზე, ისე გეგონებოდა ხალხის გადასახლებაა“.

საძოვარზე აქლემებს მსხვილფეხა საქონელთან ერთად უშვებდნენ. მთხრობელთა გადმოცემით, აქლემის შენახვა ძვირი არ ჯდებოდა, რადგან ის სხვა საქონელთან შედარებით ცოტას ჭამდა და მეორეც, ყოველნაირი საკვებით კმაყოფილდებოდა. ის საძოვრები, რომლებიც საქონლისათვის უვარგისად ითვლებოდა, აქლემისათვის ნოყიერ საკვებს წარმოადგენდა.

საზაფხულო საძოვრებიდან დაბრუნების შემდეგ „თათარი“ მესაქონლეები, როცა ცხვარს საზამთრო საძოვარზე, იაღლუჯაზე, გაუშვებდნენ, აქლემებსაც თან გაატანდნენ.

აქლემის სადგომს წარმოადგენდა „ჩარდახი“, ხის ოთხკუთხედი ფორმის ნაგებობა, ზემოდან თივით გადახურული.

ბორჩალოს მოსახლეობა აქლემებს აზერბაიჯანში იძენდა.

მსხვილფეხა საქონლის დაავადებანი და მკურნალობის ხალხური საშუალებანი

რევოლუციამდელ ქვემო ქართლში არ არსებობდა საქონლის მკურნალობის არავითარი ვეტერინალური საშუალებები. მოსახლეობა აურაცხელ დანაკლისს განიცდიდა ყოველწლიურად უეცრად აფეთქებული ეპიდემიების შედეგად. შავი ჭირი ფუსრს აკლებდა ქვემო ქართლის საქონელს ბარსა და მთაში. ერთადერთი ხერხი, რომელიც გამოიყენებოდა ეპიდემიების გავრცელების დროს, იყო ჭირიანი საქონლის დახოცვა, მაგრამ არც ამას ჰქონდა ეფექტური შედეგი. შავი ჭირის გავრცელების მთავარ წყაროს მოსახლეობა მომთაბარეობაში ხედავდა. მაგალითად, 1911 წლის გაზაფხულიდან შავი ჭირი შეიმჩნეოდა მხოლოდ ყარაიაზის ველზე, მაგრამ მომთაბარეების საზაფხულო საძოვრებზე გასვლის შემდეგ ეპიდემიამ ერთბაშად იფეთქა ხუთ მაზრაში: ბორჩალოს, თბილისის, სიღნაღის, თელავისა და გორის[48]. გარდა ამისა, ეპიდემიების გავრცელების მიზეზად თვლიდნენ აგრეთვე საქონლის შემოყვანას სპარსეთიდან და მცირე აზიიდან[49]. თავის მხრივ, ბორჩალოს მაზრა წარმოადგენდა ერთგვარ გზაჯვარედინს, სადაც თავს იყრი-

---

[48] А. Прокопенко. Чумная эпозития в Тифлисской губернии, ЗВВ, 1912, с. 6; П. Вазиянов, Данные по скотоводству в Борчалинском уезде, КСХ, 1894. с. 33.

[49] А. Барон Кученбах, Эпозития и меры против нея, ТКОСХ, 1891, 3—4, с. 107.

და თბილისის ბაზრებზე ყოველი მხრიდან მომავალი საქონელი. ვეტ-პუნქტების არარსებობის გამო ძალაუნებურად შემოეპარებოდათ ხოლმე დაავადებული საქონელი.

ქვემო ქართლში დადასტურდა პირუტყვის ოცზე მეტი სახის დაავადება, რომლის მკურნალობა ძირითადად მოსახლეობის ემპირიულ ცოდნაზე იყო დამყარებული.

ყველაზე საშიშ და უკურნებელ დაავადებად ითვლება თ უ რ ქ უ ლ ი (Aphtai opiroolical), მოსახლეობის ცნობით, თურქული იმდენად საშიში არ იყო საქონლისათვის, მაგრამ ამ ავადმყოფობის დროს პირუტყვს ხახაში უჩნდებოდა იარები, რის გამოც იგი ველარ ძოვდა და ხშირად შიმშილით კვდებოდა. თურქულმა ჩლიქებზეც იცოდა მოდება. ამ შემთხვევაში მკურნალობდნენ შემდეგნაირად: პირუტყვს ნავთში ფეხს ჩააყოფინებდნენ, „ფრჩხილებს დანით დაუშაშრავდნენ“ ან თბილი წყლით დაბანდნენ და მერე არყით დაუწმენდავდნენ. გარდა ამისა, ჭრილობაზე ფურის ცხელი ნეხვის შემოდებაც იცოდნენ. დაავადებულ საქონელს ცივ წყალში ატარებდნენ სისტემატიურად, პირში თაფლს გამოუსვამდნენ ან შაბიამნით გამოუწმენდავდნენ.

ბ ო ღ მ ა ანუ პასტერელოზი (Pesreuerellosis). ამ დაავადების დროს საქონელს უსივდებოდა ყელი. მკურნალობისას პირუტყვს ასტმით დადაღავდნენ ან მინდვრის ბალახს (ოქროს ცოცხს ეძახიან) ცეცხლს მოუკიდებდნენ და გარშემო შემოატარებდნენ, პირშიც გაკრავდნენ. გარდა ამისა, მესაქონლეები ტაბიკს იღებდნენ უღლიდან, მარილწყალში ალბობდნენ და ავადმყოფ პირუტყვს პირში უსვამდნენ.

ი ა მ ა ნ ი — ემფიზომატოზური კარბუნკოლი (Cangraenacmp hysemate). ავადმყოფი საქონელი ადგილ-ადგილ დასივდებოდა. სამკურნალოდ იყენებდნენ მიწას, ცივ საგნებს. თეთრ მიწას აურევდნენ და დასიცხულზე წაუსვამდნენ. ხშირად ერთგვარ ბალახს — „ხარი ძირას“ ფესვს, ჯერ დასიებულ ადგილზე სადგისით „გაჩკრიტავდნენ“ და შემდეგ გაუყრიდნენ.

ჭ უ ჭ უ ნ ა თ ი დაავადებული პირუტყვი სივდებოდა, „ხელი რო დაგედო ჭყრიალი გაჰქონდა, თითქოს დულსო“, უფრო ბარკალში უჩნდებოდა. ამ შემთხვევაში ნაიარევ ადგილს უჭრიდნენ და შიგ მარილს აყრიდნენ. „მარილი მოსწვავს, წყალი გამოვა და საქონელს მოეშვებაო“. დადაღვაც იცოდნენ. ასევე შინაური საშუალებებით მკურნალობდნენ ბედნიერს, უემურას, ჯიღჯიღას, ლოკის და სხვ.

ძირითად სამკურნალო საშუალებებს შეადგენდნენ მარილი, კარაქი, მაწონი, რძე, სხვადასხვა მცენარეულის ნახარში (მრავალძარღვას, თამბაქოს) და ა. შ.

საქონლის დაავადებათა წინააღმდეგ გამოყენებულ ამ ღონისძიებათა გარდა მოსახლეობაში ფართოდ იყო გავრცელებული პირუტყვის მკურნალობის სხვა ირაციონალური ხერხები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა შელოცვებს. შემლოცველად სოფელში მიჩნეული იყო რომელიმე პირი, რომელსაც სასწრაფოდ გამოუძახებდნენ პირუტყვის შეწუხების შემთხვევაში, გასამრჯელოს მეზობლურად სურსათით უხდიდნენ.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

მესაქონლეობის სამეურნეო-მატერიალური ბაზა

ქვემო ქართლში მესაქონლეობის განვითარების ფართო შესაძლებლობებს იძლეოდა მცენარეულობით მდიდარი და ნაყოფიერი საძოვრების[1] არსებობა, რომლის სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობა მარტო ქვემო ქართლით არ განისაზღვრებოდა; თრიალეთისა და ქვემო ქართლის საძოვრებზე მომთაბარეობდნენ ალექსანდროპოლის, ყაზანის, სიღნაღის რაიონის მუსულმანი მესაქონლეები, აგრეთვე თუშები და ფშავლები. გადმოდიოდნენ ერწო-თიანეთიდანაც[2]. აქ მათ იზიდავდათ საძოვრების გაშლილი, თვალუწვდენელი ფართობები მდიდარი ალპურ ბალახეულობით, ცივი წყლებითა და მთის შესანიშნავი ჰაერით, რაც ზამთრის განმავლობაში დავარდნილ საქონელზე გამაჯანსაღებლად მოქმედებდა.

სპეციალური მონაცემებით[3], ბორჩალოს მაზრაში ალპური საძოვრების ფართობი 47 307 დესეტინას უდრიდა, რაც ახალქალაქის ალპურ საძოვრებთან ერთად მთელ გუბერნიაში არსებული საძოვრების ფართობის 80% იყო. აქედან ადგილობრივ მესაქონლეებს 29 142 დესეტინა, სხვა მაზრებიდან შემოსულთ 2 474 დესეტინა, სხვა გუბერნიებიდან — 2 474 დესეტინა ეკავათ[4]. არის ცნობა[5], რომ ერთი ზაფხულის

---

[1] ტერმინი საძოვარი საბასთან, ხუასტაგთ სამკმო, ხ უ ა ს ტ ა გ ი ეწოდების ყოველსახალონელსა და საყოლელსა (თხზ-ნი IV_2, გვ. 71). ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიხედვით, საძოვარი საქონლის გამოსაკვებად განკუთვნილ მიწას ერქვა, ესაიასთან 7_{25} „ქუეყანა იყოს სიკორდისაგან და ეკლის საძოვარ ცხოვართა და დასათრგუნველ ზროხისა". იოველთან 17 18 „ჰკრთებოდეს დიაკვენნი ბაგათა ზედა მათთა დატიროდეს მროწეულნი ზროხითანი რაიმეთუ არ იყო საძოვარი მათი" (საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნაწ. I ტფ., 1930, გვ. 139).

[2] А. Ерицов, დასახ. ნაშრომი, გვ. 443.

[3] П. Варавина, Летнее и зимнее пастбища Закавказского края, СМИЭБГКЗК, т. V, Тф., 1888, 98.

[4] П. Варавина, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

[5] А. Аргутинский, Скотоводство в Борчалинском уезде, КСХ, 1893, с, 91

განმავლობაში სხვადასხვა ადგილებიდან ბორჩალოში თავს იყრიდა 1 200 000 სულამდე ცხვარი.

ლიტერატურული წყაროებისა და ნაწილობრივ ველზე შეკრებილი მასალების მიხედვით ქვემო ქართლში XIX ს. დასაწყისსა და XX ს. მიჯნაზე ვხდებით შემდეგი სახელწოდების საძოვრებს: კარახაჩს, აგრიკარს, აგლაგანს, დედჯანს, ლიალვარს, თრიალეთს, ტიკმატაშს, ჩუბუხლინს, კოტბულახს, ნადირ-ბულახს და ა. შ.

ვახუშტის მიხედვით ქვემო ქართლის ბალახოვან-ყვავილოვან ზოლს, ე. ი. საძოვრების არეს ეკუთვნოდა ტაშირი ლორეს მაღლობითა და ველითურთ, ბანბაკის ხეობა, აბოცი, ყაიყული და თრიალეთი[6].

ქვემო ქართლის რაიონის, კერძოდ, ბორჩალოს რაიონის საძოვრები განლაგებული იყო იმ მთებსა და ხეობებზე, რომელიც რაიონს აკრავს დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან. ნაწილი საძოვრებისა მდებარეობდა სომხეთის მთებზე. ზემოთ ჩამოთვლილი საძოვრებიდან მეტნაკლებად ყურადსაღებია ხუთი ჯგუფი საძოვრებისა, რომელიც აღწერილი აქვს გასულ საუკუნეში ა. ერიცოვს და ძირითადად მისი ცნობებით ვსარგებლობთ[7].

1. თრიალეთის საძოვარი[8]. ზღვის დონიდან 8000 მ სიმაღლეზე მდებარეობს, იყენებენ უფრო მეტად ცხვრის საძოვრად. კლდიანი ადგილებია, მაგრამ ზაფხულის პერიოდში სწრაფად მწვანდება. 1885 წ. მონაცემებით ოცი სასაძოვრე ადგილიდან 148. 778 დესეტინა ფართი ბარტო სამი თათრული სოფლის საზოგადოების ხელშია: სარვანის, ყარადჟალარის და გიულ-კიანდის. სახანო გლეხებს ახლომახლო სოფლებიდან ამ საძოვრით სარგებლობის უფლებას არ აძლევდნენ. ტიკმატაშის საძოვარი, ზღ. დ. 7 500 მ სიმაღლეზე, გაშლილი ადგილია, გამოიყენებოდა სახნავად. სარგებლობდნენ თბილისისა და ბორჩალოს მაზრის სახაზინო გლეხები, აგლაგანის საძოვარი ზღ. დ. 8 500 მ სიმაღლეზე. სარგებლობდნენ მხოლოდ სიღნაღის მაზრის თათრები და ბორჩალოს მაზრიდან სოფ. კესალუ. ჩუბინაშვილის საძოვარი ზღ. დ. 8000 მ სიმაღლეზე. სარგებლობდნენ სიღნაღისა და ბორჩალოს მაზრის თათრები, ნაწილობრივ რუსი მოსახლეობა. ლეჯანის

---

6 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 314.

7 А. Д. Ёрицов, Е. Б. Г. К. Борчалинского уезда, МИЭБГКЗК, т VII, 1887, გვ. 443—44.

8 თრიალეთის საძოვარს მაღალ შეფასებას აძლევდნენ წარსულშიაც: „მეტად განსხვავებული ჰავა-გარემოებაა ამ მაღალ თრიალეთზედ. ცარიელ ქუმელზე და ხაკოზედ დანაბრებულნი თეშ-ფშავთა მწყემსნი სიმსხაუქნით კისერს ვეღარ იბრუნებენ ხოლმე და ლომებრივის ძალ-ღონისანი ჰხდებიან“. ზ. გულისაშვილი, დასახ. ნაშრომი, ივერია, № 154, 1900.

საძოვარი ზღ. დ. 7000 მ სიმაღლეზე. სარგებლობდნენ სომხები და ბორჩალოელი თათრები.

საველე მასალებით თეთრიწყაროს რაიონის მთიელი მოსახლეობა სარგებლობდა „ბედენის“ მთის საძოვრებით. მარნეულის რაიონის — თრიალეთის საძოვრებით, ბოლნისის რაიონის — დმანისის რაიონის საძოვრებით, ნაწილობრივ აომხეთის საძოვრებით. დმანისის რაიონის მოსახლეობა — ადგილობრივი საძოვრებით, ნაწილობრივ სომხეთის.

საძოვრების ფართობი ბორჩალოს მაზრაში შეადგენდა 300 000 დესეტინას, აქედან 1/6 ნაწილი სახელმწიფო-სახაზინო იყო, დანარჩენი — კერძო პირების[9]: ქობულოვი, ხუდადოვი, მინასაროვი, იედიგაროვი, ორბელიანი, მუხრანსკი, ბარათოვი და სხვ.

თავდაპირველად საზაფხულო საძოვრები მთლიანად მეფის მფლობელობაში ყოფილა „ქვეყნად სამი რამ არ დაეჭირვის კაცს და ხელმწიფის არის — გვიამბობს ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“—წყალი, შეშა და ბალახი“[10] (169). შემდეგ განმარტავს, თუ რატომ „არ დაეჭირვის“ კაცსა ბალახი, იმიტომ, „რომ ხელმწიფეს ცხვრის საბალახე ეძლევის და ძროხის ნახირის თავი, და თუ ერთი მეორეს ბალახა დაუჭერს ისინი ხელმწიფეს დააკლდება“ (17), მაშასადამე ხელმწიფე საძოვში იღებდა ბეგარას „ცხვრის საბალახეს“ და „ძროხის ნახირის თავს“. ე. ი. ნატურით ცხვარსა და ძროხას, გამოსაკვებად გაშვებული საქონლის რიცხვის მიხედვით.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მეფის მთავრობას არავითარი ცვლილება არ შეუტანია საძოვრების მფლობელობის საქმეში. იგი კვლავ სახელმწიფოს საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ სახელმწიფო საძოვრები ადრევე იყო დაქუცმაცებული თვითონ საქართველოს მეფეების მიერ: ზოგი გაჩუქებული იყო ცალკეულ ფეოდალზე, ეკლესიაზე, ბევრიც თვითნებურად იყო მიტაცებული. მაგალითად, 1846 წ. თრიალეთის საზღვარზე თავისი უფლებები წამოაყენეს თავადებმა ციციანოვმა, თარხანმოურავმა და ჯავახოვმა, რის შედეგადაც თრიალეთის საძოვრიდან (ფართი 200 000 დეს.) სახელმწიფოს ხელში დარჩა მხოლოდ 50000 დეს. მიწა[11].

კერძო პირთა საძოვრებს ქირაობდნენ ცალკეული პირები. იშვიათად სოფლები ერთად. საძოვრებზე დაწესებულ გადასახადს ეწოდებოდა „ს ა ბ ა ლ ა ხ ე“[12]. „საბალახე“ გადასახადი გაიზომებოდა არა მარ-

---

[9] А. Аргутинский, დ ს ხ. ნაშრომი.

[10] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, თბ., 1955, გვ. 92.

[11] Акты Археологической комиссии, жур. Сев. Гл. упр. наместника Кавказа, т. VIII, с, 2263.

[12] ს ა ბ ა ს თ ა ნ საბალახე ნიშნავს „ბალახთ ბეგარას“, რომელსაც იხდიდა ყვე-

ტო აღებული საძოვრების ფართით, არამედ საქონლის სულადობის მიხედვით. მსხვილფეხა საქონლიდან 25—40 კაპ. წვრილფეხა საქონლიდან 10—20 კაპ[13]. გარდა ამისა, „საბალახე" გადასახადი, როგორც სახაზინო, ასევე საბატონო, დამოკიდებული იყო თვით საძოვრის ვარგისიანობაზე, ბალახეულის შედგენილობაზე. ზოგი საძოვრის პატრონი ერთ ნაკვეთზე ისეთ დიდ საქონლის ფარას გაუშვებდა, რომ ეს ნაკვეთები მალე ფუჭდებოდა და დამქირავებელი იძულებული ხდებოდა ახალი ნაკვეთი აეღო და ახალი საბალახო ბაჟი გადაეხადა[14].

სახაზინო საძოვრებზე სეზონის განმავლობაში საბალახო გადასახადი ერთ სულ მსხვილფეხა საქონელზე იყო 10 კაპ. 1 სულ წვრილფეხა საქონელზე კი 1 კაპ[15].

1882 წ. საბალახო გადასახადი შეიცვალა სადესეტინო გადასახადით (მეათედი). ამიერიდან მესაქონლეს უნდა გადაეხადა 10 კაპ. 1 დესეტინა მიწაზე. ეს გადასახადი შემდგომ გაიზარდა 12 კაპიკამდე. სანამ მომთაბარე გავიდოდა ადგილიდან, უნდა გადაეხადა გადასახადი, აეღო ბილეთი და შემდეგ გამგზავრებულიყო საძოვარზე. მაგრამ ამ ღონისძიებამ შედეგი ვერ გამოიღო. მომთაბარეები ისევ ძველი სისტემით იხდიდნენ ფულს.

სახაზინო თუ საბატონო საძოვრებზე ცალკე იყო დაწესებული ქოხისა და შეშის გადასახადი. „ალაჩიხზე" და შეშაზე მომთაბარეს უნდა გადაეხადა ერთი მანეთი. „დაია"-ზე და შეშაზე ორი მანეთი.

მესაქონლეებს გააჩნდათ საკმაო ცოდნა-გამოცდილება საძოვრების ავკარგიანობის შესახებ. ყველა თავისი საქონლის შესაფერ საძოვარს ირჩევდა. ამიტომ ხშირად ხდებოდა, რომ ერთი სოფლის მცხოვრებნი სულ საწინააღმდეგო მხარეზე იჭერდნენ საძოვრებს.

საძოვრებს თავისი დანიშნულების, გეოგრაფიული მდებარეობის, კლიმატური პირობების მიხედვით ჰქონდა სახელები შერქმეული: დე-

---

ლა მოიალაღე მესაქონლე, როგორც საბატონო, ასევე სახელმწიფო საძოვრის სარგებლობისათვის.

[13] А. Аргутинский, დასახ. ნაშრომი.

[14] იქვე.

[15] ასეთი პატარა გადასახადი დიდ თავისუფლებას აძლევდა მომთაბარეებს. ისინი სეზონის განმავლობაში ხშირად რამდენიმე ადგილს ინაცვლებდნენ. დაბალი საბალახო გადასახადი საშუალებას აძლევდა არა მარტო შეძლებულ, არამედ ღარიბ მომთაბარეებსაც გაეყვანათ თავისი საქონელი ზაფხულობით იალაღებზე. შემდგომ, როცა დადგა საკითხი მომთაბარეობის მავნე შედეგების შესახებ, ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ შეეეიწროებინათ მომთაბარეობის ასე გავრცელებული არე, უპირველეს ყოვლისა, საბალახო გადასახადის გაზრდით, ისე, რომ ყველას არ ჰქონოდა მისი გადახდის საშუალება (И. Хатисов, по поводу вопроса о кочевках. 1870, გვ. 25).

ლი-დაგ ეწოდებოდა ისეთ ადგილს, სადაც სწრაფად იცვლებოდა ამინდი, ჩატინ-დაგ ძნელად ასასვლელი მთა, გამზა-დაგ — მარად მწვანე და ა. შ. ზოგი ტოპონიმი მფლობელობას აღნიშნავდა.

ქვემო ქართლში ცნობილი იყო საზამთრო საძოვრებიც[16]. აღსანიშნავია: ბაბაკიარისა და იაღლუჯის საძოვრები[17]. ბაბაკიარის საძოვრის ფართი შეადგენდა 5998 დესეტინას, აქედან 160 კვ. საჟენი (მდ. დებედის მარჯვნივ) იყოფოდა ექვს ნაწილად, ორი — უწყლო ადგილი სახელმწიფო გლეხებს ეკავა, დანარჩენი თათარი მფლობელების ხელში იყო. იაღლუჯის საძოვარი — ფართით 3 295 დესეტინა — მდებარეობს იაღლუჯის მთაზე, იგი მთლიანად მიცემული ჰქონდათ სარგებლობაში ბორჩალოელ თათრებს.

აღნიშნული საძოვრებით სარგებლობდნენ მხოლოდ შეძლებული მესაქონლეები, ნაკლებ შეძლებულნი და ღარიბები თავის სოფელშივე სტოვებდნენ საქონელს.

საზამთრო საძოვრის გადასახადი ერთ სულ საქონელზე სეზონის განმავლობაში მერყეობდა 25 კაპ-დან 60 კაპ-მდე. საზამთრო საძოვარი ქირავდებოდა სეზონურად ან ერთდროულად ორ-სამი წლით.

საზამთრო საძოვრებზე საქონელი მწყემსის მეთვალყურეობის ქვეშ იყო, რომელსაც ქირაობდა ცალკეული პირი, მესაქონლეთა ჯგუფი ან იშვიათად სოფელი.

ქვემო ქართლის საძოვრების ბოტანიკური შედგენილობის დახასიათება

საქართველოს ალპურ თუ სუბალპურ საძოვრებზე მრავალფეროვანი მცენარეული საფარი გვხვდება, რომლის განვითარებაზეც უეჭველად გავლენას ახდენდა, ერთი მხრივ, ბუნებრივ პირობათა მრავალფეროვნება, რელიეფის სირთულე, მეორე მხრივ, ხალხთა მოძრაობა და განსახლება ამ ტერიტორიაზე და შემდგომი მათი მოქმედება[18].

მესაქონლეობასთან განუწყვეტელმა კავშირმა ადგილობრივ მეურნეს ძალაუნებურად გამოუმუშავა ღრმა ცოდნა მცენარეულის სიკვდასხვა სახეობების სარგებლიანობა-ყუათიანობის გამოცნობის საქმეში.

---

16 А. Ерицов, დასახ. ნაშრომი, გვ. 464.

17 იაღლუჯის საზამთრო საძოვრის შესახებ ვახუშტი აღნიშნავს: „არს იაღლუჯის მთა უტყეო და უწყლო და სადაცა სდის წყარო მცირე, იგიცა მცირე და მლაშე. არამედ არს ფრიად ბალახოვანი, ზამთარ-ზაფხულ მოუკლებელი, რომელსაც ზედა იზრდებიან არვენი, მროწლენი, ჯოგნი და აქლემნი“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 40).

18 ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბ., 1936, გვ. 2—3.

„როცა საქონელი საძოვარზედ არის, ის ზოგ ბალახს სიამოვნებით ჭამს, ზოგს ძალა-უნებლიეთ, ზოგს ახლოც არ ეკარება, ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგი ბალახი კარგია, ბევრი არაფერი და ზოგი სულ მავნებელია“ — ასეთია გლეხის უბრალო დაკვირვება მცენარეულ საფარზე. ამ შეხედულებების თანახმად, იგი ურჩევს საქონელს საძოვარს ვარგისიანობის მიხედვით. საზაფხულო საძოვარზე ასვლისას ცალკე საძოვარა გამოყოფდნენ ცხვრისათვის უფრო კლდიან ადგილებში. ყველაზე მუუყე და ნაკლებ ქვიშიან საძოვარზე მეწველ საქონელს გაუშვებდნენ. იმ საძოვრებს, რომლებიც საქონლისათვის არ გამოდგებოდა, კამეჩისა და აქლემის საძოვრად განაკუთვნებდნენ.

ცნობილია, რომ ბუნებრივი სათიბ-საძოვრის მცენარეულობა შედგება როგორც საკვები, ისე მავნე და შხამიანი ბალახებისაგან. მოსახლეობის უშუალო დაკვირვებით, საქონელი, განსაკუთრებით მსხვილფეხა, კარგად ცნობს შხამიან მცენარეებს და არ ეკარება მას. თუ საკვების უკიდურესი გაჭირვება არა აქვს (შიმშილი ან გაზაფხულზე პირდაპირ საძოვარზე გადევნა. მაშინ იგი „ხამად ეკიდება მინდორს და ვერ არჩევს“ და სხვ.).

მოსახლეობა მეტ უპირატესობას აძლევს ალპური და სუბალპური ზონების მცენარეულობებს და მათგან დადებითად ახასიათებს სამყურას (Trifolium). ხვართქლას (Convolvulus arvensis), უროს (Andropogon ischsemum), ჭანგას (Acropyrym), სვიას და სხვა.

ხალხური დაკვირვებით სამყურა პირუტყვს სიმსუქნეს მატებს, სვიამ მსუყე რძე იცის, ჭანგა ცხიმიანობისათვის არის კარგი, ხვართქლა მატებს როგორც სიმსუქნეს, ასევე ცხიმიანობასაც, ურო ღონეს აძლევს, ცხიმიანობისათვის მინდვრის მზისგული ბალახი სჯობს ტყის ჩრდილის ბალახსო და ა. შ.

ქვემო ქართლის საზაფხულო საძოვრების სარგებლიანობას თავის დროზე ყურადღებას აქცევდნენ მესაქონლეობის მკვლევრები ა. ქალანთარი, ი. ანდრონიკოვი, ა. თამამშევი, ხ. ვერმიშევი და სხვ. აღნიშნული მკვლევრები შეეიცარული ყველის წარმატებას კავკასიაში, კერძოდ კუჩენბახის ქარხანაში, სწორედ ალპური საძოვრების ყუათიანობას მიაწერენ.

საკვებად გამოსადეგი მცენარეების გარდა მოსახლეობა კარგად ცნობდა მავნე, შხამიან და სარეველა მცენარეებს. ხალხის დაკვირვებით შხამიანი მცენარეები გავლენას ახდენს საქონლის პროდუქტზე, აფუჭებს რძეს, ხორცს, ზოგჯერ წამლავს კიდეც საქონელს, რაც სიკვდილიანობით მთავრდება. ასეთ მცენარეებს მიეკუთვნება: რძიანა (Eyphopbia). რძიანა ბერავს საქონელს მუცელზე და რძეს ფერს

უცვლის. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში იგი ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: რძიანრძია (გურია-იმერეთი). გაბულია (სამეგრელო), ქრისტეს-სისხლა (ლეჩხუმი)[19] და ა. შ.

ღ ო ლ ო (Rumex crispuse). ქართლ-კახეთში ეძახიან ღოლოა, იმერეთ-გურიაში ღვალს, რაჭაში — მეავე ღვალო, სამეგრელოში — ოღვალო, ჭანურში ნ. მარს დადასტურებული აქვს „ღვალუ"[20]. ღოლო ველური მცენარეა, იზრდება მთაშიც და ბარშიც. თუ თივაში მოხვდა, თივის ხარისხს აფუჭებს.

შ ა ლ ა ფ ა (Sorghum halepense (c) Per). იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმში უწოდებენ კალამს, საინგილოში — ქალიშს, ქიზიყში — ალადას, სამეგრელოში — ბ ა ნ ჯ ა რ ს//წალამს[21]. შალაფა წამლავს როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონელს. თუ ბევრი ჭამა საქონელმა, იგუდება.

შ ხ ა მ ა (Veratrum cobeliamum bernhberuh). ფშავ-ხევსურეთში ეძახიან სხამას, მთიულეთში-ჩხამას, გუოიაში — ხაპუტარაკს, ჯავახეთში — აპუტარაკს, იმერეთში — აბუდრაკს, რაჭა-ლეჩხუმში — შხამს, სვანეთში — სამტრეკ ან ამტრეკ. ჭანეთში — წარმახი[22]. შხამა მეტად ირის გავრცელებული სუბალპებში ქაჩალგორაცა და თრიალეთის საძოვრებზე.

ქ ა ს რ ა (Calamacrostis) კახეთში უწოდებენ საგველას, სამეგრელოში — ისროტს[23]. მაგრ სარეველებს მიეკუთვნება აგრეთვე ვარდაჭაჭა Cichoriym, მარწყვა-ბალახი (Potentilla) და ა. შ.

ი ე ლ ი (Rhododendrom flavum C. Pon.) საქართველოში ცნობილი ძლიერ შხამიანი მცენარეა. მთიულეთში უწოდებენ იალაი, სვანეთში — ადრა ან ჰადრა, სამეგრელოში — იბლი, იელი და სხვ[24]. იელით განსაკუთრებით იწამლება წვრილფეხა საქონელი და ხშირად კვდება კიდეც. ქვემო ქართლში იელს გიე-ბალახსაც უწოდებენ.

ლ ე ნ ც ო ფ ა (Hyoscyamus niger) მესხეთ-ჯავახეთში უწოდებენ ლორცოფინა ბატბატას, ხევში და მთიულეთში საბაკნიას ან ხაჯამიას, ლეჩხუმში — ტყის თუთუნს, თუშეთში — საპინას, ხევსურეთში —

---

19 ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მცენარეები, ტფ., 1934, გვ. 174.

20 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 152—153.

21 ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

22 იქვე, გვ 95.

23 იქვე, გვ. 36.

24 ზ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, საქართველოს ზოგიერთი შხამიანი მცენარეები, თბ., 1954, გვ. 28.

ძალლა-ფსელას, ფშავში — ლემხურას, რაჭაში — ლემცოფას, სამეგრელოში — წირკეშს, იმერეთში — მინადორას ბალახს[25] და ა. შ. ლენცოფა ძლიერ სუნიანი მცენარეა და საქონელი გაურბის მას. თუ საქონელმა ჭამა, ბერავს მუცელზე, მაგრამ თუ დიდი რაოდენობით შეჭამა, კლავს კიდეც.

მ ე ლ ა გ უ ნ დ ა — სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ფარსმანდუკის სახელით (Achillia millefolium). რაჭა-ლეჩხუმში მას ეძახიან კრავიკუდას ან ქორიკუდას, ქართლ-კახეთში — მელიკუდას, ლეჩხუმში — თაგვიკუდას, ქიზიყში — თავყვითელას, მესხეთ-ჯავახეთში — ყვავისკუდას, ხევსურეთში — ციცას კუდას, თუშეთში — წყლულის ბალახს, მთიულეთში — მელაგუნდას[26] და ა. შ. მელაგუნდა რძეს სუნს და გემოს უცელს.

შხამიანი მცენარეები შეიცავენ ისეთ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც საქონლის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ იწვევენ მის მოწამვლას. ასეთ შხამიან ნივთიერებებს მიეკუთვნება ალკალოიდები, გლუკოზიდები, საპონინები, ტოქსინები, ფისები, ორგანული მჟავები და სხვ[27]. შხამიანი მცენარით მოწამლულ საქონელს ეწყება გულისრევა, პირიდან სდის ქაფი, კბილებს ახრჭიალებს, მოუსვენრობს, ემართება კრუნჩხვები, თუ დიდი დოზით აქვს ნაჭამი კვდება კიდეც. შხამიანი მცენარით უფრო ხშირად იწამლება თხა, ცხვარი, ხბო და ბატკანი. მსხვილფეხა საქონელში მოწამვლის შემთხვევები შედარებით იშვიათია. მხოლოდ ადრიან გაზაფხულზე, როცა საქონელი ბაგური კვების შემდეგ პირველად გამოდის მინდორში. ხარბად ეწაფება მწვანეს და ვერ არჩევს ერთმანეთისაგან შხამიანსა და სასარგებლოს. ხშირად იწამლება აგრეთვე „ხამი" საქონელი, ნაყიდი ან შემოყვანილი.

ლიტერატურაში ცნობილია[28], რომ შხამიანი ქიმიური ნივთიერებები მცენარეში წლის ყოველ დროს ერთნაირად არ გროვდება. ეს ნივთიერებანი მცენარეში ზოგჯერ სამარაგო ნივთიერების სახითაა წარმოდგენილი, რაც მას სჭირდება მომავალ სავეგეტაციო პერიოდში გასათვალისწინებლად ან ყვავილობისათვის. მცენარეთა მიწიზედა ნაწილებში იგი დიდი რაოდენობითაა გაზაფხულზე, ხოლო მიწისქვეშა ნაწილებში — შემოდგომასა და ზამთარში. ზოგიერთი შხამიანი მცენარის მიწისზედა ნაწილები, რომლებიც გაზაფხულზე შხამიანია, შემოდგო-

---

25 ზ. შ ე ნ გ ე ლ ი ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

26 იქვე. გვ. 63.

27. ზ. შენგელია, საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი შხამიანი მცენარე, თბ., 1956, გვ. 194.

28 ზ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახ ნაშრომი, გვ. 5; ნ. ა ნ დ რ ე ე ვ ი, საკვებწარმოება ბოტანიკის საფუძვლებით, თბ., 1956. გვ. 194.

ნაზე, განსაკუთრებით თრთვილის მოხვედრის შემდეგ, საკვებად ვარგისია.

შხამიანი მცენარეების უმრავლესობა ლენცოფა, იელი, მელაგუნდა, შხამა და სხვა გამოიყენება სამკურნალოდ როგორც ხალხურ, ასევე სამედიცინო ფარმაკოლოგიაშიც.

მესაქონლეობასთან დაკავშირებული ნაგებობანი. საქონლის სადგომებს მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ადამიანის საცხოვრებელ ნაგებობებში, რაც საერთო სახასიათო მოვლენა იყო საქართველოს სამეურნეო სისტემისათვის.

საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ოჯახის ეკონომიური, კულტურული, სოციალური ცხოვრებისა და მისი ყოფის ცენტრს[29]. საცხოვრებელი ბინის ტიპი როდია ცალკეული შემთხვევითი გარემოების შედეგი ან ამშენებლის კაპრიზული გემოვნების ნაყოფი, თავის განვითარების გზაზე იგი ემორჩილება იმავე საემანსიპაციო პროცესს, რომელსაც ადამიანი თავისი ბრძოლის დროს ქმნის ბუნების ექსტენსიური და ინტენსიური ბატონობის წინააღმდეგ და რამდენადაც ბინა-სახლი მოვლენათა ასეთ კატეგორიას განეკუთვნება, იგი ხალხის მატერიალური მდგომარეობისა და კულტურული დონის მაჩვენებელია[30]. საცხოვრებელი სახლის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენის შექმნა ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის ხასიათზე მოცემულ გარემოში მეურნეობის სტრუქტურაზე, დარგებზე და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ სახლის ჭერქვეშ მოქცეული სადგომები საერთო ელემენტებით ახლოს დგანან ერთმანეთთან, მათში მაინც აისახება ამა თუ იმ კუთხის ლოკალური თავისებურებები. ამიტომ მოკლედ შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქვემო ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში გომი — ძველ მიწურ სახლებში (ქვემო ქართლის მთიელი მოსახლეობა საქონლის სადგომს ბოსელს ეძახის, ბარის ქართველობა — გომს//გომურს), საცხოვრებელ სახლზეა მოდგმული. „საქონლის სადგომისაგან მარტო წნელის ღობე გამოგვყოფდაო". დროთა განმავლობაში გომი გადმოდის სახლის ქვედა სართულში, საცხოვრებელი ოთახები კი ზედა სართულში შენდება. თანამედროვე ახალ სახლებში სახლის პირველი და მეორე სართული მთლიანად საცხოვრებელ ოთახებს უკავია, გომი კი განცალკევებით დგას ეზოში (გუდარეხის, ნამტვრინის ახალი დასახლებები).

---

29 თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 5.

30 გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, I, ტფ., 1926, გვ. 137.

როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული[31]. ეს გარემოება — მოსწრაფება გაშლილი კარმიდამოიანი დასახლებისკენ — ახასიათებს საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლის მომეტით, საცხოვრებელი ბინის კეთილმოწყობისა და კულტურული ცხოვრების პირობების შექმნის მიზნით.

ქვემო ქართლში გომის ასაშენებლად გამოყენებულია ქვა და ხის მასალა. სამშენებლოდ გამოიყენებოდა მუხის ხე, რომელიც ადგილობრივ ტყეებში მრავლად იყო. წინდაწინ შეარჩევდნენ ხეებს და დანიშნავდნენ. მოჭრის შემდეგ იქვე დამორავდნენ და ხარებით სახლში ჩამოიტანდნენ გასაშრობად.

გომის ასაშენებლად თავდაპირველად გაჭრიდნენ საძირკველს სილრმით ერთ მეტრამდე, ზედ გასდებდნენ ხეებს და შემდეგ კედლების აყვანას შეუდგებოდნენ. კედლების მერე ჩადგამდნენ ორ დედაბოძს, რომლებზეც გადებული იყო თავხეები. თავხეზე კოჭები მაგრდებოდა. შემდეგ ჭერი და ზემოდან აყალო მიწით იყო დატკეპნილი.

გომის შიგნით მთელ სიგრძეზე გაკეთებული იყო ბაგა, სადაც „ჯინჯილით" იბმებოდა საქონელი. იატაკად დაგებული იყო ბრტყელი ქვები. ე. წ. „ზღვავი", რომლის შუაში გადიოდა „სანარწყალი", სადაც ნეხვს ჩამოხვეტავდნენ „ზღვავიდან". გომის ბარჯვენა კედელზე გამოკრილია ფანჯარა ე. წ. „შუკუმი" — სინათლისათვის.

გომში ცალ-ცალკეა გამოყოფილი ადგილები ძროხის, ხარის, ცხვრის და ხბოსათვის. ხბოებისთვის ცალკეა გამოყოფილი ადგილი, რომელსაც „სახბორე" ეწოდება, მის მოპირდაპირედ განცალკევებით შემოღობილ ადგილს ცხვრებისათვის „ეზოს" უწოდებდნენ. ტერმინი „ეზო" ქართულ ენაში იხმარება საცხოვრებელი სახლის გარშემო მდებარე საკარმიდამო ნაკვეთის აღსანიშნავად[32]. საბასეული განმარტებით ეზო-„გალავანი მოხრილი, არს არა გარე ზღუდედ მოვლებული, არამედ კერძო. ანუ გუცრდით მოხრილი კედელი, რათა შუა ადგილი აქუნდეს"[33]. მეორე განმარტებით: „კარავთა გარე მოსაზ-

---

31 თ. ოჩიაური, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი ონის რაიონში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიიდან, IX, თბ, 1957, გვ. 9.

32 იხ. ეზო — შემოკავებული მიწის ნაკვეთი, სადაც სახლი და სხვა ნაგებობა დგას და სადაც ხშირად საჩრდილობელი ხეები და ხეხილია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, III, თბ., 1953, გვ. 1287.

ეზო-ყურე სახლის გარშემო კარ-მიდამოს აქვია, ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1934, გვ. 68.,

ეზო-სასახლეთა შესახვევრი ადგილი, მოზღუდვილი უსართულოდ, ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 208, მეორე განმარტებით, სახლთა ზღუდე მოვლებული განითი განად, ანუ სიგრძითი სიგრძედ, რათა საშუალოს აქუნდეს ადგილი, ნ. ჩუბინაშვილი, გვ. 226.

ღუდავთაცა ეზოდ ედების"[34], „ეზოს" ძველი მნიშვნელობაც აბსოლუტურად ემთხვევა ამ სიტყვის თანამედროვე გაგებას. დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც „ეზო" ამავე მნიშვნელობით დასტურდება. მაგ., იმერეთში, თუშეთში, კახეთში[35], სამეგრელოში, გურიაში და სხვ. ამავე მნიშვნელობითაა ფიქსირებული მეზობელი ხალხების ყოფაშიც, ბალყარეთში „ა ბ ზ ა რ" ეზო[36]. მაგრამ ეზოს აღნიშვნელი ტერმინი საქართველოს ზოგიერთ კუთხეში სულ არ არსებობდა. მაგალითად, თრიალეთის ურუმი მოსახლეობის საცხოვრებელ კომპლექსში, სადაც საკარმიდამო ნაკვეთი სულ არ შედიოდა, ეზოს ტერმინიც არ გაჩნდათ. ან იგი სულ სხვა მნიშვნელობით იყო გაგებული[37]. ხევსურეთში, პირიქით, ეზო მოქცეული იყო საცხოვრებელი — ქ ა ლ ო ი ა ნ ი სახლის კომპლექსში, პირველ სართულზე სახლის წინა ნაწილში, ქ ა რ ი ბ ა ნ ს ა და ს ე ნ ე ს შორის[38]. იგი მოიხმარებოდა საოჯახო ნივთების შესანახად. ახალ გადაკეთებულ სახლებშიც ეზო გამოყენებულია ტანსაცმლისა და ფარდაგ-ხალიჩების შესანახად[39]. ეზო ამავე მნიშვნელობით შავშეთშიც არის დადასტურებული ნ. მარის მიერ[40]. სვანეთში ეზო//ჰ ა ზ უ არის ყორესა და სახლს შორის მოქცეული ვიწრო გასასვლელი ადგილი[41]. უახლესი ფერეიდნული მასალებით, ფერეიდანში მცხოვრები ქართველები ეზოს ეძახიან ო ზ ო ს. ფერეიდნულ საცხოვრებელ კომპლექსს გააჩნია ორი ოზო: დ ა ბ ა ლ ო ზ ო და მ ა ღ ა ლ ო ზ ო. დაბალ ოზო ეწოდება სახლის წინ მდებარე საკარმიდამო ნაკვეთს, მაღალ ოზო — მეორე სართულზე საცხოვრებელი ოთახების წინ მიშენებულ ფართო აივანს (ფერეიდანული სახლის ქვედა ნაწილი გამოყენებული იყო თავლებად საქონლისათვის, ზედა ნაწილი საცხოვრებლად)[42].

---

33 ს ა ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა. სიტყვის კონა. 1949, გვ. 178, 179.

34 ს ა ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა. ი ქ ვ ე, გვ. 545.

35 კ. კ ა ხ ი ა ნ ი, გლეხის კარ-მიდამო იმერეთში, თბ., 1964, გვ. 80—87.

36 ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, მსე, 1960, XI, გვ. 98.

37 თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, თბ., 1960, გვ. 20.

38 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ხევსურული სახლის „სენე", ანალები, I, 1947, გვ. 149.

39 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი ხევსურეთში, მსე, VII, გვ. 31.

40 შავშეთში ე ზ ო სახლის შიგნით არის მოქცეული „С нижнего этажа... во второй этаж ведет лестница (კიბე). Вступаете на балкон и оттуда в коридор..., Сурованец назвал „эзо" (ეზო) по-груз. двор.

И. Я. М а р р, Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. Дневник поездки в шавшетию и Кларджестию С.-Петербург, 1911, с. 75.

41 კ. კ ა ხ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

42 თ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, ფერეიდნელები საქართველოში, თბ., 1981, გვ. 22—23.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ტერმინი „ეზო“ სხვადასხვა პერიოდებში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. მაგ., ძველი წერილობითი ძეგლების მიხედვით თავდაპირველად იგი რუსული двор-ის მნიშვნელობით გვხვდება „მაშინ შეკრბეს მღდელთ მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი ეზოსა მას კაიფაის მღდელთ მოძღვარისასა“[43] (მათე 26) ან „პეტრე ჯდა ეზოსა შინა“[44] (მათე 26_{69}).

შემდგომ „ეზო“ იხმარებოდა კარის მნიშვნელობით. დ. ჩუბინოვთან Двор царский ახსნილია, როგორც კარი ხელმწიფისა[45], ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „ეზოს მოძღუარის“ ბრწყინვალე თანამდებობა სამეფო კარზე. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია ბასილი ეზოს მოძღვარი, თამარ მეფის ისტორიკოსი, მაგრამ რა როლს ასრულებდა იგი თამარ მეფის კარზე, არა ჩანს.

ისტორიულად „ეზოს მოძღვარი“ სამეფო სახლის განმგებელია. ნ. ჩუბინაშვილთან — მნე. მოხელე სასახლის განმგებელი[46], სულხან-საბასთან საგანგიოთა განმგებელი[47].

„ეზოის მოძღუარის“ უფლებებს შესახებ ფარკვეულ წარმოდგენას იძლევა არმაზის გათხრების დროს აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, სადაც ნახსენებია „ხსეფარნუგ მეფის მრავალი გამარჯვების მოპოვებული ეზოის მოძღუარი იოდმანგანი“[48], აქ ეზოს მოძღვარის უფლებებში სამხედრო საქმიანობაც ჩანს. ამ წარწერის შუქზე მკვლევრების მიერ დადგენილია[49] ეზოს მოძღვრის თანამდებობა ბერძნულ და სპარსულ ტერმინებშიც, რომელთა მოვალეობაშიც შედიოდა მეფის დაცვა, რის გამოც ის განაგებდა მეფის ეზოს (კარს, სასახლეს). აკ. შანიძე[50] „ეზოის მოძღვარის“ ეტიმოლოგიური გარკვევის დროს, ისტორიულ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს „ეზოს“ სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარების შემთხვევებსაც: თავდაპირველად „ეზო“ (რუსულ двор-ის მნიშვნელობით) შემდეგ „ეზოი ცხოვარ-

---

43 Двор—участок земли при доме огороженный забором или стенами зданий, Словарь русского языка, т. 1, М., 1967, с. 398.

44 ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, აკ. შანიძის გამოცემა, თბ., 1945, გვ. 9.

45 Д. Чубинов, Русско-грузинский словарь, Тб., 1901, გვ. 150.

46 ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

47 სულხან-საბა, გვ. 178.

48 ს. ყაუხჩიშვილი არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, საქ. Მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, 1—2, თბ., 1941, გვ. 172.

49 გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, თბ., 1942. ს. ყაუხჩიშვილი, და სახ. ნაშრომი, აკ. შანიძე, Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина „Эзойс модзгвар“-и, საქ. მეც. აკადემიის მოამბე, ტ. II, 1—2. თბ., 1941. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, 1959, Тб.

50 А. Шанидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

თა"-ს (ქრისტიანული ძეგლების მიხედვით) — შემდეგ „სამეფო კარი" (двор царский). სწორედ ამ უკანასკნელთან უნდა იყოს დაკავშირებული „ეზოის მოძღვარის" თანამდებობა, ე. ი. კარის მოძღვარი.

ს. ყაუხჩიშვილის აზრით[51], „ეზოს მოძღვარი" აღნიშნავდა ქონების, მამულის და მისთანათა მომვლელ პირს.

ჩვენთვი სამეამად საინტერესოა ტერმინი „ეზო"-საქონლის, კერძოდ ცხვრის დასაყენებელი ადგილის მიმართ ხმარება, რადგან „ეზოს" „ეზოი ცხოვართას" მნიშვნელობით ხმარების შემთხვევა თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დასტურდება[52]. კერძოდ, საქონლის სადგომ ბინაში—გომში, „ეზო" ეწოდება ცალკე გამოყოფილ ადგილს, რომელიც წნელით არის შემორაგული და გამოყოფილი ცხვრის დასაყენებლად ზამთრის პერიოდში.

ამ ტერმინის ცხვრის დასაყენებელი ადგილის სახით ხმარება ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც იგი ძველ ქრისტიანულ ძეგლებშიც ამავე მნიშვნელობით გვხვდება „რომელი არა შევიდეს კარით ეზოსა ცხვართასა, არამედ სხვთ შთავდეს, იგი მპარაი არს და ავაზაკი" (იოვანე 10_1)[53].

მაშასადამე, „ეზო ცხოვართას" ტერმინის ამავე მნიშვნელობით შემონახვა მეტად საინტერესო მოვლენა ჩანს. თუ დავეყრდნობით ჩვენ მიერ მოპოვებულ საველე მასალას და ლიტერატურულ წყაროებს, გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ძველთაგან საქართველოში საქონლის დასაყენებელი ადგილის შემორაგვა სცოდნიათ მთაში და ბარშიც[54] და იმასაც, რომ „ეზოდ" ნაგულისხმევი ადგილი აუცილებლად წრიულად შემორაგული უნდა იყოს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაძლებლია „ეზოც" თავდაპირველად სწორედ საქონლის დასაყენებლად შემორაგული ადგილის აღსანიშნავად იყო ხმარებული.

ქვემო ქართლში გავრცელებული სამეურნეო ნაგებობების შესწავლისას ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე რძის პროდუქტების დამუშავებასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობა, რომელიც თეთრიწყაროს რაიონში ს ა რ ბ ე უ ლ ა ს, ხოლო ბოლნის-დმანისის რაიონში ს ა ფ ი ლ ა ვ ი ს სახელწოდებით არის ცნობილი.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, სადაც მესაქონლეობა მეტად იყო განვითარებული და მოსახლეობის საარსებო წყაროს ერთ-

---

51 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი გვ. 174.

52 აღნიშნული მნიშვნელობით ტერმინი ე ზ ო დამოწმებულ იქნა ს. ქსოვრეთში (თეთრიწყაროს რაიონი).

53 ქართული ოთხთავის ძველი რედაქცია, გვ. 22.

54 ბაკი. ქარაბაკი, ტრუშული, ხვასტაგ სადგურად მოვლებული ფიჩხისა და წკნელისაგან. იხ. ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, გვ. 226.

ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა, ცნობილია საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსში სათავსოთა ისეთი განლაგება, რომელიც რძის მეურნეობის ეკონომიკურ საჭიროებებსაც ითვალისწინებდა. კერძოდ, ხევსურულ კალოიან სახლში რძის პროდუქტების დამზადება-შენახვისათვის განკუთვნილი იყო სათავსო „სენეს“ სახელწოდებით, რომელიც პირველ საართულზე საცხოვრებელი ოთახის — შ ი ნ ა ს ა კედელთან ეწყობოდა. იგი ერთი მხრით იყენებდა შინას გვერდის ყორის გაგრძელებას, მეორე მხრით შინას წინა ყორეს, ხოლო მესამე და მეოთხე კედელი იყო ნოწნული და ფიცრული[55]. „სენე“ არა მარტო რძის პროდუქტების დასამზადებლად იყო განკუთვნილი, არამედ აქ რძის პროდუქტებსაც ინახავდნენ[56]. ამავე მნიშვნელობით „სენეს“ XI ს. ნიკორწმინდის სიგელში ვხვდებით, სადაც აღნიშნულია: „შევუქმენ სახლი მუხისა: ა: და ზედა სახლი ქორედიანი და სენიანი: ა:“[57].

აპარულ სახლში იგივე დანიშნულების სათავსო „სარძიეს“ სახელწოდებით აპარული სახლის მეორე სართულზე იყო მოთავსებული და უშუალოდ სამზარეულოს ეკვროდა[58]. აპარულ საცხოვრებელ კომპლექსში შედის აგრეთვე სეზონური ხასიათის საცხოვრებელი ნაგებობა „ძირთული ჯარგვალი“, რომელიც ჰორიზონტალურ განზომილებაში განვითარებულ კომპლექსურ ნაგებობას წარმოადგენს. აქ ერთი სახურავის ქვეშ ადამიანის საცხოვრებელთან და ძირითად სამეურნეო სათავსოებთან ერთად წარმოდგენილია „სარძიეც“[59]. სარძიე გვხვდება მესხურ სახლშიც[60]. გ. ჩიტაიას ვარაუდით, ხევსურულ-აპარული სენე-სარძიეს მსგავსი ნაგებობის არსებობა დამოწმებული უნდა იყოს XVII ს. სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაშიც; ქრ. კასტელის ალბომში მოცემული სახლის სურათის მიხედვით, საცხოვრებელი სახლის ერთ კუთხეში იკითხება წარწერა“ „Cassian“ რაც სარძიეს უნდა აღნიშნავდეს[61].

ქვემო ქართლის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც დადასტურებული რძის პროდუქტების დასამუშავებელ-შესანახი სათავსოს არსებობა ერთხელ კიდევ მიუთითებს საკვლევ რეგიონში მესაქონლეობის დაწი-

---

55 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ხევსურული სახლის „სენე“, გვ. 151.

56 გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

57 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ნიკორწმინდის „დაწერილი“ (ტექსტის გამოცემისათვის), მსკი, 34, 1962.

58 ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 129.

59 თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, მთური ჯარგვალი, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალების შუქზე, ეკ. I, თბ., 1974.

60 გ. ჩ ი ტ ა ი ა, გლესის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, I, 1926.

61 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ხევსურული სახლის „სენე“, გვ. 159.

ნაურებულ ხასიათზე, რძის მეურნეობის წარმოების ემპირიულ ტრადიციებზე. საკვლევი რეგიონის მთიულ-გუდამაყრელ მოსახლეობაში აღნიშნული სათავეო ცნობილია სარძეულას სახელწოდებით, ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაში — საფილავის. სარძეულა-საფილავის აგებისა და დანიშნულების პრინციპი ერთია, გამოყენების — განსხვავებული: სარძეულას გამოყენების ფორმა ინდივიდიუალურია, საფილავის კოლექტიური.

სარძეულა მიშენდებოდა საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე გვერდითი, დასავლეთის მხრიდან ისე, რომ ერთ კედლად სახლის კედელი ყოფილიყო გამოყენებული, ხოლო დანარჩენი სამი კედელი კეთდებოდა ფიცრულ ან მოწნული. ეს კედლები ისე იყო ამოყვანილი, რომ ფიცარ-ა და ფიცარს შუა შ უ შ რ უ ტ ა ნ ე ბ ი იყო დატანებული, რათა ნიავს თავისუფლად ემოძრავა, „ნიავი რომ ურტყამს, რძე კარგად იდღვიბებაო". სარძეულას შიგნით თაროები იყო გაკეთებული ვარცლების ჩამოსადგმელად.

სარძეულასაგან განსხვავებით, საფილავი გატანილი იყო სახლიდან და ცალკე ნაგებობას წარმოადგენდა. ეზოში შეარჩევდნენ შედარებით მაღალ ადგილს, რადგან „მაღალ ადგილს ჰაერი დაარტყაჰს და კარგი ერბო დადგებაო", ჩაასობდნენ მეტრნახევრამდე ბოძებს, გვერდებიდან ამოწნავდნენ, ზემოდან ფიცრებს დააფარებდნენ და დასავლეთის მხრიდან კარებს შეაბამდნენ. საფილავის შიგნით ორ-სამ ფიცარს გასდებდნენ თაროებად ვარცლების დასადგმელად. ხშირ შემთხვევაში საფილავს რამდენიმე კომლი ერთად ხმარობდა, ზაფხულობით, საძოვრებზე საცხოვრებელი ქოხის ერთ-ერთ კუთხეს გამოიყენებდნენ რძის პროდუქტების დამზადება-შენახვისათვის. ამასაც საფილავი ერქვა. თანამედროვე პირობებში ბოლნის-დმანისის რაიონში საფილავს იშვიათად აგებენ, მის დანიშნულებას ასრულებს აივნის ერთ კუთხეში თოკებით ჩამობმული ბრტყელი ფიცარი, რომელზედაც დასაფილავად განკუთვნილ რძეს ვარცლებით ჩამოსდგამდნენ. საფილავის სახელწოდებაც ამ ელემენტზე გადმოვიდა.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ სარძეულაში ხდებოდა რძის პროდუქტების დამზადება-შენახვა, საფილავში მხოლოდ — დამზადება. საფილავში სრულდებოდა შემდეგი პროცესები: დ ა ფ ი ლ ვ ა, რძის დასხმა პირფართო ხის ვარცლზე ნაღების//რ ძ ი ს პ ი რ ი ს მოსაყენებლად. წ ა ფ ი ლ ვ ა ნაღების მოხსნა.

შემდგომ რძეს ყველის ამოსაღებად განკუთვნილ ჭურჭელში გადასხამდნენ. ნაღებს — ს ა ნ ა ღ ბ ე შ ი.

საინტერესოა თვითონ ტერმინი ს ა ფ ი ლ ა ვ ი, რომელიც ნაწარმოებია ფ ი ლ ფუძისაგან. ფილ ფუძისაგან არის ნაწარმოები სხვადა-

სხვა პირგანიერი ხის ჭურჭლეულის სახეები. როგორიცაა ფილი, ფილ-ჯამი, ჯამფილა და სხვ. საბასთან ფილი — ტაშტი ხელის საბანი, ფილად ითქმის, დიდი როდინი[62]. ფილ-იდან არის ნაწარმოები ფილჯამიც — დიდი ჯამი[63]. ჯამი კი არის ყოველგვარი ჭურჭლეული ნოტიოთა: ბადია, ლოდა, ლოდაკი, უსკურა, პინა, ფილჯამი[64] და სხვ.

ნ. ჩუბინაშვილთან ფილი არის დიდი როდინი[65], ჯამი კი ჭურჭელი წნოვანთა სანოვაგეთა მისართმევი, სახელნი ამისნი არიან: ბადია, ლოდა, პინა, პინაკი, უსკურა, ფილჯამი და სხვა[66].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯამთან დაკავშირებული ჭურჭლეულობა არის ხისგან დამზადებული და განკუთვნილი თხიერი მასისათვის „რაიც დასათხეველი რამ არის"[67]. ი. აბულაძის ლექსიკონში ამ ტექსტთან მოყვანილი ძველი აღთქმის ტექსტიდან ჩანს, რომ ფილი გამოყენებული ყოფილა არა მარტო „წნოვანთათვის" არამედ რძის პროდუქტებისათვისაც, კერძოდ ერბოსათვის „ფილითა წყლისადთა და მოართუა მას ერბო" (მსჯ, 5₂₅)[68]. ეთნოგრაფიული ლიტერატურიდანაც ჩანს, რომ რაჭაში გავრცელებული თიხის ჭურჭლეულობაში გვხვდება ფილი, რომელიც ძირითადად რძის მოსაკაევებელი ჭურჭელია, მაგრამ გამოიყენება აგრეთვე ერბოსა და ხაჭოს შესანახადაც.

აქედან შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ტერმინი საფილავიც თავდაპირველად სწორედ რძის დასასხმელ პირფართო ხის ჭურჭელს ერქვა, რის დამადასტურებლად შეიძლება მეტყველებდეს თუნდაც ის ფაქტი, რომ მთხრობელები ხანდახან ვარცლებს, რაზედაც რძეს ასხამენ, საფილავის ვარცლებს ან უბრალოდ საფილავს უწოდებენ.

არ არის გამორიცხული, რომ თვითონ საფილავის არსებობა შეიძლება დაკავშირებული იყოს ქვემო ქართლში გავრცელებული ხანულობის (რძის მიბარების) წესთან, რადგან ხანულობის პერიოდში მეხანულეს დიდი რაოდენობით უგროვდებოდა რძე, რომლის დასამუშავებლად საჭირო იყო დიდი მასშტაბის სათავსო, რომელსაც შესაძლებელია ამ სახით აშენებდა რამდენიმე ოჯახი ერთად და ხანულობის პერიოდში რიგრიგობით გამოიყენებდნენ. მაშინ სწორედ აქედან უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ „საფილავი" საცხოვრებელი სახლიდან მო-

---

62 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 686.
63 იქვე, გვ. 687.
64 იქვე, გვ. 489.
65 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. 394.
66 იქვე, გვ. 489.
67 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 489.
68 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

შორებით ცალკე იდგმებოდა როგორც დროებითი სათავსო რამდენიმე კომლის საზიარო სახმარად.

არსებითი კი ისაა, რომ „სარძეულა-საფილავი", ისევე როგორც ხულა სახლის — „სარძიე" „და ხევსურული კალოიანი სახლი „— სენეს" აშენების დროს დაცული იყო ერთი ძირითადი პრინციპი. ისინი სახლის ისეთ კუთხეებში ან ადგილებზე უნდა გაკეთებულიყო, სადაც ქარი უკეთ მოხვდებოდა და იმოძრავებდა მასში საჭირო ტემპერატურული რეჟიმის დასამყარებლად, რაც ნაღების მოსაგდებად იყო საჭირო, ამისათვის ხევსურულ სენეს დატანებული ჰქონდა „შუქუმები", აჭარულ სარძიეს — „ჭიჭინები", სარძეულას — „შუშრუტანები". საფილავი კი წკნელისაგან თხლად იწნებოდა ისე, რომ შიგ ნიავს თავისუფლად ემოძრავა.

ამრიგად, „სარძეულა-საფილავის", ისევე როგორც „სენე-საძიეს" ძირითად მიზანს წარმოადგენდა ჰაერის ხელოვნური ცირკულაციის მეშვეობით მაღალი ხარისხის კარაქის მიღება. ეს გარემოება, როგორც ლიტერატურაშიც აღინიშნება, ხალხის მეურნეობრივ მოღვაწეობაში რაციონალური სახის მიკვლევადაა მიჩნეული.

თავი მეხუთე

მსხვილფეხა მესაქონლეობის პროდუქტები

რძის მეურნეობის[1] წარმოებით ქვემო ქართლმა განსაკუთრებით XIX ს. 60-იანი წლებიდან გაითქვა სახელი, როდესაც ხელისუფლების ხელშეწყობით 1864 წ. ბორჩალოს მაზრის მთიან ნაწილში, სოფელ ბაშკიჩეთის ახლოს (მამუტლში) საფუძველი ჩაეყარა შვეიცარული ყველის წარმოებას და აშენდა ქარხანა პრუსიის ქვეშევრდომის ბარონ ფონ კუჩენბახის უშუალო ხელმძღვანელობით. იმავე წელს ადგილობრივმა კოლონისტებმა მეორე ასეთი საწარმო გახსნეს კოლონია ალექსანდრესგილფში[2].

ქართული პრესა მაშინვე გამოეხმაურა ამ ამბავს და მოუწოდა ადგილობრივ მესაქონლეებს მხარი დაეჭირათ და მიებაძათ შვეიცარული ყველის წარმოების მესვეურთათვის. „ამ სასიამოვნო ამბავს ვაცნობებთ ყოველს მამულის მომვლელს იმ იმედით, რომ მიაქცევენ

---

[1] ძველი ქართული პერიოდიკის მონაცემებში, რძის პროდუქტები აღინიშნება ტერმინით თ ე თ რ ე უ ლ ი. იგივე ტერმინის რძის პროდუქტებზე ხმარება საველე ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება ყოფაშიც: ქვემო ქართლში, კახეთში, იმერეთში და საქართველოში ჩამოსახლებულ ფერეიდნელ ქართველებში.

[2] იმ საკითხის ირგვლივ, თუ ვინ ითელება საქართველოში შვეიცარული ყველის წარმოების ფუძემდებლად, ლიტერატურაში არსებობს რამდენიმე აზრი: ა. კ ა ლ ა ნ ტ ა რ ი ს მიხედვით, შვეიცარული ყველის წარმოება კავკასიაში დაიწყეს 1864 წ. კოლონია ალექსანდრესგილფის კოლონისტებმა და იმავე წელს მამუტლში საწარმო გახსნა ბარონ ფონ კუჩენბახმაც (იხ. მისი Вопрос о развитии молочного хоз-ва на Кавказе, 1900. 313).

ი. ვ ა ს ი ლ ი ე ვ ი ს მიხედვით ორივე წარმოება ერთდროულად გაიხსნა (იხ. მისი, Швейцарское сыроварение в Борчалинском уезде, МУКЛЗПИСК, 1887, 171), ამ აზრს იზიარებს გ. შ ა დ ი ნ ო ვ ი ც, იხ. მისი, Письмо в редакцию, КСХ, 1900, 328).

თეოფონ კ უ ჩ ე ნ ბ ა ხ ი კი ამტკიცებდა, რომ მან ერთი წლით ადრე კოლონისტებზე, 1863 წ. დაიწყო წარმოება. იხ. მისი Письмо в редакцию, КСХ, 1900, 383. სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული და გაზიარებულია ა. კალანტარის მოსაზრება.

ყურადღებას ამ ახალ შემოღებას და ეცდებიან თვითონაც იმის მიხედვით შეუდგნენ შვეიცარის ყველის გაკეთებას". ამ განცხადების კვალდაკვალ პრესაში გამოქვეყნდა შვეიცარული ყველის დამზადების რეცეპტები, იარაღების აღწერილობა და სხვ[3].

ქართული საზოგადოების ხელშეწყობა ამ საქმისადმი გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: ჯერ ერთი, ეს გულისხმობდა რძის მრეწველობის აღმავლობას მხარეში, მეორეც, ამ საწარმოებში გამოცდილ სპეციალისტებთან მუშაობა ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ყველის დამზადების ცოდნა-გამოცდილების გაზიარებას, ქვემო ქართლის ნოყიერი საძოვრების უნარიანად გამოყენებას, ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესებას, ბრძოლას ეპიდემიებთან, დაანახვებდა მოსახლეობას მომთაბარეობის მავნე შედეგებსა და სხვ.

მართლაც, შვეიცარული ყველის წარმოებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი ქვემო ქართლში და უმოკლეს ხანაში გაიხსნა კიდევ რამდენიმე ახალი საწარმო, როგორიცაა ლინგარდის, ზეგენტალერის[4], ძმები ამმერტების[5] და სხვ.

მარტო ვორონცოვკაში გაიხსნა ყველისა და კარაქის დამამზადებელი 10 საწარმო[6], რომელთაც მაღალპროდუქტიული ყველ-კარაქის წარმოებით პირველი ადგილი დაიკავეს არა მარტო თბილისის და ადგილობრივი რაიონების ბაზრებზე.

საქართველოში დამზადებული შვეიცარული ყველი გემოთი, არომატითა და მარგებლიანობით არ ჩამოუვარდებოდა ნამდვილ შვეიცარულ ყველს[7] და მისმა ნიმუშებმა მაღალი შეფასება მიიღო მოსკოვის (1882 წ.), ხარკოვის (1887 წ.) და თბილისის (1889 და 1896 წწ.) გამოფენებზე[8]. მოსკოვის გამოფენაზე გაგზავნილმა შვეიცარული ყველის ნიმუშებმა 1882 წ. ეჭვიც კი გამოიწვია მისი კავკასიაში დამზადების შესაძლებლობის შესახებ[9].

მაგრამ, რაც შეეხება მეორე მიზანს, რომ შვეიცარული ყველის

---

3 იხ. „გუთნის დედა", 1863, № 6, № 12, № 13; 1897, № 183.

4 Г. Т. С. Молочное хозяйство в Борчалинском уезде, КСХ, 1897, № 183.

5 А. Тамамшев, დასახ. ნაშრომ., გვ. 57.

6 Ф. Богданов, О возникших в 1896 г. молочных фермах в Борчаловском и Ахалкалакском уездах, КСХ, 1897, 158.

7 А. Калантарь, Состояние животноводства в Закавказском крае, КХ, 1913, с. 21.

8 А. Калантарь, Вопрос о развитии молочного хозяйства на Кавказе, КСХ, 1900, с. 313.

9 იხ. ჟურნალი, „Отчет Кавказского общества сельского хозяйства", 1882, № 5.

წარმოება ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გაეხადათ, მიუღწეველი დარჩა.

მართალია უცხოელი მრეწველები იყენებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას წარმოებაში[10], მაგრამ მხოლოდ შავ სამუშაოებზე ან მწყემსებად საძოვრებზე და არც უცდიათ გაეზიარებინათ მათთვის შვეიცარული ყველის დამზადების ტექნოლოგია, უფრო მეტიც, ამ ხელობას საიდუმლოდ ინახავდნენ და მხოლოდ თავისი გამდიდრების წყაროდ იყენებდნენ[11]. არც ერთი საზღვარგარეთიდან მოწვეული შვეიცარული ყველის წარმოების ოსტატი უკან აღარ დაბრუნებულა, სახელშეკრულებო ვადის გასვლის შემდეგ ადგილობრივ იძენდნენ საქონელს და აარსებდნენ ახალ წარმოებებს[12].

ადგილობრივ მოსახლეობას არც იმის საშუალება ჰქონდა ესარგებლა შვეიცარიელი მრეწველების საწარმოებში გამოყვანილი საქონლის გაუმჯობესებული ჯიშებით.

ჟურნალ „კავკასიის სოფლის მეურნეობის" ერთ-ერთ ნომერში ეხვდებით ასეთი შინაარსის კითხვა-პასუხს: მსხვილი მესაქონლე შეკითხვით მიმართავს ჟურნალის რედაქციას მიუთითოს, თუ სად შეიძლება კავკასიაში შეიძინოს კარგი ჯიშის ბუღა. რედაქციის პასუხში მითითებულია ბარონ ფონ კუჩენბახის ფერმა ბორჩალოს მაზრაში. შეძლო თუ არა ამ მესაქონლემ კუჩენბახის ფერმიდან ბუღის შეძენა ცნობილი არ არის მაგრამ ის კი ფაქტია[13], რომ კუჩენბახი ჩამოწერილი საქონლის მიყიდვას ადგილობრივი მესაქონლეებისათვის არჩევდა სასაკლაოზე ჩაებარებინა იგი.

მესაქონლეობის მკვლევრების აზრით, რძის მეურნეობის აღმავლობისათვის აუცილებელი არ იყო მაინცადამაინც ყველის ახალი სახეობების შემოტანა და დამზადება. არამედ საჭირო იყო ადგილობრივი ყველის დამზადების ტექნოლოგიის საფუძვლიანი შესწავლა დადებითი ელემენტების განვითარების გზით, რაც რძის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ადგილობრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობის პირობებს შექმნიდა.

---

10 „საქართველოში ყველ-კარაქის საამხანაგო ქარხნები დაარსებულია მხოლოდ უცხო ტომით დასახლებულ ადგილებში, საკუთრივ ქართველებში არსად არ არის" (იხ. ე. კარბელაშვილი, ყველ-კარაქის საზიარო ქარხნები, სოფლის მეურნეობა, 1921, № 2).

11 Г. Шадинов, Письмо в редакцию, КСЗ, 1900, 328.

12 А. Калантарь, Вопрос о развитии молочного хозяйства на Кавказе, КСХ, 1900, 313.

13 Вопрос, 139, КСХ, 1895, 60.

14 Г. Шадинов, დასახ. ნაშრომი; ე. კარბელ შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

\ მკვლევართა ერთი ნაწილი ადგილობრივი ყველის მრეწველობის ჩამორჩენის მიზეზს დაბალ საბაზრო ფასებში ხედავდა, რაც ამცირებდა მოსახლეობის დაინტერესებას მისი წარმოება-რეალიზაციის საქმეში. მაგ., ამიერკავკასიაში მ ო თ ა ლ ი ს ყველი ერთ მანეთად ან ერთ მანეთად და ოც კაპიკად ფასობდა (შვეიცარული ყველი — ორი-სამი მანეთი). მათი აზრით, საჭირო იყო ადგილობრივი ყველის სახეობების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობდა ბაზარზეც უპირატესობის მოპოვებას და შვეიცარული ყველის კონკურენციის დაძლევასაც[15]. \

\ რაც შეეხება ადგილობრივი რძის მეურნეობის წარმოებას, მას არავითარი გავლენა არ განუცდია ქვემო ქართლში არსებული ცნობილი „ყველ-კარაქის" ქარხნებისაგან. იგი მიდიოდა განვითარების საკუთარი გზით. მოსახლეობა იყენებდა ძროხის, ცხვრისა და კამეჩის რძეს: ძროხის რძიდან ამზადებდნენ ერბოსა და ყველს, კამეჩის რძისაგან მხოლოდ მაწონს, ცხვრის რძისაგან ყველს. ძროხის, ცხვრის ან კამეჩის რძის ერთმანეთში არევა არ იყო მიღებული. \

\ ძროხის რძიდან დღეებავდნენ კარაქს. მოხდილი რძიდან ამზადებდნენ ყველის ადგილობრივ სახეობას — ჩ ე ჩ ი ლ ს, ამჟამად მოუხდელი რძიდან ამზადებენ ყველს, რომელსაც მ ო უ ხ დ ე ლ ს ეძახიან, ცხვრის რძიდან დამზადებულ ყველს — თ ა ვ-ყ ვ ე ლ ს[16]. \

ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ ადგილობრივი ჯიშის საქონლის ლაქტაციის პერიოდი გრძელდებოდა „მარტიდან ნოემბრის თვემდე". \ კარგი წველადობის დროდ ითვლება მაისი და ივნისი „მანამ ბალახი ქორფაა", რადგან, როცა ბალახი ახალი და ნოყიერია, ამის შესაბამისად საქონლის წველადობაც უფრო პროდუქტიულია[17], თუ საქონელი კარგად იკვებებოდა, იგი დიდი რაოდენობით ნოყიერ რძეს იძლეოდა და, პირიქით, ცუდად კვების პირობებში რძის რაოდენობა

---

[15] Хр. В е р м и ш е в, Очерк хозяйства ген.-лейт. кн. Ивана Багратиона Мухранского, ТИКХХ, 1885, 8—9, გვ. 399.

[16] ქვემო ქართლში წარმოებული რძის პროდუქტების შესახებ მოკლე ცნობა აქვს მოცემული ზ. ჭიქინაძეს: „აქაური მკვიდრნი ძველად საქონლის მოშენებასაც უხვად მისდევდნენ, რადგან აქვთ ბალახი, საქონლისაგან ყოველთვის ამზადებდნენ მაწონს, ერბოს, ყველს, დოს და დომხალიც კარგი იცოდნენ". იხ. მისივე, სამხრეთ საქართველო (სომხითი), თბ., 1901.

[17] ამის შესახებ ლიტერატურაშიც არის გამოთქმული აზრი: „Возраст травы в питательности играет большую роль, так как по мере роста изменяется состав травы, в ней все более и более накопляются трудно переваримые вещества, так как древесина, а вследствие этого уменьшается питательность, чем моложе растение, тем оно питательнее". Д. К о л е с н и к о в, Кормовые средства наших домашних животных, КХ, 1915, 11—12, с. 8.

და ცხიმიანობაც კლებულობდა, მთხრობელების გადმოცემით, საქონელი უფრო კარგად „მთაზე“ იწველებოდა, ვიდრე ბაგაზე.

საქონლის წველადობაზე ამინდსაც ჰქონდა გავლენა. გრილ ამინდში საქონელი ბევრს იწველებოდა, ცხელ ამინდში უფრო ნაკლებს, მაგრამ სამაგიეროდ ნოყიერ რძეს იძლეოდა. მთხრობელთა დაკვირვებით, ცივი ამინდის რძე კარგია. არ აიჭრება, თბილი ამინდის რძიდან კი კარგი ნაღები ამოდისო. რძის დამუშავება ქვემო ქართლში, ისევე როგორც სხვა ქართველ და კავკასიელ ტომებში, თითქმის ერთი და იმავე წესით ხდებოდა. რძის მოსაწველელ ჭურჭლად იხმარებოდა ბარში საწვეელი, მთაში ტაგანი. საწველელი თიხის იყო, ყურებიანი ტაგანი ხის, რომელსაც შუაში ხელის მოსაკიდად ჯოხი ჰქონდა გაყრილი[18]. ადგილობრივი მოსახლეობა მოსაწველად თიხის ჭურჭელს ამჯობინებს ხისას. ლიტერატურაშიც თავის დროს გამოთქმული იყო მოსაზრება თიხის ჭურჭლის ვარგისიანობის შესახებ, რადგან ხის საწველავი ბევრს ერბოს ნაწილებს ისვრეტს, განსაკუთრებით ახალი ჭურჭელი, ამასთან, თუ ხეს ერთხელ სიმჟავის სუნი მიეცა ძნელად გამოელეება[19].

პროფ. პეტრიაშვილიც ამ აზრს იზიარებდა „რძის მოსაწველი და შესანახი ჭურჭელი იმისთანა მასალიდან უნდა იყოს დამზადებული, რომ შეიძლებოდეს მისი კარგად გარეცხვა და გასუფთავება. ხის ჭურჭურჭლის გასუფთავება კი ძნელია, რადგან ხე, ფოროვანია, რძეს იეღინთავს გვერდებში... შიგ მეავდება და ამგვარად ჭურჭელში იქნება დაბუდებული რძის დამამჟავებელი ფერმენტი. რაც შეეხება თიხას, თუ კარგი გამოიწვარია და შეჭირხნე, მაშინ შესუსტებულია ეს ნაკლოვანება“[20]. მაგრამ, რაც შეეხება რძის პროდუქტების: ყველის, კარაქის შენახვა-გადატანას (მთიდან ბარში), მოსახლეობა უპირატესობას ხის ჭურჭელს აძლევდა, განსაკუთრებით თელისაგან, ცაცხვისაგან და წიფლისაგან დამზადებულს[21].

ქვემო ქართლში ყველის რამდენიმე სახეობა იყო ცნობილი, რომელთა დამზადების ხერხები საგრძნობლად განსხვავდებოდა ერთმანე-

---

18 საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში რძის მოსაწველად დასტურდება, როგორც თიხის, ისე ხის ჭურჭელიც. ხის ჭურჭელი: ნეგაში (სამეგრელო), სეგდა (სვანეთი), დურკი (თუშეთი). თიხის ქოთანი ძირითადად დასავლეთ საქართველოში (რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი, გურია).

19 მოწველაზედ. გუთნის დედა, № 20, 1875.

20 ვ. პეტრიაშვილი, რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება, მოამბე, № 3, 1895, გვ. 64—65.

21 ცნობილია ა. კალანტარის წერილი, სადაც იგი მაღალ შეფასებას აძლევს წიფლის ხისგან დამზადებულ ჭურჭელს, რომელსაც კარგად დაუცავს კარაქი გაფუჭებისაგან, როცა იგი სახლ რგარეთის ბაზარზე გაუგზავნია (იხ. მისი О применении кавказского бука, КСХ, 1901, გვ. 388).

თისგან. ეთნოგრაფიული მონაცემებით რძის გადამუშავება საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ პროცესებს მოიცავდა და გამოცდილ ტექნოლოგიურ ცოდნასაც საჭიროებდა: რძის შეშაქცევის დროს, ნაღების გამოყოფის, განსაზღვრული ტემპერატურის დაცვის, კვეთის შემზადება-გამოყენების, რძის შეყველების შეცნობის, ყველის ამოღებისას სიმჟავის ნორმალური დოზის შენარჩუნებისა და სხვა ხერხებს.\

\ ქვემო ქართლში გავრცელებული ყველის ძირითადი სახეობანი ნაღებმოხდილ ყველთა კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ მოსახლეობის გადმოცემით ეს სრულიადაც არ ამცირებს ყველის ხარისხს, რადგან მისთვის საჭირო ცხიმის ნაწილს რძე ყოველთვის ინარჩუნებდა. ნაღებმოხდილი ყველის სხვადასხვა სახეობების დამზადების ტექნოლოგია ძირითადად იგივეა, მხოლოდ განსხვავება თავს იჩენს გარეგნულ ფორმასა და შენახვაში.\

\ წველის პროცესის დამთავრებასთან ერთად, ახალმოწველილ რძეს საწველიდან ვაცლებზე (ბარში)//პინებზე (მთაში) გადასწურავდნენ. ერთი დღე გააჩერებდნენ. მეორე დღეს ნაღებს, რომელიც საკვლევი რეგიონის მთიან ზონაში პინების წანახადის, ხოლო ბარში რძის პატრის სახელწოდებით არის ცნობილი, სანაღბეზე, დასხამდნენ და შეათბობდნენ ისე, რომ „ხელს არ კბენდეს“ და კვეთს ჩასხამდნენ. კვეთს ადგილობრივ უწოდებენ ყველის დედას, მთიან ზონაში ყველის წამალს[22] \

\ კვეთის შემზადება-გამოყენებაზე დამოკიდებული იყო ყველის ხარისხი. საკვლევ რეგიონში ძირითადად ცხოველისეული კვეთი იყო გამოყენებული: ძროხის, ხბოს, ღორის, ბატკნის, თოკნისა და სხვა ცხოველების გამხმარი კუჭი. ყველაზე მეტად ფასობდა ახალი ხბოს ან ბატკნის კვეთი. კვეთის გასაკეთებლად ახალდაკლულ საქონელს ამოართმევენ კუჭს, რომელშიც არის შედედებული რძე — დვრიტა, კარგად გარეცხავენ და ჩამოკიდებენ გასახმობად. კვეთის დასაყენებლად დვრიტის ნაწილს ჩასდებენ ქილაში, დასხამენ მეტი შრატს დამატებენ ერთ კვერცხს, ერთ ჭიქა შინდს, ერთ მუჭა ხორბალს, ცოტა შაბსა და მარილს. ასე შემზადებული უკვე იხმარება სამკვეთოდ.\

\ ჩასაკვეთად იყენებენ აგრეთვე ახალმოგებული ძროხის პირველ გამონაწურ ხსენს, სპეციალური დამუშავების შემდეგ. ხსენს დაიყენებენ ბაკანზე, შაბსა და მარილს დაუმატებენ და გააჩერებენ

---

22 კვეთი საქართველოს ყველა კუთხეში არის ცნობილი სხვადასხვა სახელწოდებით: თუშეთში შაბოში, ხევსურეთში წამალა, ლეჩხუმში საკიდელი — ხაშ, ზ. რაჭაში კვეთა, იმერეთში სამკვეთი, სამეგრელოში კვეცერა, აჭარა, გურია კვეთი.

რამდენიმე დღეს. წვენს სულ რომ შეიწოვს, პარკში ჩასდებენ და გაახმობენ. იხმარება ჩვეულებრივ.

მნიშვნელობა ენიჭებოდა კვეთის ძალას და რაოდენობას. თუ ხმარების პროცესში კვეთის ძალა შესუსტდა, „ყველს გვიან შაააყენებს“ შაშინ დვრიტას ამოიღებენ, გარეცხავენ და ხელმეორედ შეაზავებენ. ამ შემთხვევაში კვეთის მეტი რაოდენობა ჭირდებოდა ჩასაკვეთად. თუ კვეთი ძ ა ლ ი ა ნ ი იყო პირიქით. ძალიანად მთხრობლები ახლადდაყენებულ კვეთს მიიჩნევენ. ექვს ლიტრა რძეს ერთი ჭიქა კვეთი ჰყოფნიდა შესაყენებლად.

კვეთის მიცემის შემდეგ შედედებულ რძეს ცოტა ხანს გააჩერებენ. მიღებულ დ ე ლ ა მ ა ს ციცხვით ოთხად გასჭრიდნენ „ყველი დაეცემოდა, შრატი ზევით წამოვიდოდა“. შრატს გადაწურავდნენ ყველს კი ხელით „შეაქუჩებდნენ“, ამოიღებდნენ და ძ ო ბ ა ნ ზ ე (წკნელისაგან დაწნული დიდი ლასტი) დააწყობენ. შემდეგ ყველს პარკში ჩასდებდნენ და რომ არ გაცივებულიყო, სასწრაფოდ ორმოში გადაიღებდნენ, სადაც აგია „ჩადუნა“ ბალახი, ჭინჭარი ან „ღვრიანჭელა“. ზოგჯერ თბილი წყლითაც დანამავდნენ და ზემოდან თბილად დახურავდნენ. მეორე დღისათვის ყველი „გაფუვდებოდა“, „გაჩუხჩუხდებოდა“, „გაღვივდებოდა“, „ყვითელი სანთელივით გახდებოდა“. ამოიღებდნენ და ჩასდებდნენ კოდში ან გუდაში თუ ზამთრისათვის ინახავდნენ. თან მარილს მოაყრიდნენ ბლომად, პირს მაგრად მოუკრავდნენ „ქარი რომ არ ჩასულიყო“. რამდენიმე დღის განმავლობაში აბრუნებდნენ, რათა წყალი ყველა მხარეს მოხვედრილიყო და ყველი არ გაფუჭებულიყო. ყველი რომ ზედმეტი გადამწიფებისაგან დაეცვათ, გუდას ქვემოდან თივას დაუყრიდნენ და ზემოდან თბილ ნაჭერს გადააფარებდნენ.

თუ ყველს კოდში სდებდნენ, მაშინ ყ ვ ე ლ ი ს ძ მ ა რ ს გაუკეთებდნენ. „ყველის ძმარი“ ასე მზადდებოდა: აადუღებენ მარილწყალს. შიგ კვერცხს ჩააგდებდნენ, თუ ზევით ამოტივტივდებოდა კვერცხი, მაშინ მარილი საკმარისი იყო, მეტს აღარ დაუმატებდნენ, სანამ კოდში ჩაასხამდნენ, ჯერ ყველს ზემოდან ჯვარედინად გადასერავდნენ, რომ ზომიერად მიეღო მარილწყალი. მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონის მოსახლეობაში ცნობილი იყო ჩ ე ჩ ი ლ ი ყველის დამზადება[23]. მისი შემზადების ტექნოლოგია განსხვავდება მ ო ხ დ ი ლ ი ყველის ამოღების წესისაგან. განსხვავებულია ჩეჩილის ამოსაღები მასალაც: იგი მზადდება დამჟავებული რძიდან ან ნ ა რ ე-

---

23 ჩ ე ჩ ი ლ ი ყველი ცნობილია აჭარაშიც ჩ ლ ე ჩ ი ლ ი ს ანუ დ ა გ რ ე ხ ი ლ ი ყველის სახელწოდებით, რომელიც ძირითადად საჩუქრად და სასტუმროდ იყო განკუთვნილი (ე. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 139).

ვ ი დ ა ნ. მთხრობელთა გადმოცემით „ნარევს ერთი კვირის მანძილზე ვაგროვებთ. ერთ ჯერს რომ მოვხდით, მეორე ჯერს დაურევთ რძეში. რძე რომ შემაკვდებოდა, მერე ახალს დაურევდით“. \

\ სანამ „ჩეჩილის“ გაკეთებას დაიწყებდნენ, თავდაპირველად გასინჯავდნენ, ივარგებდა თუ არა, პატარა ქვებით დადგამენ ცეცხლზე, თან კოვზით ურევდნენ. თუ „აკარძელდა“, აუყვა კოვზს, იტყოდნენ „ეხლა დრო აქვს“ და დაიწყებდნენ კეთებას. რძეს ჩასხამდნენ საყველეში, გაუკეთებდნენ „ყველის დედას“ თუ „ფუშრუკი“ დარჩებოდა, ე. ი. აკორკოტდებოდა. იმას არ გააკეთებდნენ და ღილამდის დადგამდნენ. მეორე დღეს საყველეს შედგამდნენ ცეცხლზე მთლიანად, თან განუწყვეტლივ ურევდნენ ნელ-ნელა ციცხვით. რძე „აიშრატებოდა“ ისევ ურევდნენ, სანამ „ძარღეს გაუშვებდა“, როცა მოყვითლდებოდა, მერე შიგ შრატში დაზელდნენ, ამოიღებდნენ და დახედავდნენ, თუ „ხელში ძარღვიანია“, მერე აღარ ადუღებდნენ, ნელ ცეცხლზე დადებდნენ და ისევ დაზელდნენ. შემდეგ ისევ გადმოიღებდნენ, დაადრძელებდნენ ხელში და გადაკიდებდნენ კეტზე ან ფიცარზე (რომელსაც „ჰორომს“ ეძახიან) გასაშრობად. გაშრობის შემდეგ დაახვევდნენ და ჩადებდნენ მარილწყლიან კასრში. თუ ბევრი დაგროვდებოდა, დასჭირდნენ. ჩაალაგებდნენ გუდაში და თან მარილს მოაყრიდნენ. მაგრამ „ჩეჩილი“ ძირითადად კასრში ინახებოდა, რადგან უფრო დიდხანს ძლებდა. \

ქვემო ქართლის მოსახლეობამ იცოდა მ ო თ ა ლ ი ს შემზადებაც[24]. დასჭრიდნენ ყველს, სულ ერთი იყო მოხდილიდან კეთდებოდა თუ მოუხდელიდან. ჩაყრიდნენ ვარცლებში, თან ნალებს ასხამდნენ, რომ სიმსუქნე ჰქონდა. მერე გემოს მიხედვით დაამარილებდნენ და ჩააწყობდნენ გუდაში, რომელსაც მ ო თ ლ ი ს ტ ყ ა ვ ი ჰქვია. ჩაწყობის დროს თან კეტებით „ქილამდნენ“ (ტენიდნენ). როცა აივსებოდა, მაგრად მოუკრავდნენ, ფიქალზე დასდებდნენ და აბრუნებდნენ რამდენიმე დღის განმავლობაში.

როგორც ეთნოგრაფიული, ასევე ლიტერატურული წყაროებიდანაც ჩანს[25], რომ მოთალი გუდის სახელწოდებიდან მოდის. „მოთლის ტყავი“ გამოჰყავდათ ცხვრის ან თხის ტყავიდან. ცხვარი ისე უნდა გაეტყავებინათ, რომ არ გაეპრათ („მრგვლად უნდა ამოვიდეს“), შემდეგ მარილს დააყრიდნენ და ხუთი დღე აშრობდნენ. გაშრობის შემდეგ

---

24 მ ო თ ა ლ ი ყ ვ ე ლ ი ერთნაირი თათრული ფხვიერი ყველი, გუდაში ჩაყრილი, იციან ბორჩალოში (ლ. ღ ე ო ნ ი ძ ე, მესაქონლეობის ლექსიკონი, ტფ., 1925, გვ. 43).

25 П. В о з и а к о в. Пастбищное сыроделие в Борчалинском уезде, КСХ, 1895, с. 73.

გარეცხავდნენ და გადაბრუნებდნენ ისე, რომ ბეწვიანი მხარე შიგნით დარჩენილიყო. სწორედ ბეწვი ინახავდა მოთბილის სირბილეს.

ქვემო ქართლის სომხურ მოსახლეობაშია გავრცელებული ყველის ერთი სახეობა შორა. შორა არ ინახება, იგი გათვალისწინებულია ყოველდღიური ოჯახური საჭიროებისათვის. ადუღებულ უმ რძეს შედგამენ ცეცხლზე სპილენძის ქვაბით, აადუღებდნენ. როცა რძე აიშრებოდა, ნაჭრის პარკში გადაწურავდნენ და ჩამოკიდებდნენ. ერთი დღის განმავლობაში შორა შრატისაგან საბოლოოდ იწურებოდა და გამზადებულად ითვლებოდა.

ქვემო ქართლში ამზადებენ კარაქს მთის მოსახლეობა — ნაღებისაგან, ბარისა — მაწვნისა ან უმი რძისაგან. „უმ რძეს როცა ვხდით, ის მალე მოდის. მაწონი კი გვიან, ისე მაწვნის კარაქი სჯობსო“ — მიუთითებენ მთხრობელები. მაწონს აგროვებდნენ დიდი თიხის ქილებში. თუ კარაქს ნაღებისაგან ამზადებენ, მაშინ რძეს ფილავენ ხის პინებზე ან ვარცლებზე, მეორე დილით მოხდიან ნაღებს და ჩასხამენ სანაღბეში. ნაღებს მთელი კვირის განმავლობაში აგროვებენ და მეექვსე დღეს შედღვებავენ.

ქვემო ქართლში კარაქის მისალებად ხმარობენ როგორც თიხის, ისე ხის სადღვებლებს. როგორც საველე მასალებიდან ჩანს, თიხის სადღვებელი გავრცელებული ყოფილა უფრო მეტად ბარის ქართველებში, ხოლო მთიულ მოსახლეობაში — ვარია.

ჩვენ მიერ ჩაწერილი და არქიტექტურულად ფიქსირებული ვარია (სოფ. ქსოვრეთი) წარმოადგენს ცილინდრული ფორმის ჭურჭელს, რომელიც დამზადებულია მთლიანი ხის მორისაგან, გული ამოღებული აქვს და თავსა და ბოლოში ჩადგმული აქვს იმავე ხის ფიცრები, რომელზეც გადაჭიმულია სალტეები. სალტეებზე ჩაბმული აქვს „ყაყურეები“ თოკის ჩამოსაბმელად. შუა თავი კი ამოჭრილია.

მეორე, სოფ. გუდარეხში ფიქსირებული ვარიაც ხის ცილინდრული ფორმის ჭურჭელია, მაგრამ დამზადებულია არა მთლიანი ხისაგან, არამედ შეკრულია რამდენიმე ადგილის, რომელსაც ზემოდან გადაჭიმული აქვს რკინის სალტეები. აღნიშნულ ვარიას თავსა და ბოლოში ჩასმული აქვს ხის ფიცრები, თოკის ჩამოსაბმელად გაკეთებული აქვს რკინის რგოლები. შუაში კი თავი ამოჭრილი აქვს მრგვალად. როგორც ლიტერატურაში[26] ცნობილი, ვარიის ტიპის სადღვებელი მასიურად

---

26 სადღვებელ ვარიას შესახებ იხ. აკად. გ. ჩიტაიას ხელნაწერი „ხევსური ვარია“. სადღვებლის ამ სახეობის შესახებ ცალკეული ცნობები მოეპოვებათ ს. მაკალათიას, გ. გასიტაშვილს, მ. მაკალთიას, ვ. შამილაძეს, და სხვ.

გავრცელებულია ბუდე-ხევსურეთში, აჭარაში, მესხეთში, ხოლო სპორ.-დულად — რაჭასა და ქართლში.

ვარია დიდი მასშტაბის რძის მეურნეობის წარმოებისათვისაა განკუთვნილი. მისი მეშვეობით შესაძლებელია დიდი რაოდენობით ნაღების გადამუშავება და კარაქის დამზადება. გარდა ამისა, ვარიის მუშაობის დროს შრომა რაციონალურადაა გამოყენებული და ადამიანისაგან ნაკლებ ენერგიას მოითხოვს[27].

ვარია საკიდელებითაა ჩამობმული სახლის ჭერზე ან ხეზე. დღეება ხდება მისი ჰორიზონტალური რხევით. დღეებავს ორი კაცი, თუ [illegible]ცა ერთსაც შეუძლია იმუშაოს ხელისა და ფეხის მოძრაობით.

თიხის სადღვებელი წარმოადგენს გამომწვარი თიხისგან დამზადებული ოვალური ფორმის ჭურჭელს, რომელიც გარედან მოხატულია სხვადასხვა წრისებური ორნამენტებით. სადღვებელს თავი და ძირი ვიწრო აქვს მუცელთან შედარებით, თავი აი ღია. სადღვებელს აქვს ორი სახელური — ერთი ყელთან (ამას „ყურს" ეძახიან), მეორე აი ქვემოთ, მუცელთან. თავთან აქვს ნახვრეტი — „შუშუტა", ჰაერის გამოსასვლელად, რომელშიც გრძელი ჯოხია გაყრილი. თავზე მოკრული აქვს ცხვრის ტყავი — სერა. თიხის სადღვებელში დღეება ხდება შემდეგნაირად: სადღვებლის ხის დასადგმელზე, რომელსაც დოთქუნთას[28] უწოდებენ, დებენ რბილ ჩვარს ან პატარა ბალიშს და შემოდგამენ სადღვებელს, რომელშიც სამი-ოთხი დღის ნაწველია ჩასხმული. წინ დაუჯდება მდღვებავი ქალი, რომელიც ორივე ხელს წაავლებს ზემოდან ყურს და ამოძრავებს.

სადღვებლის ამ ტიპის არსებობას ჯერ კიდევ 40-იან წლებში ყურადღება მიაქცია ცნობილმა გერმანელმა მოგზაურმა ა. ჰაქსჰაუზენმა ოსებში და აღნიშნა, რომ ამგვარი წესით გამოხდა მხოლოდ ოსებმა იციან კავკასიაშიო[29]. როგორც შემდგომმა გამოკვლევებმა დაადასტურა, ამ წესით დღეება ოსებს გარდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება. აკად. გ. ჩიტაიას მიერ დადასტურებულია დღეების ეს პროცესი სოფ. ყორნისში. აქ გავრცელებული სადღვებელი „სარე-სოღდენ" წარმოადგენს მთლიანი ხიდან გულამოღებულ და ძირჩაგდებულ ჭურჭელს, რომელშიც ასხამენ მაწონს ან ჩუმას, თავს მაგრად მოუკრავენ და შუაწელით ჩადებენ პატარა მრგვალ კუნძზე. მდღვებელი მიუჯდება, ბოლოში ჩაავლებს ხელს და ამოძრავებს წინ და უკან რიტმულად.

სადღვებელი „სარე სოღდენ" განსხვავდება აღწერილი სადღვებისაგან, როგორც ფორმით, ისე მასალით. მაგრამ პროცედურის შესრუ-

---

27 გ. ჩიტაია, ხევსურული ვარია, გვ. 44—45.

28 ხევში „ქუნთაის" უწოდებენ, იხ. ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1932, გვ. 70.

29 გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

ლების დროს უკანასკნელს ამოძრავებენ წინ და უკან, პირველს კი — ქვევიდან ზევით.

თიხის სადღვებელი გავრცელებული ჩანს რაჭაშიც, კერძოდ, მთის რაჭაში. იგი აღწერილი აქვს აკად. გ. ჩიტაიას აღნიშნულ ნაშრომში[30]. ამ სადღვებელის მსგავსია ის თიხის სადღვებლებიც, რომლებიც იხმარება ხევში, გუდამაყარში, მთიულეთში და ქართლის სხვადასხვა რაიონებში.

აღსანიშნავია, რომ კარაქის შესადღვები თიხის ჭურჭელი საქართველოს ტერიტორიაზე განათხარ მასალებშიც გვხვდება. სოფ. დაბლაგომში აღმოჩენილი თიხის ფრაგმენტები არქეოლოგებს სადღვებლის ნაწილებად მიაჩნიათ. მთლიანი თიხის სადღვებელი აღმოჩნდა მცხეთაში, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XI—IX საუკუნეებით თარიღდება[31]. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ძველი მოსახლეობა იცნობდა რძის პროდუქტების მოპოვება-გამოყენების მნიშვნელოვან ხერხებს, რაც შესაქონლეობის დაწინაურებულ ტიპზე უნდა მიგვითითებდეს.

ხალხური რწმენა-წარმოდგენებით, დღვებისათვის კარგ დღეებად ითვლებოდა ხუთშაბათი და სამშაბათი, უკეთესი იყო შედღვება დილით ადრე „უჩუმრად", სიგრილეც იყო და, გარდა ამისა, უცხო თვალისაგან დაცულიც. „ფეხის აბმა" არ იყო კარგად დაცდილი. უცხო თვალისაგან დასაცავად. „აკაკის" ხისაგან ჯვრის გამოჭრა იცოდნენ, რომელსაც ჰკიდებდნენ სადღვებელის ყურზე. ან თვით სადღვებელში ჭრელი მძივების, შელოცვილი ნახშირის ან პატარა ბიჭის ცოს ზომის ჩხირის ჩაგდება. დღვების დროს ცულს ან რკინას დაუგდებდნენ სადღვებელს, ძირში, რომ კარგი ნადღვები გამოსულიყო. დღვებავდა ქალი, ოჯახის დიასახლისი. მუშაობის დაწყების წინ დაილოცებოდა „ღმერთო ბარაქა მოგვეცით", ამ დროს, რომ ვინმეს შემოესწრო, აუცილებლად ისიც დაილოცებოდა: „ჩემი წონა ერბო ამოვიდესო".

დღვების პროცესში ნაღებს ხელზე სინჯავდნენ, „მოვიდა თუ არა კარაქი", თუ „ძ ი ძ ი ბ-ძ ი ძ ი ბ ე ბ ი თ" (ხორკლებივით) არის და თბილი ხელით გუნდდება. მაშინ კარგია. მზადდება. თუ არა გუნდდება და წყალდება, მაშინ თბილ წყალს დასხამენ და განაგრძობენ დღვებას. შედღვება თუ ძალიან გაჭიანურდებოდა, მაშინ თვალისას შეულოცავენ. ან ცეცხლზე შედგამდნენ და შეათბობდნენ. ამ შემთხვევაში ძალიან ცოტა კარაქი ამოვიდოდა.

კარაქი ზოგი მალე მოდის, ხალხური დაკვირვებით, ის რძის ხა-

---

30 გ. ჩ ი ტ ა ი ა. „ხევსურული ვარია", გვ. 34.

31 ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მცხეთა, ტ. I, გვ. 148.

რისხზე უნდა იყოს დამოკიდებული. თიხის სადღვებელში „რ ძ ის შ ე ყ რ ა ს“ ხალხი იგებდა შემდეგნაირად! „შ უ შ უ ტ ა დ ა ნ“ თითს შეჰყოფენ, თუ „წვრილ-წვრილ არის აკინძული“, იტყვიან „ა ჩ ე ნ ი ლ ი ა ო“, და ისევ განაგრძობენ დღვებას, რომ არ „ჩათბეს“. როცა ცოტა-ცოტა შემსხვილდებოდა, მაშინ იტყვიან „უ კ ვ ე შ ე ს ა ყ რ ე ლ ი ა ო“, „ა კ ა რ ა ქ დ ა ო, ა კ ო რ კ ო ტ დ ა ო“, განაგრძობენ დღვებას და სულ რომ შესქელდება, იტყვიან „შ ე მ დ გ ა რ ა“, „შაიყარა“, ხმაზეც შეატყობ, როგორც ცარიელი წყალი, ისე ჩქაფუნობსო“. მერე მოხსნიან „სერას“ და ერთი ხელით ამოიღებენ კარაქს. ხის თაფლებზე მოზელავდნენ, გააკეთებენ გუნდებს, ორჯერ წყალს გადაავლებდნენ და დაამარილებდნენ თუ კარაქად უნდოდათ.

ერბოს გასაკეთებლად კარაქს ჩაასხამენ ქვაბში, გაათბობენ, გაწურავენ ტილოში და ისევ ადუღებენ, ვიდრე ქაფი არ გაშრებოდა. შემდეგ ცოტა ფქვილს მოუკიდებენ, აადუღებენ, გადმოდგამენ და ჩაასხამენ ქილებში, მარილს არ გაუკეთებენ. თუ შესანახად უნდოდათ, მიწაში ჩაალაგებენ, ზემოდან სუფთა ტილოს გადაფარებენ, მერე ქატოს დააყრიან და ჩამარხავენ ან სიპ ქვას დაადებენ ზემოდან. ზოგი ფაშვის ტყავით მოუკრავდა თავს. კვირაში ერთხელ ზემოდან ცოტა-ცოტა წყალს ასხამდნენ, რომ გრილად ყოფილიყო და არ გაფუჭებულიყო.

მთიდან კარაქი გუდებით ჩამოჰქონდათ და ადნობენ სახლში. განსაკუთრებული მოთხოვნილებით სარგებლობდა მაისის ერბო. იმას ცალკე ინახავდნენ. წამლად ხმარობდნენ: გაცივების დროს გულით ავადმყოფებისათვის დაადნობდნენ და ჭიქით ასმევდნენ. „მკვდრებისთვისაც ეხმარობდით, კორკოტს ჩავდგამდით თებერვალშიო“.

ერბოს „ზ ე დ ა შ ე დ“ შენახვაც იცოდნენ. „პ ი რ ვ ე ლ ა“ ძროხის რძეს პირველად რომ შედღვებავდნენ, იმის ერბოს ჩაასხამდნენ პატარა ქილაში და შეინახავდნენ „ზედაშედ“. დღეობა „ლომისობაზე“ დააცხობდნენ იმ ერბოდან ქადებს (პირველად რომ გალეწავდნენ იქიდან რამდენიმე ჩანახს ამ დღისათვის სპეციალურად შეინახავდნენ) იმისათვის, რომ „საქონელს ბარაქა ჰქონდესო“— აღნიშნავენ მთხრობელები.

ქეემო ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში დგინდება დ ო მ ხ ა ლ ი ს შემზადებაც. დომხალად რძეს და მაწონს შედღვებავდნენ. ნადღვები რომ დარჩებოდა, იმას ცეცხლზე გაათბობდნენ. პარკში ჩაასხამდნენ და გაწურავდნენ, „გ ა ქ ა ჯ ა ვ დ ნ ე ნ“. პარკს ზედ ქვებს აწყობდნენ, რომ კარგად გაწურულიყო. მერე ქილაში ჩაჯდებდნენ, მარილს მოაყრიდნენ, ზემოდან ერბოს გადაასხამდნენ, რომ ნოყიერი გამოსულიყო და არ გაფუჭებულიყო. ამგვარად შემზადებულს ჩამარხავდნენ მიწაში. ზოგი დომხალს მრგვალ კვერებად გააკეთებდა, მზეზე გაახმობდა და

ზამთრისათვის შეინახავდა. ამას ყ უ რ უ თ ი ერქვა. დოს გამხმარ კვერებს მთის მოსახლეობა კ უ შ კ ა ნ ე ბ ს ეძახდა. ხეჭოს ა ნ ძ ლ ა ტ ს ეძახიან. ყველის შრატს შედგამენ ცეცხლზე, ადუღებენ („როგორც ყველი ისე აიჭრება") და გადაწურავენ. ახალმოგებული ძროხის პირველ მონაწველს—ხსენს თვითონ საქონელს აძლევენ, მეორე დღის მონაწველს ანძლატად აკეთებენ (არაქართულ მოსახლეობაში გ უ ლ მ ა ს ეძახიან). კარაქის ნადღვებისაგან ჩ უ მ ა ს ამზადებენ. პარკში გაწურულს ქილაში ჩასტეპნიან, ზემოდან ერბოს მოასხმენ და ისე ინახავენ ზამთრამდის.

შრომის ორგანიზაციის ფორმა რძის მეურნეობაში — ხანულობა

ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრებაში ფართოდ იყო გამოყენებული შრომის დროებითი გაერთიანების მრავალფეროვანი ფორმები, რომელთა შესწავლის საფუძველზე ნათელი ხდება მისი ეკონომიკური ეფექტიანობა და მნიშვნელოვანი სამეურნეო სარგებლიანობა. შრომის გაერთიანება — კოოპერაცია ქართველ ტომთა ყოფაში გამოყენებული ყოფილა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია მისი გამოყენების პრაქტიკის გავრცელება მიწათმოქმედების, მონადირეობის, მესაქონლეობის და სხვა დარგებში.

შრომის ორგანიზაციის ფორმები ფართოდ მოწმდება მესაქონლეობაშიც. მეცხოველეობის პროდუქტები: რძე, ყველი, ერბო, მატყული, ტყავი და სხვ. გარდა ოჯახური საჭიროებისა, ადრიდანვე წარმოადგენდა გაცვლის, ფულადი შემოსავლისა და შინამრეწველური საქმიანობისათვის ნედლეულის მნიშვნელოვან წყაროს. მეცხოველეობის მნიშვნელოვანეს პროდუქტს წარმოადგენდა რძე: მალფუჭადობა აუცილებელს ხდიდა მის ოჯახშივე გადამუშავებას და ამიტომაც ოდითგანვე საოჯახო მრეწველობის ტრადიციულ ფორმად იქცა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დადგენილია მესაქონლეთა შრომის ორგანიზაცია, რომელიც ძირითადად ზაფხულის პერიოდში სრულდებოდა როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა მესაქონლეობაში. ამ სახით წარმოქმნილი მესაქონლეთა გაერთიანება შემოდგომით იშლებოდა. მესაქონლეთა ასეთ გაერთიანებაში იკრიბებოდნენ ერთი სოფლის ან რამდენიმე მეზობელი სოფლების მეკომურეები. სამეგრელოში მესაქონლეთა გაერთიანებას მ ა კ ა თ უ რ ს, ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა ს ა ც უწოდებენ, თუშეთში ცხვრით შეამხანაგებას დ ა ტ ე ვ ა ს, ქიზიყში მ ო ნ ა რ ე ვ ე ბ ს, აფხაზეთში ა ბ ე უ ფ ს, კახეთში ბ ე რ ა ს და სხვ.

(ქვემო ქართლში გავრცელებული ჩანს შრომის გაერთიანების ისეთი ფორმაც, რომელიც მხოლოდ რძის გაერთიანებას გულისხმობს: ხანულობა, რძის გაერთიანების წესი, იგი დასტურდება აგრეთვე მესხეთ-ჯავახეთში, გარე კახეთში[32] და განსხვავებული სახელწოდებით ჯერით წველა — მთიულეთში.)

ჩვენს საკვლევ რეგიონში ხანულობდნენ არა მარტო ქართველი, არამედ სომეხი და თათარი მესაქონლეებიც. „ხანულობა" რომ ძველთაძველი წესია, ამაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ მას ტერმინი დაცული აქვს საბას: ხანული — რძის მოზიარენი დიაცნი[33]. ნ. ჩუბინაშვილთან, ხანული — რძის მოზიარე მსოფლიონი დედაკაცნი, მწველელთა ფურთა პატრონნი ორნი, სამნი[34].

ხალხურ ფოლკლორშიც ბევრგან გვხვდება ტერმინი „ხანული", მოვიყვანთ ერთ-ერთ მათგანს: „ფური მგელმა შეჭამა, ხბო იძახდა ბეო, ხანულები იძახიან, მოგვიტანე რძეო"[35] და ა. შ.)

„ხანულობის" წესის არსებობა საქართველოში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ძველ ქართველ მკვლევრებს[36] და სათანადო ყურადღება მიუქცევიათ მისთვის, განსაკუთრებით XIX ს. 90-იან წლებში, როცა წველა-დღვების მრეწველობამ ფართოდ მოიკიდა ფეხი ამიერკავკასიაში, მაშინ დასმულა კიდეც საკითხი „ხანულობის" ეკონომიკურ რეჟიმში ჩაყენების შესახებ. პროფ. პეტრიაშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი გამოხმაურებია ამ აზრავს „რძის მრეწველობას ჩვენს ადგილებში დიდის ეკონომიურის სარგებლობის მოტანა შეუძლიან, თუ მეტად-

---

32 ხანულობა დადასტურებულია ზემო ქართლში (კ. ჩოლოყაშვილი, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, დღიური, 1947), მესხეთ-ჯავახეთში მ. მაკალათიას მიერ (იხ. მისი, მესაქონლეობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ. მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972), პარალელს პოულობს ახალ ფერეიდნულ მასალებთან (თ. ცაგარეიშვილი, ფერეიდნელები საქართველოში, თბ., 1951).

რძის სესხება — გაერთიანების ეს წესი გარკვეულ მსგავსებას იჩენს საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ ანალოგიურ წეს-ჩვეულებასთან; აჭარაში (იხ. ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 138). შიდა კახეთში — ბერას სახელით არის ცნობილი. ხანულობისგან განსხვავებით, ბერაში ერთიანდებიან მამაკაცები. წველის სეზონის დადგომისთანავე სოფელში შეიქმნებოდა რამდენიმე ბერა. თითოეულ ბერაში გაერთიანდებოდა 5—10 ოჯახის საქონელი მაინც. ბერაში შემავალი ოჯახები რიგრიგობით მთელი დღის ნაწველს იღებდნენ ერთ ჯერზე. რიგით მწყემსობა და წველა თანაბარუფლებიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპს ემყარებოდა (თ. ცაგარეიშვილი, კახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1974).

33 სულხან-საბა ორბელიანი, თხზ-ნი, ტ. IV, გვ. 414.

34 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 462.

35 ივერია, VI, 1885.

36 ნ. აბაზაძე, Ханулоба—обычай соучастия в молоке, ЭО, 1898, I.

რე ჩვენში გავრცელებული ხანულობა უფრო გავრცელდება და ᲘტკიᲪᲔ ეკონომიურ კვალში ჩადგებაო"[37].

„ხანულობა" დიდად საპატიო და პასუხსაგები მოვალეობა იყო. ხალხის მსოფლმხედველობით „ხანულობა" თვით ღმერთისაგან იყო დაწესებული, აქ იყო „სათავე სიკეთისა და სიბოროტისა"[38]. ამიტომ ქართველი ქალი „ხანული" პირიანად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ოჯახით მოწოდებული იყო პირნათლად ჩაეტარებინათ „ხანულობა".

რძით „შეამხანაგება" ბადებდა ხალხში ურთიერთსიყვარულს, კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას, აახლოებდა, ანათესავებდა ერთმანეთთან ოჯახებს. განსაკუთრებით დაცული იყო „ხანულის" პიროვნების პატივისცემა. ამავე დროს დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ „ხანულის" არჩევას, ერიდებოდნენ სახელგატეხილ და ჭორიკანა დედაკაცებს.

საკვლევ რაიონში ხანულობა გავრცელებული წესი ჩანს. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო იმ ეკონომიური დაინტერესებულობით, რომელსაც „დახანულებული" იღებდა ხანულობის პერიოდში. მაგალითად, ერთი ძროხის პატრონი „დახანულების" პერიოდში 5 ძროხის ნაწველს იღებდა ერთ წველაზე (გაერთიანებული იყო 5 მეზობლის თითო ძროხა და ა. შ.).

ხანულობა ექვემდებარებოდა შემდეგ წესს:

როცა „ზაფხულის წველა" დაიწყებოდა ორი, სამი ან მეტი მეზობელი შეამხანაგებოდნენ წველაში: „შაიპირებდნენ", „დავხანულდეთ ორი ძროხის არაფერი გამამდისო", ან იტყოდნენ „რძე მოვუყენოთ ერთმანეთსო", ერთი კვირით, ორი კვირით ან მეტი ხნით. როგორც მთხრობლები აღნიშნავენ, ისინი რძეს „ფილამდნენ", მხოლოდ „კალოობამდე", რადგან „კალოობაში" რძე სულ მაწვნად სჭირდებოდათ.

დახანულებული ერთმანეთში დაინაწილებდნენ რიგს: კენჭს ყრიდნენ, ვის მოუწევდა პირველი „ხანული" და შემდეგ ამ რიგის მიხედვით გადაუტანდნენ ერთმანეთს რძეს. მაგალითად, თუ ერთი კვირა იყო დათქმული, ამ რიგით პირველს ერთი კვირის მანძილზე ყველა მიუტანდა რძეს, მეორე კვირას-მეორეს, შემდეგ მესამეს და ა. შ.

ხანულობის პერიოდში მოზიარეებს რძე ერთმანეთთან გადაჰქონდათ ამ დროისათვის სპეციალურად შერჩეული ქილით, რომელსაც

---

37 ვ. პეტრიაშვილი, რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება, მოამბე, I, 1896, გვ. 55.

38 Н. Абазадзе, დ.ს.ხ. ნაშრომი, გვ. 126—127.

„ქურდი“ ერქვა. ხან ამ მიზნით „საწველელიც“ მოიხმარებოდა.) თუ „საწველელს“ რძე არ ავსებდა, მაშინ მასში რძეს ჩანიშნავდნენ (სუფთა ჯოხს ჩაპყოფდნენ, დანიშნავდნენ სანამდის მისწვდებოდა რძე და იქ „ჭდეს“ დაადებდნენ) და ამავე ზომაზე უნდა დაებრუნებინათ უკან რძე. ხანულებს შორის მტკიცედ იყო დაცული პირიანობა რძის გაგზავნის დროს. ხანულის მოტყუება „საღვთო ცოდვად“ ითვლებოდა.

ხანულობა სასურველი, მომგებიანი ღონისძიება იყო მოსახლეობისათვის, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმ ეკონომიკური დაინტერესებულობით, რომელსაც „ხანულობის“ წევრი იღებდა ამ შეამხანაგების პერიოდში. „ხანულობა“ მეტ გავრცელებას პოულობდა იმ სოფლებში, სადაც საქონლის სიმცირე იყო. ოჯახური საჭიროებისათვის კი აუცილებელი იყო რძის პროდუქტების მარაგის შექმნა ნაკლებფუჭებადი და ტრანსპორტაბელურობის ამტანი ნედლეულისაგან. რომელიც გამოიყენებოდა არა მარტო საოჯახო მეურნეობაში, არამედ გასაყიდადაც. მცირერიცხოვანი მეწველი პირუტყვის პატრონი ხანულობის პერიოდში საკმაოდ იმარაგებდა ყველსა და ერბოს.

„ხანულობის“ წესის და ტერმინის დადასტურება ფერეიდნელ ქართველებში „ხარმულობის“ სახელით[39], ერთხელ კიდევ მიუთითებს ამ შეამხანაგების სიძველეზე საქართველოში[40].

მსხვილფეხა საქონლის პროდუქტები და მისი რეალიზაციის სახეები. ხ ო რ ც ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა. სახორცედ ძირითადად კლავენ ბებერ, არამეწველ//ურწან ან 2—3 წლის სახარე მოზვრებს. — ქორწილის, ნიშნობის, ქელეხის დროს. საქონლის დაკვლა სოფელში შეეძლო ყველა შამაკაცს. ამისათვის ყველა ოჯახში სპეციალურად შენახული ჰქონდათ დანა (ს ა ქ ო ნ ლ ი ს დ ა ნ ა ს ე ძ ა ხ დ ნ ე ნ) ან მოკლე ხანჯალი.

დაკვლის დროს აკვირდებიან, თუ საქონლის სისხლი შავი ფერისაა, ის ხორცი გემრიელი არ არის, წითელი სისხლისა კი გემრიელია. თუ დაკვლის დროს სისხლი მიწაში ისე წავიდა, როგორც წყალი და არ შედედდა იმ ხორცს არ ჭამენ, ე. ი. საქონელი ავადმყოფია. როცა სისხლი „მაწონივით შედედდება“, ის კარგია.

საქონელს ატყავებს ორი კაცი. კისრიდან დაიწყებენ, გაჭრიან მუ-

---

39 თ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

40 საინტერესოდ გამოიყურება ის მოვლენაც, რომ საქართველოში გავრცელებული ანდაზა „ხანულობის“ შესახებ ფერეიდნელებშიც დასტურდება. ქართლში — „ძროხა აღარ მყავს, მორჩა ხანულობაო“, მესხეთ-ჯავახეთში — „ძროხა მოკვდა, ხანულობა გადაეარდაო“, ფერეიდანში — „მოკვდა ფური, გარდაჭწყდა ხარმულობაო“ (მესხეთ-ჯავახეთის მასალების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ ეთნოგრაფ თ. იელაშვილს).

ცელზე, ფეხებშუა გააყოლებენ, მერე ნელ-ნელა გვერდით ეწევიან, გადახსნიან ცალ მხარეს. გატყავების დროს დანას უსვამენ ცერად და ტყავი ცალკე გადადის. როცა ერთ მხარეს გაატყავებენ, მერე იმ ტყავზე გადააწვენენ და დაიწყებენ მეორე გვერდის გატყავებას, ტყავი მარტო კუდზე რჩება. მერე ჩვეულებრივ წამოაყენებენ საქონელს და მუცელს „გამოწელავენ". ჯიგარსა და ფაშვს ერთად გამოიღებენ, გააშორებენ ერთმანეთს და გაწმენდავენ. ჯიგარს ცალკე, ფაშვს ცალკე.

შემდეგ „დაკუწავენ", ჯერ ბარკლებს აჭრიან, მერე შუაზე ორად გაჭრიან. ამას „ნახევარი" ჰქვია და შუას კიდევ „ორად, ნახევრის ნახევარი", თუ გასაყიდად უნდათ, ხორცს „წვრილ-წვრილ დაკუწავენ. ხორცს დაადებენ კუნძზე და ცულით „დაჰკაფავენ", ისე რომ ძვალი და რბილი ერთმანეთში იყოს არეული. ხორცის კარგ ნაჭრებად ითვლება სუკი, თაფლა სუკი — უკანა ბარკლებს ქვეშ რომ ამოდის, აგრეთვე მკერდი.

ქვემო ქართლში საკლავი უმეტესად ახალი ხორცის სახით მოიხმარებოდა ან მაშინვე რეალიზაციას უკეთებდნენ, გასაყიდად მიჰქონდათ ბაზარზე თბილისში, მარნეულში ბოლნისში, თეთრიწყაროში და სხვ. მთისრობელთა თქმით გაყიდვა ყველაზე მომგებიანი იყო თბილისში.

ტ ყ ა ვ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა. საქონლის ტყავისაგან ადგილობრივ უმეტესად კერავდნენ ფეხსაცმელს — „ქ ა ლ ა მ ა ნ დ ს". საქონელს რომ გაატყავებდნენ, მოაყრიდნენ მარილს, დაჭიმავდნენ მიწაზე და დაარტყამდნენ ჩხირის ლურსმნებს (ხისაგან გამოთლილი ლურსმნები), ტყავი 3—4 დღეში გახმებოდა. მერე დაჭრიდნენ შ ო ლ ტ ე ბ ა დ. ერთი ტყავისაგან 10-ზე მეტი შ ო ლ ტ ი გამოდიოდა, შოლტებს დაჭრიდნენ კ ო პ ე ბ ა დ (უფრო წვრილია) და შეკერავდნენ „ქალამანდს".

„შოლტზე ფეხს დაადგამდნენ, გამოჭრიდნენ ზომაზე სიგრძეს, მერე წინა ორ თავს გადმოკეცავდნენ და კოპიკ ამოასხამდნენ".

„საქალამანდე" ტყავად ყველა ვარგოდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, საქონელი როდის იყო დაკლული. „ქალამანდი" საქონლის ტყავის ყველა ნაჭრისაგან იკერებოდა, მაგრამ ზურგის ნაწილი ყველას სჯობდა, რადგან უფრო სქელი იყო და დიდხანს სძლებდა.

ხარის ტყავს ხმარობდნენ ღვედებისათვის. განსაკუთრებით ხარის ტყავის ზურგის ნაწილია კარგი საღვედად. ღვედებს ჯერ დაალბობდნენ წყალში, მერე „დაძოლავდნენ", ქონით დახელდნენ და დაწნიდნენ. ღვედს გუთანში ჩასაბმელად ხმარობდნენ. ორი ზოლიდან (ნაჭერი) გამოდიოდა ერთმეტრიანი ს ა მ ა ტ ი, რომელსაც უღელზე უბამდნენ. სამატისათვის კარგია მსუქანი საქონლის ტყავი, რადგან უფრო რბილია და მომყოლიც არის. გამხდარ საქონელს ხმელი ტყავი აქვს და არ გა-

მოდგება. კიდევ ჭაპნებს აკეთებენ ხარების მისაბმელად. ღვედებს, ჭაპნებსა და სამატა ოსტატი აკეთებდა, საერთოდ მთხრობელებში ალნიშნავენ, რომ ყველაფრისათვის უკეთესია ზამთარში დაკლული საქონლის ტყავიო.

საქონლის რქას იყენებდნენ ნამგლებისათვის. გამოფხეკავდნენ, გამოასუფთავდნენ, შიგ ერბოს ჩასხამდნენ და ყანებში მიჰქონდათ ნამგლის სალესად. სალესავზე ჯერ ერბოს წაუსვამდნენ და მერე ნამგალს ზედ გადაუსვამდნენ.

საქონლის ნაკელს გამოიყენებდნენ მხოლოდ საუქად. გომის გამოსუფთავების დროს „ნეხეს" ხის ნიჩაბით ჯინებზე დაყრიდნენ, გაიტანდნენ გარეთ და დაყრიდნენ „სანეხვეზე", რომელიც სახლის გვერდით ხუთ-ექვს მეტრზე იყო. ეს ზამთარში, ზაფხულობით კი პირდაპირ ნათესებში გაიტანდნენ. დასტურდება ნაკელის გამოყენება სათბობადაც. მოსახლეობაში წ ი ვ ა ეწოდება.

ვაჭრობა და აღებ-მიცემობა მესაქონლეობის პროდუქტებით განსაკუთრებით გაძლიერდა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ეკონომიური ცენტრების დაწინაურებამ გაზარდა მათზე საბაზრო დანიშნულების მოთხოვნილება. ქვემო ქართლის მოსახლეობა მესაქონლეობის პროდუქტებს იყენებდა ვაჭრობისა და გაცვლა-გასაღების წყაროდ. განსაკუთრებით მუსულმანი მესაქონლეების ერთადერთი რეალური შესაძლებლობა საარსებო წყაროს შოვნისა იყო მესაქონლეობის პროდუქტების გაცვლა-გაყიდვა. ეკონომიურ ცენტრებთან ტერიტორიული სიახლოვის გამო ქვემო ქართლის მესაქონლეს წლის ყოველ დროს შეეძლო გაეყიდა ხორცი, ყველი, კარაქი და სხვ. თბილისს გარდა, საგაჭროდ იყენებდნენ მანგლისის, თეთრიწყაროს, შულავერისა და ბოლნისის ბაზრებს.

ცოცხალი საქონლის სახორცედ შესყიდვა ხდებოდა ძირითადად ძველი ბორჩალოს მაზრაში. განსაკუთრებით, მომთაბარეების გამგზავრებისას საზაფხულო საძოვრებზე და უკან დაბრუნებისას. ეს გარემოება კარგად იცოდნენ თბილისის ვაჭრებმა და ამთგან ძალიან ბევრი ხელსაც ითბობდა[41]. იყენებდნენ რა მომთაბარეების გაჭირვებულ მდგომარეობას, შემოდგომით და ზამთრობით თბილისის ჩარჩები ჩამოივლიდნენ სოფლებში და სესხად გასცემდნენ ფულს ან მათთვის საჭირო საკვებს. ამის საფასურად გაზაფხულობით მიერეკებოდნენ საქონელს.

---

41 შ. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, შინაური საქონლის მოვლა-მოშენება, მოსაგალი, 1909, № 15.

საქონლის შესყიდვა სახორცედ იწყებოდა ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში და გრძელდებოდა მთელი ზამთრის პერიოდში. საბაზრო ფასები ცოცხალ საქონელზე მერყეობდა საქონლის ასაკის, წონის, წლის პერიოდის მიხედვით, თუ ძროხის ფასი ადგილზე 7—18 მან. იყო, თბილისის ბაზარზე 12—22 მან. ფასობდა. ხარების ფასი ადგილზე 14—15 მან. იყო, ბაზარზე 18—20 ან 35—40 მან[42].

კარგი გასავალი ჰქონდა ყველსაც. ცნობილია ყველის რეალიზაციის შემდეგი სახეები: 1. ადგილობრივ მეურნეს თვითონ გაჰქონდა ყველი ბაზრებზე; 2. ვაჭარს გაუცვლიდა მისთვის საჭირო საქონელში, როცა იგი ჩამოივლიდა სოფლებში ყველის შესასყიდად; 3. გაავალებდა ზამთარში და ზაფხულში ყველის განსხვავებულ რაოდენობას მიიღებდა. იმ შემთხვევაში, თუ ყველის შესყიდვა დიდი პარტიებით ხდებოდა, მსყიდველი ვაჭარი თვითონ გაემგზავრებოდა მთაში მესაქონლეებთან, ან დგამდა კარავს და იწყებდა რძის შესყიდვასა და ყველის დამზადებას.

მთაში ზუსულმან მესაქონლეებში განსაკუთრებით გავრცელებული იყო რძის პროდუქტების გაცვლა პურზე, ფქვილზე. ახლომახლო სოფლების გლეხობა კარაქზე და ყველზე თათარ მესაქონლეებს ხორბალს, გამომცხვარ მზა პურს ან ხილს უცვლიდა. თათარ მესაქონლეებში მიღებული იყო ფულის სესხად აღება. ზამთრობით ფულს სესხულობდა იმისათვის რომ თავი გაეტანა ზამთრის სუსხიან დღეებში, ზაფხულობით — მთაში მიმავალს ფული სჭირდებოდა პურის, ხილის და სხვა აუცილებელი ნივთების საყიდლად. სესხად აღებული ფული მას უნდა გადაეხადა ნატურით — ყველით ან მატყლით. ამიტომ ზაფხულის განმავლობაში საზაფხულო საძოვრებზე ყოველთვის იდგა მევალეთა კარვები ყველისა და მატყლის ჩასაბარებლად.

კარაქისა და ყველის მასიური გაყიდვა უმეტესად ხდებოდა ზაფხულობით. თათარ მესაქონლეს თვითონ ჩამოჰქონდა იგი მთიდან ბარში ან ვაჭრები (ხშირად ვაჭრებს სოფლები დანაწილებული ჰქონდათ) თავად ჩამოივლიდნენ და შეისყიდდნენ ყველისა და კარაქის დიდ

---

[42] П. В. Скотопромышленность Борчалинского уезда КСК, 1895, с. 67.

[43] П. Возианов, Пастбищное сыроделие в Борчалинском уезде, КСХ, 1895. 73.

პარტიებს. ადგილზე თუ ყველი შეისყიდებოდა ორ მანეთად, ბაზარზე თბილისში 4—5 მან. იყიდებოდა[44].

მასობრივი გაყიდვის საგანი იყო მატყლი. მატყლს ყიდულობდნენ ადგილობრივი მეწვრილმანეები, რომლებიც ცელიდნენ მას ეხვადაეხვა საქონელში[45].

ადგილობრივი ფასები საქონელზე იყო შემდეგი:

ცხენი — 30 მან.	ხარი — 35—40 მან.
კამეჩი — 40—80 მან.	ძროხა — 20—25 მან.
ცხვარი — 3 მან.	

მატყლის ფასი მერყეობდა 3 მანეთიდან 5 მანეთამდე[46].

---

[44] С. Бунятов, Хозяйство кочевников, КСХ, 1997, 203.

[45] А. Аргутинский, Скотоводство в Борчалинском уезде, КСХ, 1895, с. 96.

[46] А. Аргутинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 96—98.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

მესაქონლეობის ტრადიციების ასახვა ხალხური ქვის კვეთილობის ნიმუშებში

ქვემო ქართლში გავრცელებული სამარხის ქვების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა კვლევის ცალკე საგანს შეადგენს. ამიტომ წინამდებარე თავში, სამარხის ქვების ისტორიის შესწავლის შუქზე, მოკლედ შევეხებით საკვლევ რეგიონში წარმოდგენილ მრავალფეროვან სამარხეულ მოხატულობებს, რამდენადაც მას ქვემო ქართლში მესაქონლეობის ტრადიციების გამოვლენის თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, სადაც მრავალ ისტორიულ ქარიშხალს გადაუვლია, გაუპარტახებია და დაუცარიელებია ერთ დროს მჭიდროდ დასახლებული მხარე, შინაურ თუ უცხო ტომთა თავშესაფარ ადგილად უქცევია ქართული მიწა, მრავალ მატერიალური კულტურის ძეგლს ვხვდებით: ეკლესიებისა და ციხე-კოშკების ნაშთებს, ნასოფლარებს, მიტოვებულ სამარხებს და სხვ. ისტორიის ბედუკუღმართობას მრავალი მათგანისათვის თავისი მსახერელი ხელი დაუტყვია, მაგრამ, რაც საღღეისოდ გადარჩენილია ისიც კმარა ამ კუთხის დიდებული წარსული აღსადგენად.

ჩვენი დაკვირვების საგანს წარმოადგენს სამარხების მოხატული ქვები, რომლებიც მრავლადაა გაბნეული ქვემო ქართლის რიგი სოფლების მიტოვებულ სასაფლაოებზე და მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ღირებულების შემცველია. სამარხის ქვებისა და მათზე მოცემული მხატვრობის ეთნოგრაფიული შესწავლა მეცნიერულ ინტერესს იმსახურებს, ჯ ე რ ე რ თ ი, ხალხური ქვაზეკვეთილობის ამ დარგში ქართველი ხალხის მხატვრული გემოვნების გამოვლენის, ქართული ჩუქურთმის გამოკვეთის ტექნიკისა და მასთან დაკავშირებული შრომის პროცესებისა თუ იარაღის სახეობების შესწავლისათვის. ქვემო ქართლში, რომელიც მდიდარი იყო ადგილად დასამუშავებელი ქვის საბადოებით, ვხვდებით ქვის ოსტატთა სხვადასხვა პროფესიებს: ქვის მჭრელი, ქვის გამომკვეთი, ქვის მთელი, ქვის დამჭრელებელი. ეთნოგრაფიული კვლევით ელინდება რელიეფური ჩუქურთმის მრავალფერო-

ვანი სახეები: ზემოჭრილი ჩუქურთმა, შიგ ჩაჭრილი ჩუქურთმა, მრგვალი ჩუქურთმა, გამოსახული ქვა, მრგვალი ქანდაკება და სხვ. საფლავის ქვების, ბუხრის ქვის კამარების, წყაროს კოშკების ჩუქურთმებში მოცემულია ყველა ელემენტი, რომელიც განვითარებას პოვებს მაღალი ხეროთმოძღვრული წესით ნაგებ ტაძრებსა და სასახლეებში და საქართველოში ქვის მოჩუქურთმების ტრადიციულ ხელოვნებაზე მიგვითითებს. მეორე, ეთნოგრაფიულად საინტერესო დეტალების მნიშვნელობა საკვლევი რეგიონის სამეურნეო-ყოფითი კულტურის შესწავლისათვის. სამარხის ქვებზე გამოსახული საომარი თუ შრომის იარაღები, სარიტუალო საგნები, სამეურნეო იარაღი, შრომის პროცესებში საშუალებას იძლევა წარმოდგენა შეეიქმნათ ამ პერიოდის ყოფა-ცხოვრებაზე, როგორიცაა ჩაცმულობის ხასიათი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები, მეურნეობის განვითარებული დარგები და სხვ. მესამე, ცალკე შესწავლის ღირსია აგრეთვე სამარხის ქვებზე მოცემული წარწერები, რომელიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დამწერლობის განვითარების ისტორიისათვის. სამარხის ქვების წარწერებში მოცემულია ბევრი ისეთი საინტერესო მასალა, რომელზედაც წერილობით ძეგლებში მცირე ცნობები მოგვეპოვება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება წარმოვადგინოთ აკად. გ. ჩიტაიას ნაშრომი „პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები"[1], სადაც ავტორმა სამარხის ქვების წარწერების შუქზე, რომელიც განზოგადებულია ისტორიული დოკუმენტებისა და „ქართლის ცხოვრების" მონაცემებით, ღაათარიღა პიტარეთის ეკლესიის მეორედ განახლების ფაქტი, დაადასტურა რომ XVII ს-ში გუდარეთის ეკლესია ითვლებოდა გერმანოზიშვილების საძვლედ, პიტარეთის — ორბელიანთა საგვარეულო აკლდამად და წარმოგვისახა ბარათაანთ-ორბელიანთა გენეალოგია XVII—XVIII საუკუნეებისათვის.

სამარხის ქვების შესწავლას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. თავდაპირველად ბროსესა და ბართლომეის მიუქცევიათ ყურადღება ამ ორიგინალური ძეგლებისათვის. გამოქვეყნებულია პიტარეთის ტაძრის ერთი და გუდარეხის ტაძრის სამი წარწერა[2]. სამარხის ქვების ინტენსიურ შესწავლასა და ფიქსირებას საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის 20—30-იან წლებში. 1937 წ. ენიმკის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ იმერეთში (ბაღდადის რაიონი) მუშაობის დროს დააფიქსირა იქ გავრცელებული ორნამენტირებული სამარხის ქვები. თიანეთის რაიონის სოფ. ჟუბოტას სამარხის ქვები აღწერა და გააანალიზა პროფ. ვ. ბარ-

---

1 გ. ჩიტაია, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. III, 1926.

2 გ. ჩიტაია, პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები, გვ. 112.

დაველიძემ თავის დღიურში „ივრის ფშავლები“[3]. ქვემო ქართლში გავრცელებული სამარხის ქვების ტიპები აღწერა ლ. ბოკორიშვილმა[4], ალგეთის ხეობაში — ს. ბუდუკაძემ. ცალკეულ ცნობებს სამარხის ქვების შესახებ ვხვდებით ს. მაკალათიას, ნ. ბერძენიშვილის, ჯ. სონღულაშვილის და სხვ. ნაშრომებში.

თუ შევადარებთ ლიტერატურაში ცნობილ სამარხის ქვების ტიპებს, იმერეთში გავრცელებული ორნამენტირებული სამარხის ქვები უფრო მსუბუქია, რადგან მიწის პირად დადგმული მხრიდან გულამოღარულია, განსხვავებით ქვემო ქართლში და სოფ. ყებოტაში გავრცელებული სამარხის ქვებისგან. იმერეთის სამარხის ქვებისათვის დამახასიათებელია ე. წ. „ლაზური“[5] ორნამენტი. ლაზურ ორნამენტში უმეტესად მოცემულია ხე, ვაზი, ფრინველი, ყვავილი და სხვ. სოფ. ყებოტას და ქვემო ქართლის სამარხის ქვებში მცენარეულ ორნამენტს მეორეხარისხოვანი როლი ეკისრება. აქ უმეტესად გავრცელებულია ადამიანის გამოსახულება ნაციონალური ტანსაცმლით და სამეურნეო დანიშნულების დეტალებით.

ქვემო ქართლში მასიურადაა გავრცელებული მძიმე, ბრტყელი სამარხის ქვები, ოთხკუთხედი ფორმის მაღალგვერდებიანი. სამარხის ქვის ზედაპირის ნაპირები 5—7 სმ. სიგრძეზე ორნამენტირებულია სადა ან ჩექურთმიანი დაბალი რელიეფით. სამარხის ქვის ზედაპირზე გამოსახულია ადამიანი ნაციონალური, რიგ შემთხვევაში ევროპული ტანსაცმლით, განსხვავებით იმისაგან თუ რომელ პერიოდს განეკუთვნება სამარხის ქვა. სამარხის ქვის გვერდებზე მოცემულია ცალკეული დეტალები და წარწერა, სადაც მითითებულია მიცვალებულის ვინაობა, გარდაცვალების თარიღი და მიცვალებულისადმი მიძღვნილი ტექსტი, შესაბამისად იმისა თუ რა ასაკის, პროფესიის ან მდგომარეობის ადამიანი იყო იგი. ტექსტის შედგენის დროს გათვალისწინებული იყო გარდაცვალების მიზეზი და ოჯახური მდგომარეობა. მაგრამ მთავარი და არსებითი ქვის ზოგად მოხატულობაში დეტალების სახით არის

---

3 ვ. ბარდაველიძე, დღიური ივრის ფშავლებში, ენიმკი-ს მოამბე, XI, 1941. თბ., გვ. 75—87.

4 ლ. ბოკორიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიული ეთნოგრაფიიდან, მსე, VIII, თბ., 1956. აღსანიშნავია, რომ ლ. ბოკორიშვილის მიერ აღწერილი სამარხის ქვები და ზოომორფული ხასიათის ძეგლებიდან ბევრი მათგანი უკვე აღარ არსებობს, გარკვეულ ნაწილზე კი, გამოსახულებანი და დეტალები აღარ განირჩევა.

5 რამდენადაც ხალხური ორნამენტის ეს ტიპი ლაზურ მასალაზეა შესწავლილი, ლიტერატურაშიც ლაზურს უწოდებენ. არსებითად კი იგი ბარული ორნამენტის ტიპია, რაღაგან ფართოდ გამოხატულია ბარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში (გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, ტ. X, 1941, გვ. 204).

გადმოცემული, იმის მიხედვით თუ რა შრომით საქმიანობას ეწეოდა ეს ადამიანი ვხვდებით დეტალურ გამოსახულებებს: დუქარდი, სალამური, გრდემლი და ჩაქუჩი, კომბალი, ნამგალი ცხენი, საკერავი მანქანა და მაკრატელი, ხმალი და ხანჯალი, ცხენი და თოფი და მრავალი სხვა.

სამარხის ქვაზე გამოყვანილი დეტალები რამდენიმე რიგისაა: ჩვენთვის საინტერესოა მესაქონლეობასთან დაკავშირებული დეტალები. მესაქონლეობა უხსოვარი დროიდან ადამიანთა არსებობისა და სოციალ-ეკონომიკური განვითარების მთავარ საშუალებას წარმოადგენდა. ამასთან ამ დარგს ისტორიულ ეპოქებში ადამიანთა ცხოვრების ხასიათზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, იგი განაპირობებდა ადამიანთა სამეურნეო-საწარმოო ცხოვრებასა და მის ტრადიციულობას. ისტორიულად ქვემო ქართლში მესაქონლეობას მიწათმოქმედების გვერდით მთავარი როლი ეჭირა მეურნეობის განვითარებაში და ამიტომ მესაქონლეობასთან დაკავშირებულ საქმიანობას მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ქვემო ქართლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში, ხანგრძლივი და ღრმა ტრადიციები გააჩნდა. ქვემო ქართლის გლეხობაში ფართოდ გავრცელებული საქონლის მოვლა-პატრონობის, საჯიშე-სანაშენე აქმიანობისა თუ რძის მეურნეობის წარმოების ტრადიციები მხოლოდ მოსახლეობის ხანგრძლივი ემპირიული ცოდნა-გამოცდილების ნიადაგზე შეიძლება აღმოცენებულიყო. მეურნეობის ეს ტრადიციული დარგი ზედაპირულად აისახა სამარხის ქვების მოხატულობაშიც: აქ მასიურად ვხვდებით ისეთ სამარხის ქვებს, სადაც გამოსახულია მესაქონლეობასთან დაკავშირებული სიუჟეტები მეურნის, გუთნის დედის, მეცხვარის, მენახირის და სხვ. ორნამენტები დიფერენცირებულია შრომის ორგანიზაციის მიხედვით, განსაკუთრებით მრავლადაა მენახირეობასა და მეცხვარეობასთან დაკავშირებული ორნამენტები, რაც მიუთითებს აღნიშნულ რეგიონში მესაქონლეობის განვითარების დარგებსა და მასშტაბებზე. საწველელის, ცურის ორნამენტები საოჯახო მეურნეობაში მერძევეობის დაწინაურებას და ამ დარგში ქალის ეკონომიური როლის მნიშვნელობას უნდა გამოეწვია. ცური — ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული და ქალის სამარხზე მისი წარმოდგენა ოჯახური სიმრავლის დოვლათის შექმნისა და გამრავლების სიმბოლიურ გამოსახულებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვემო ქართლში და საქართველოშიც[6] დასტურდება მეწველი ძროხის დედის სახელით მოხსენიების შემთხვევები, რაც მოსახლეობის რწმენით, გამოწვეულია იმით, რომ

---

6. ვ. შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში. გვ. 60.

მარჩენალი ძროხა დედასავით ამაგს სდებს და სიცოცხლის განმავლობაში ძუძუს აწოვებს. ამ შემთხვევაში დედის სამარხზე მეწველი ფურის და ცურის ცალკე ორნამენტად გამოყოფა ხალხური რწმენის გამოხატულებაც შეიძლება იყოს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საფლავის ქვები ყველგან მოქცეულია ეკლესიის გარშემო ეზოში, დიდგვაროვანთა წარმომადგენელნი, როგორც წესი, ტაძრის შიგნით არიან დაკრძალულნი. მიტოვებული სასაფლაოები სოფლიდან განმარტოებით მდგარ ეკლესიებთანაა წარმოდგენილი ს. მაწვანში, დღეთში, ენაგეთში, ბოგვში, გუდარეხში. საყურადღებო სამარხებია წარმოდგენილი ს. დურნუკის, ქსოვრეთის, ფარცხისის, ჩხიკვთის, ტბისის, თეთრიწყაროს სასაფლაოებზე აქ წარმოდგენილ ორნამენტებს მნიშვნელოვანი ღირებულება ეძლევა მოსახლეობის სოციალური ყოფის გაზრდისა და გარკვევისათვის.

საფიქრებელია, რომ ჩვენ მიერ აღწერილი სამარხის ქვები მხოლოდ ერთი ნაწილია, რომელიც შემორჩა წარსულს, უმრავლესობა, ალბათ, ქვემო ქართლის დარბევის დროს გაპარტახდა, ბევრიც მიწაში ჩაიმარსა. ჯერ კიდევ 20—30-იან წლებში გ. ჩიტაია აღნიშნავდა იმ ფაქტს[7], რომ საფლავის ქვები მასიურად ისპობოდა, რადგან მას სხვადასხვა მიზნით იყენებდნენ და გაჰქონდათ სასაფლაოებიდან როგორც საამშენებლო ქვა (ს. ფარცხისი, ს. აბანო).

ამჟამად იშვიათად, მაგრამ ვხვდებით ისეთ სამარხებსაც, რომლებზედაც ზოომორფული ხასიათის ძეგლები დგას. მაგ., ცნობილი „სამშვილდის ცხენი"-ს ძეგლი, წარმოდგენილი მთელი თავისი აღმურვილობით. ვერძის ძეგლი, გავრცელებული სამშვილდეში, ქსოვრეთში, ბაკეში, ღოუბანში, ფარცხისში, ტბისში, დურნუკში, ჩხიკვთაში, პატარა ენაგეთში და იფნარში[8]. სადღეისოდ ეს ძეგლები აღნიშნულ სოფლებში მთლიანად განადგურებულია ან მხოლოდ მისი ცალკეული ნაწილებიღა გადარჩენილი. შედარებით დაუზიანებელი ასეთი ტიპის ძეგლი დადასტურდა სოფ. ტბისში, ეკლესიის ეზოში, ჩაჩოქილი ვერძის გამოსახულების, რომელსაც ზურგზე ეკლესიის მოდელი ადგას[9]. ლიტერატურაში ამ ზოომორფული ძეგლების შესახებ არსებობს მო-

---

7 გ. ჩიტაია, პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები, გვ. 112.

8 საფლავის ძეგლის ტიპები დადასტურდა ქვემო ქართლის ყველა რაიონში, მაგრამ შედარებით ღრმად — თეთრიწყაროს რაიონში. მიუხედავად ამისა, ჩვენ საფლავის ძეგლებს მთლიანად ქვემო ქართლის ასპექტში განვიხილავთ რადგან, როგორც ლიტერატურაშია ცნობილი, თეთრიწყაროს რაიონში დამოწმებული საფლავის ძეგლები მთელი ქვემო ქართლის ისტორიულ ტრადიციას გამოხატავს (გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 8).

9 ამჟამად ეს ძეგლი გადმოტანილია და ინახება ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშა მუზეუმში.

საზრება[10], რომ იგი უნდა მდგარიყო გარკვეული პროფესიის ან რაღაცა ნიშნით გამორჩეული ადამიანის საფლავზე. ასეთ ძეგლებზე წარწერები ან საერთოდ არ ყოფილა, ან დროთა განმავლობაში გამქრალა. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს ხალხური ანსნაც: ვერძები მეცხვარეთა საფლავზე დგას, აღჭურვილი ცხენები — ბრძოლაში დაღუპულ მეომართა საფლავებზეო. საომარი იარაღებით აღჭურვილი მეომრების გამოსახულებებს ან უბრალოდ მხოლოდ საომარ იარაღებს ვხვდებით სოფ. დაღეთის, დურნუკის და სხვა სასაფლაოებზე, რაც შეიძლება იმ ფაქტზე მეტყველებდეს, რომ აქ დაკრძალული ადამიანები უმეტესად მეომრები უნდა ყოფილიყვნენ. თუ აქვე გავითვალისწინებთ რა რთული, შფოთიანი ისტორიული ცხოვრების მატარებელი იყო ქვემო ქართლი, რომელზედაც „სამხრეთის დიდი შარაგზით" მუდმივ მოედინებოდა მტრის ურიცხვი რაზმები, მეომართა სამარხის ქვების სიუხვეც ცხადი გახდება. ამ შემთხვევაში შეკაზმულ ცხენსა თუ ცალკე გამოსახულ საბრძოლო იარაღებში სიცოცხლის ძირითადი აზრი უნდა იყოს ჩაქსოვილი.

დაკრძალვის რიტუალი და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ძველი საზოგადოებრივი იდეოლოგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მასში ასახულია ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური თავისებურებები, შრომითი საქმიანობის სპეციფიკა და სხვა. ხალხთა ყოველ კულტურულ წრეს თავისი დამარხვის ტიპი გააჩნია. დამარხვის ფორმის მიხედვით შეიძლება აიხსნას ხალხთა რომელ ჯგუფს ეკუთვნის ესა თუ ის სამარხი, რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნება ადამიანი.

წინაისტორიული ხანის არქეოლოგიური მონაცემები და ეთნოგრაფიული გამოკვლევები ადასტურებს, რომ მიცვალებულის დამარხვის წეს-ჩვეულება უპირველესად პასუხობს ერთ მოთხოვნილებას: უზრუნველყოს მიცვალებულის მატერიალური სიცოცხლის გაგრძელება, ამიტომ თან ატანენ საკუთარ იარაღს, ტანსაცმელს, საკვებს, საოჯახო ინვენტარს. დროთა განმავლობაში რეალური საგნები თანდათანობით ევოლუციონირდება სიმბოლური გამოსახულებებით, რამაც ასახვა სამარხის ქვის შესაბამის დეტალებში ჰპოვა. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ სამარხის ქვა დასაფლავების წეს-ჩვეულებათა ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, მიცვალებულის

---

[10] ლ. ბოპორიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

კულტის მატერიალური გამოსახულებაა. მიცვალებულის კულტი კი ქართველ ტომებში უხსოვარი დროიდან რომ არსებობს, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მისი გადმონაშთები საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დიდი მრავალფეროვნებითაა შემონახული[11]. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე სამარხის ქვების მოხატულობაშიც ძველი ტრადიციების კვალი უნდა იყოს და მთელი რიგი სამარხის ქვები, მათზე მოცემული ორნამენტებითა და მხატვრობით, ხალხური ხელოვნების ძველ ფორმებსა და აზროვნების გადმონაშთებს უნდა ასახავდეს.

---

11 მ. ბ ა ლ ი ა ს ი, ნ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მიცვალებულის კულტი ხევსურეთში, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, მიცვალებულის კულტი ბარისახოს თემში; ალ. ო ხ ი ა ს ი, მიცვალებულის კულტი როშკასა და უკანახადუს თემებში; თ. ს ა ხ ო კ ი ა, მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, მსე, ნაკვ. III, 1940. დ. გ ი ო რ გ ა ძ ე, მიცვალებულის კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სადისერტ. ნაშრომი, 1977. ლ. ფ რ უ ი ძ ე, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები (რაჭა-ლეჩხუმი, გურია), ხელნ.

დასკვნები

ქვემო ქართლის მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული ასპექტებით კვლევა გენეტიკურად დაკავშირებულია ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ზოგად კანონზომიერებასთან.

დადგენილია მისი სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების უმთავრესი თავისებურებანი და ის როლი, რომელიც მესაქონლეობას ეჭირა საკვლევი რეგიონის ეკონომიკური განვითარების ისტორიულ პროცესში. ახალი ეთნოგრაფიული მასალების შუქზე გამოვლენილია მესაქონლეობის თავისებურებანი, მათი ტრადიციული ხასიათი და ზოგადქართული ბუნება, ქართული სამეურნეო ყოფისათვის დამახასიათებელი ზოგადი ხასიათის მოვლენა — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ურთიერთკავშირი, ურთიერთშერწყმული ხასიათი.

ქვემო ქართლში მიწათმოქმედება-მესაქონლეობის სიმბიოზს ჰქმნიდა, უპირველეს ყოვლისა, რელიეფის, ჰავისა და ორთოგრაფიის პირობები. მეორე მხრივ, მეურნეობის ამ დარგების ინტენსიური წარმოება, რაც გამოხატულია სამიწათმოქმედო კულტურების მოყვანა-დამუშავებით, ნიადაგის აქონლის პატივით განოყიერებითა და საქონლის საზამთრო საკვების მომარაგებით.

ქვემო ქართლში ისტორიულად ცნობილია მრავალდარგოვანი მესაქონლეობის არსებობა, რაც გულისხმობდა როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა მესაქონლეობის განვითარებას, მაგრამ სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების თავისებურებანი უფრო მეტად მსხვილფეხა მესაქონლეობის დაწინაურებას უწყობდა ხელს. ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად ქვემო ქართლის მოსახლეობაში გამოვლენილი ღრმა ემპირიული ცოდნა და ტრადიციული შრომითი ჩვევები საშოალებას იძლევა დადგინდეს ქვემო ქართლში მსხვილფეხა მესაქონლეობის განვითარების დონე და მნიშვნელობა.

ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ მსხვილფეხა მესაქონლეობა ქვემო ქართლში წარმოადგენდა მეურნეობის ერთ-ერთ ტრადიციულ დარგს, რომელიც ფორმების მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. ეს მრავალფეროვნება კი ადგილობრივ კონკრეტულ-გეოგრაფიული და ისტორიული მონაცემებით იყო შეპირობებული.

მესაქონლეობის ფორმების გენეზისის კვლევისას მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ განმსაზღვრელ ნიშნებს, როგორიცაა საქონლის მოვლა-პატრონობის წლიური ციკლი, საკვების დამზადებისა და კვების თავისებურებანი, შრომის ორგანიზაციისა და საძოვრების ექსპლოატაციის ფორმები, ძირითადი დასახლებისა და სეზონური საძოვრების ურთიერთდამოკიდებულებისა და ტერიტორიული განლაგების სასიათი.

ქვემო ქართლის მესაქონლეობის ფორმების კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკვლევი რეგიონის კულტურულ-ისტორიულ მონაცემებსაც. ცნობილია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ხშირ გაჩანაგება-მიგრაციას მუდმივ თან სდევდა ახალ-ახალი, სხვადასხვა ეროვნული ფენების დამკვიდრება, რომელთაც თან მოჰყავთ თავის ეროვნულ სპეციფიკასთან დაკავშირებული კულტურულ-სამეურნეო ტრადიციები და თავისებურებანი, რამაც თავისთავად გამოიწვია მესაქონლეობის ნაირსახეობის წარმოქმნა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისისათვის სპეციალური კვლევით ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებული ჩანს:

ბ ა რ უ ლ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს ფ ო რ მ ა, რომლის განვითარების მასშტაბები ადგილობრივი სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების თავისებურებებით იყო განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ ბარის სამეურნეო პროფილში წამყვანი ადგილი მიწათმოქმედება-მემინდვრეობას ეჭირა, მესაქონლეობასაც გარკვეული ხვედრითი წონა გააჩნდა. მის წარმოებას აპირობებდა დაწინაურებულ მიწათმოქმედებასა და მემინდვრეობაში მუშა ძალის ფართოდ გამოყენება, მესაქონლეობის პროდუქტებზე საოჯახო მოთხოვნილებები და ხელს უწყობდა ბარის თბილი კლიმატი, სათიბ-საძოვრების სიუხვე, თავისუფალი ვრცელი მიწის სავარგულების არსებობა.

ბარული მოვლა-პატრონობის წლიური ეტაპი თანმიმდევრული სისტემის სახით იყო ჩამოყალიბებული: აღრიანი გაზაფხულიდან ნოემბრის ბოლომდე მენახირის მეთვალყურეობის ქვეშ გაერთიანებული საქონლის სეზონური მონაცვლეობა სოფლის შიგა და ახლომდებარე საძოვრებზე. დეკემბერ-მარტი, საქონლის ბაგური მოვლა-პატრონობის ციკლი. ბარული მოვლა-პატრონობის სისტემის შექმნა განაპირობა საქართველოს ბარის სამეურნეო პროფილმა და საკვები ბაზის განლაგება-გამოყენების ხასიათმა.

ა ლ პ ი რ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს ფ ო რ მ ა ქვემო ქართლის მთიანეთის მთიულ მოსახლეობაში. ალპური მესაქონლეობის ფორმა შეფარდებული იყო ადგილობრივ სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებს და კულტურულ-ისტორიულ ვითარებას. იგი გულისხმობს სუბალპუ-

რი და ალპური ზოლის დასახლებათა და სუბონური საძოვრების, აგრეთვე სათიბების სამოსახლო-მეურნეობრივ და ორგანიზაციულ ერთიანობას, რომლის დროსაც საქონლის მოვლა-პატრონობის წლიურ ციკლს დასახლებებში და უშუალოდ მის სიახლოვეს განლაგებულ სამეურნეო სავარგულებზე უძღვებიან (ვ. შმილაძე). ალპური მესაქონლეობის დროს, კულტურების მოყვანა-დამუშავების პერიოდში (ადრე გაზაფხულ-ზაფხული-ზაფხული, ადრე შემოდგომა) მეწველი საქონლის გაყვანა ხდება ალპურ საძოვრებზე წველა-დღვებასთან დაკავშირებულ პერსონალთან და მწყემსებთან ერთად.

ნ ა ხ ე ვ რ ა დ მ ო მ თ ა ბ ა რ უ ლ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს ფ ო რ მ ა ქვემო ქართლის ბარისა და დაბლობის რეგიონში გვხვდება. გავრცელებული ჩანს საქართველოს ტერიტორიაზე ადრეულ ეპოქებში შემოსახლებულ მომთაბარე ტომებში, რომელიც ისტორიულ წყაროებში „ელის" სახელწოდებით არის ცნობილი. იგი გულისხმობდა ადრიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე საქონლის გაყვანას მომთაბარეთა ოჯახებთან ერთად საზაფხულო საძოვრებზე. საქართველოს სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების გავლენით მომთაბარეთა მეურნეობამ გარკვეული ცვლილება განიცადა: ველის მომთაბარეობისაგან განსხვავებით ისინი ბარისა და მთის საზამთრო და საზაფხულო საძოვრების მონაცვლეობით გამოყენებასა და ვერტიკალურ მომთაბარეობაზე გადავიდნენ, ამავე დროს ახასიათებთ საზამთრო საძოვრების ზოლში შედარებითი ბინადრობა და მიწათმოქმედებისა და მეურნეობის სხვა დარგების წარმოება. საქართველოს მომთაბარე ტომები XIX ს. დასასრულს და XX ს. დასაწყისში ნახევრად მომთაბარეობის ყოფაზეა გადასული.

საველე-ეთნოგრაფიული მასალებისა და ლიტერატურული წყაროების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ მსხვილფეხა საქონლის აბორიგენული ჯიშები ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ძნელადღა დასტურდება. თანამედროვე პირობებში აქ გვხვდება სუკენეების მანძილზე ქვემო ქართლის ტერიტორიაზე შემოყვანილი მსხვილფეხა საქონელის ჯიშები, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი კარგად შეეწყო ადგილობრივი აკლიმატიზაციის პირობებს და ფართო გავრცელება ჰპოვა სხვადასხვა ეროვნების ხალხებში.. ამასთან აღსანიშნავია „ქართული" „მთიულური" და „თარაქამას" საქონელი.

განსაკუთრებული გავლენა მოუპოვებია „თარაქამას" ჯიშის საქონელს, რომლის შემოყვანას კავკასიაში ვარაუდობენ სპარსეთიდან და თურქეთიდან.

„თარაქამას" საქონლის დამახასიათებელი ნიშნებია პატარა ტანი, ცოცხალი ტემპერამენტი, შერწყმული მის შესანიშნავ სამუშაო

თვისებებთან და გამძლეობა უნართან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მას ქვემო ქართლის სამეურნეო ყოფაში, რომლის შედეგადაც სხვა შემოყვანილმა ჯიშებმა („მოლოკანური", „ნემენცური", „ჩერკესკული") მას მეტოქეობა ვერ გაუწიეს.

საჯიშე-სანაშენო საქმიანობას ქვემო ქართლში უფრო მეტად მთიული მოსახლეობა მისდევდა. მათი დაკვირვებებით, მთიულური საქონლის თარაქამას საქონელთან ნაჯვარი ყველაზე მეტად შეეგუა ადგილობრივ კლიმატურ პირობებს და კარგი შედეგი მოსცა საქონლის ტანის, ხორცისა და შრომისუნარიანობის მატებაზე. რაც შეეხება თარაქამას საქონლის შეჯვარებას სხვა ბარული ჩამომავლობის საქონელთან, შედეგი არ გამოუღია (ბარონ ფონ-კუჩენბახი, თავად ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი).

ქვემო ქართლის მესაქონლეობის წლიურ ციკლში გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი საძოვრებს. საძოვრების ნაწილი საერთოსასოფლო გასადევარის სახით იყო წარმოდგენილი, ნაწილს სოფელი საერთო საკუთრების სახით ფლობდა, ნაწილი კი საბატონო მფლობელობაში იყო გაერთიანებული და მისი სარგებლობისათვის გლეხებს გარკვეული გადასახადი ჰქონდათ დაკისრებული. ქვემო ქართლის ნოყიერი საძოვრების სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობა მარტო ადგილობრივი მესაქონლეობით როდი განისაზღვრებოდა; აქ საქონელს მოერეკებოდნენ არა მარტო საქართველოს სხვადასხვა დაშორებული კუთხეებიდან (კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი, თუშეთი, ფშავი და სხვ.), არამედ საქართველოს მეზობელი მხარეებიდანაც (სომხეთი, ჩრდილო კავკასია).

ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე გარკვეულია, რომ თეთრიწყაროს რაიონის მთიული მოსახლეობა სარგებლობდა ბედენის, მარნეულის რაიონის მოსახლეობა — თრიალეთის, ბოლნისის რაიონის — დმანისის რაიონის საძოვრებით, დმანისის რაიონი — ადგილობრივი საძოვრებით. ბოლნის-დმანისის მესაქონლეები ნაწილობრივ მეზობელი სომხეთის საძოვრებითაც სარგებლობდნენ.

ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება საძოვრების შემადგენელი ბალახეულის ღრმა ხალხური ცოდნა, რაც ვლინდება მცენარეულის სხვადასხვა სახეობების სარგებლიანობა-უუათიანობის გამოცნობის სახით. მოსახლეობა არჩევს საქონლისათვის საკვებ და შხამიან ბალახეულობებს; დადებითად ახასიათებს სამყურას, ხვართქლას, ეროს, ჭანგას, სვილას და სხვ. მათი დაკვირვებით ეს მცენარეული კარგად მოქმედებს საქონლის ჯანმრთელობაზე, ხორცის მატებაზე; რძის ცხიმიანობის ამაღლებაზე და ა. შ. ადგილობრივი მეურნის ეს ცოდნა უნა-

რიანად არის გამოყენებული საზაფხულო საძოვრების შერჩევის დროს ვარგისიანობის თვალსაზრისით, საქონლის მორიგეობით ძოვებისას და ა. შ. ყოველივე ეს ადგილობრივ მეურნეს დიდად ეხმარება მსხვილფეხა მესაქონლეობის დაწინაურებასა და რძის მეურნეობის განვითარებაშიც.

ქვემო ქართლში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების მაღალმა დონემ განაპირობა შესაბამისი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების განვითარებული ფორმები. მიწურ საცხოვრებელ კომპლექსში პირველი ადგილი ბოსელმა დაიჭირა, მეორე კი საბძელმა.

თანამედროვე პირობებშიც, მართალია, მეურნეობის დარგები უცვლელი რჩება, მაგრამ სამეურნეო ნაგებობანი ველარ უთავსდებიან საცხოვრებელს. სამეურნეო ნაგებობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ განვითარების პროცესში ძველ სახლებში საცხოვრებელ სახლზე მიდგმული გომი მოგვიანებით გამოდის საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, მეორე სართულზე კი რჩება საცხოვრებელი ფართობი.

თანამედროვე სახლებში სახლის ორივე სართული საცხოვრებელ ოთახებს უკავია გომი კი განცალკევებით დგას ეზოში. თანამედროვე გომის შიგნითა ინტერიერი წარმოდგენილია უცვლელად: ბაგა, ქვის იატაკი — ზღვავი, წუნწუხის გასასვლელი — სანერწყული. სინათლისათვის — შუკუმი. გომი იყოფა საძროხედ, სახბორედ, სახარედ და საცხვრედ (უზო).

ქვემო ქართლი ისტორიულად იყო ცნობილი ხელოვნური რწყვის რთული სისტემით.

ქვემო ქართლში მოპოვებული მდიდარი არქეოლოგიური განათხარი მასალებიც ნაწილობრივ შუქს ჰფენს ამ საკითხს. შულავერ-შომუთეფეს კულტურაში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დგინდება, რომ ენეოლითის ხანაში სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები მისდევდნენ ხელოვნური რწყვის სისტემას და არ არის გამორიცხული რომ თავდაპირველად ირწყვებოდა სწორედ სათიბები, ვინაიდან სათიბების მორწყვა იძლეოდა დიდ ეფექტს და ხელსაყრელიც იყო მესაქონლეობის განვითარებისათვის.

საკვლევ რაიონში დადასტურდა ქვემო ქართლის მოსახლეობის ლრმა ემპირიული ცოდნა რძის პროდუქტების დამზადებისა და შენახვის საქმეში. ადგილობრივი მოსახლეობა ძროხის ნაღებიდან დღეებავდა კარაქს. მოხდილი რძიდან ამზადებდა ყველის სახეობას — „ჩეჩილს“. მოუხდელი რძიდან ამზადებენ ყველს, რომელსაც „მოუხდელს“ ეძახიან. ცხვრის რძიდან „თავ-ყველს“, „მოთალს“, რძის დამუშავება იმავე წესით ხდებოდა, როგორც სხვა ქართველ და კავკასიელ ტო-

მებში (რძის გაწურვა. ნაღების მოხდა, შეთბობა, კვეთის გამოყენება. ყველის შედედება, დაწურვა, თბილად შენახვა, დამარილება).

რძის მეურნეობის კანონთა-ერების დაწინაურებულ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს მაღალხარისხოვანი საკარაქე ნაღების მისაღებად მოწყობილი ნაგებობანი „სარძეულა-საფილავის“ დადასტურება ქვემო ქართლის ტერიტორიაზე

ქვემო ქართლში მსხვილფეხა მესაქონლეობის ტრადიციულ სახეზე უნდა მიუთითებდეს ველზე ფიქსირებული ლრმა ხალხური ცოდნა-გამოცდილება, რომელსაც იგი ემყარებოდა მეწველ, მუშა საქონლის თუ მწარმოებელი საქონლის შერჩევის დროს. ამასთან დაკავშირებით დადასტურდა საინტერესო ხალხური ტერმინოლოგია, დაკავშირებული საქონლის მოვლა-პატრონობის ცალკეულ პერიოდებთან.

მსხვილფეხა მესაქონლეობის შესწავლის პერიოდში გამოვლინდა საყურადღებო ხალხური ცოდნა-გამოცდილება, დაკავშირებული საქონლის სხვადასხვა ფიზიოლოგიურ პროცესთან (მაკინტლობა, დამაკება, ბშობიარობა, მუცლის გაფუჭება და სხვ.), საინტერესო ხერხები გამოვლინდა საქონლის წველის პროცესთან (ხბოს ძუძუზე მიშვების, გარდაცვლილი ხბოს ტყავით სხვა ხბოს შეტყუება დედასთან, მოწველა ხბოს გამოწოვით და ხბოს გამოწოვის გარეშეც, ძროხის მოხერხებულად მოწველის სხვადასხვა ხერხები გეზად, სწორად, მუქით.).

ქვემო ქართლის ყოფაში ტრადიციული იყო მუშა-პირუტყვის გამოყენა-გამოყენების პროცესი. აღნიშნული ტრადიციების სიძველე არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება. ხარი ყოფაში ფართოდ არის გამოყენებული გაბწევ ძალად გუთანში, ჩუთში, ანაჩში, ურემში. მოსახლეობაში დასტურდება მდიდარი ემპირიული ცოდნა, დაკავშირებული ხარის „ხარად გამოყენის“ პროცესთან (დაყვერვა//დაკოდვა. გამოქნა ცარიელ უღელში ან გუთანში, გამართვა, მუშა-პირუტყვის ჭოვლის, მუშაობისა თუ დასვენების პროცესებთან).

საკვლევ რაიონში საქონლის დაავადებებთან დაკავშირებით დადასტურდა ოცზე მეტი სახის დაავადება, რომელთა მკურნალობა ძირითადად მოსახლეობის ემპირიულ ცოდნაზე იყო დამყარებული (დადაღვა, სისხლის გამოშვება, ციცი საგნების გამოყენება, ლოცვა და სხვ.). სამკურნალოდ იყენებდნენ ადგილობრივ შემზადებულ რეცეპტებს თაფლისაგან, მარილწყლისაგან და სხვადასხვა მცენარეულობისაგან, როგორიცაა: „პიტნა“; „ხარი ძირა“, „ოქროს ცოცხა“, „თამბაქოს ღერები“ და სხვ.

ქვემო ქართლის მოსახლეობის ყოფაში ყურადღებას იპყრობს მსხვილფეხა საქონელთან დაკავშირებული რელიგიური რწმენა-წარ-

მოდგენები და წეს-ჩვეულებები. მთელი რიგი ცერემონიები უკავშირდება ავი თვალისაგან დაცვას. ავი თვალისაგან დაცვის ფუნქცია მიეწერებოდა აკაკის ხეს და მისგან დამზადებულ თილისმებსა და ამულეტებს. მთელი რიგი ცერემონიები დაკავშირებული იყო მეწველი საქონლის დაცვის, მუშა საქონლის გათვალვის წინააღმდეგ. წველადღეების, გუთნის გატანის, პირველ დღესთან და სხვა.

საქონლის ბარაქიანობის, გამრავლების დაკვირვების მიზნით მთელი რიგი წეს-ჩვეულებები შედიოდა ახალწლის ციკლში. ყურადღებას იპყრობს ქვემო ქართლში წარმოდგენილი ხალხური ქვაზეკვეთილობის ნიმუშები (საფლავის ქვები) მესაქონლეობასთან დაკავშირებული დეტალების გამოსახულებებით.

როგორც აღნიშნული იყო, ქვემო ქართლში მესაქონლეობა მიწათმოქმედების მხარდამხარ მთავარ როლს ასრულებდა მეურნეობის განვითარებაში. ქვემო ქართლის გლეხობაში ფართოდ გავრცელებული საინტერესო ემპირიული ცოდნა-გამოცდილებანი, დაკავშირებული საქონლის მოვლა პატრონობის, ექსპლოატაციისა თუ მკურნალობის პროცესებთან, მიუთითებს, რომ მესაქონლეობასთან დაკავშირებულ საქმიანობას მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეკავებინა ქვემო ქართლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში. ეს ზედაპირულად აისახა საფლავის ქვების მოხელეობაშიც, სადაც დეტალების სახით ადამიანის შრომითი საქმიანობის ცალკეული პროცესებია აღნუსხული.

ქვემო ქართლის მსხვილფეხა მესაქონლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა, ადგილობრივ პირობებს შეგუებული ჯიშების დადგენა, საჯიშე-სანაშენო საქმიანობა, რძის მეურნეობის ტრადიციული ფორმებისა და ხერხების გაცნობა, მესაქონლეობის ნაირსახის ფორმების გამოკვლევა, მათი სპეციფიკის დადგენა და სხვა მიუთითებს იმაზე, რომ მესაქონლეობა ქვემო ქართლის ერთ-ერთი ტრადიციული დარგია. სპეციალური კვლევით გამოვლენილია როგორც ადგილობრივი, ამ კუთხისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, ისე მესაქონლეობის ზოგადქართული ხასიათი, რასაც საფუძვლად კვლავ ხალხის შრომითი ჩვევები და საწარმოო გამოცდილება უდევს.

პრაქტიკული წინადადება-რეკომენდაციები

სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მიზანია მეცხოველეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. მეცხოველეობის განვითარების აქტუალური პრობლემებისადმი ყურადღება გამახვილებულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის მიმართულებებში, რომელმაც განსაზღვრა მეცხოველეობის აღმავლობის, მისი პროდუქციით საბჭოთა ხალხის უზრუნველყოფისა და მოსახლეობის უფრო სრულად დაკმაყოფილების მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანები. მეთორმეტე ხუთწლედში ამ მიზნის რეალიზაცია მოითხოვს გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიკური, ორგანიზაციული და აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას, პროგრესული მეთოდების რაციონალურად გამოყენებას, ამის ბაზაზე, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას, ხარისხიანი საკვები ბაზის შექმნას.

ქართული მესაქონლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევას ამ მიმართულებით გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ცნობილია, რომ საქართველოს მრავალფეროვანმა ბუნებრივ-კლიმატურმა და სამეურნეო-ეკონომიკურმა პირობებმა განაპირობა საქართველოში მეურნეობის მრავალდარგოვანი ხასიათი. საქართველოს ბარისაგან განსხვავებით, სადაც პრიორიტეტს მიწათმოქმედება ინარჩუნებს, მთიანი მხარეების ეკონომიკაში მესაქონლეობა ჭარბობს. დადგენილია ამასთანავე, რომ მთის რაიონები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მესაქონლეობის ცალკეულ სახეობათა განვითარების დონითა და მასშტაბებით. თუ მაგალითად, სვანეთში, მთის რაჭასა და ხევსურეთში უმთავრესად მსხვილფეხა მესაქონლეობას მისდევენ, თუშეთში, ფშავში, მთიულეთ-გუდამაყარში და ხევში წინაურდება მეცხვარეობა. მეცხვარეობის ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება XIX საუკუნის II ნახევრიდან, რაც განაპირობა საზამთრო საძოვრების ათვისებაგაფართოების შესაძლებლობამ. სადღეისოდ, მეცხვარეობის განვითა-

რებამ ზოგიერთ კუთხეში მანამდე არსებულ დონეს მიაღწია, მაგრამ სამაგიეროდ მეურნეობის სხვა დარგები ან მთლიანად მოისპო (მიწათმოქმედება), ან მეტისმეტად შეეიწროვდა (მსხვილფეხა მესაქონლეობა). იგივე მდგომარეობაა საქართველოს ბარში, სადაც ადრე გავრცელებული მიწათმოქმედება-მესაქონლეობის სიმბიოზი მოიშალა, უმეტეს ადგილებში ძირითადში წინაურდება მებალეობა-მებოსტნეობა.

აღნიშნული პროცესის გაღრმავებას ხელი შეუწყო მოსახლეობის მიგრაციამ, გადმოსახლებამ. მაგალითად, ხევსურეთსა და თუშეთში მიწათმოქმედების მოშლა და მსხვილფეხა მესაქონლეობის დაცემა განაპირობა მთის დაცლამ. ბარად ჩამოსახლებულებმა ხელი მოკიდეს ბარის მეურნეობას, თუშებს მთის მეურნეობიდან შემორჩათ მეცხვარეობა. ხევსურებმა საერთოდ ხელი აიღეს მსხვილფეხა მესაქონლეობის წარმოებაზე, აღნიშნული და რიგი სხვა მიზეზების გამო საქართველოში მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოიშალა ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა.

ქართული ეთნოგრაფიული მონაცემები დამაჯერებლად მიუთითებენ ქართული ხალხური კულტურის თვითმყოფობაზე. ამ კულტურის ცალკეული ელემენტების შემუშავება და ჩამოყალიბება ხდებოდა საუკუნეების მანძილზე ხანგრძლივი, დაძაბული ძიებისა და გამოცდილების გზით. საქართველოს გარეთ იყო ცნობილი ქართული მესაქონლეობის შესანიშნავი მიღწევები თუშური ყველი, მეგრული სულგუნი, ხევსურული ერბო.

მესაქონლეობის განვითარების ინტენსიურ ხასიათზე მიუთითებს ქართველი ხალხის საჯიშე-სანაშენო საქმიანობაც, რომელმაც მოგვცა შესანიშნავი ხევსურული ძროხა, თუშური ცხვარი, მეგრული თხა, ქართული ცხენი. მართალია მესაქონლეობის ფორმებისა და მისი გავრცელების რეგიონების მიხედვით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მას სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ქართველი კაცის სახლ-კარი წარმოუდგენელი იყო საქონლისა და ერბო-ყველის მარაგის გარეშე. ამ მიმართებით ქართველი ხალხის მიერ შექმნილი სამეურნეო კულტურა და ტრადიციები მნიშვნელოვანია არა მარტო შესწავლა-გამოვლენის, არამედ პროგრესული მეურნეობრივი ელემენტების გაზიარების მხრივაც.

საქართველოს მესაქონლეობის მრავალფეროვანმა ხასიათმა განაპირობა საკითხის რეგიონალური შესწავლის მოთხოვნილება; იგი საშუალებას იძლევა პრაქტიკულად იქნეს შესწავლილი ხალხის მდიდარი შრომითი გამოცდილება ცალკეული ტერიტორიალური ერთეულების თავისებურებების გათვალისწინებით, ამავე დროს ხელს უწყობს იმ პროგრესული მეურნეობრივი ელემენტების გამოვლენას, რომე-

ლიც მეურნეობის ამ დარგში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩამოყალიბდა; ეს კი თავისთავად ახალი სოციალისტური მეურნეობის შენდგომი აღმავლობის მიზანს ემსახურება.

ქვემო ქართლში წარმოდგენილია ერთ-ერთი მსხვილი მრავალდარგოვანი მეურნეობა. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში. ამჟამად, ქვემო ქართლის საბჭოთა მეურნეობებში წარმოდგენილია როგორც მემინდვრეობა, ისე მებოსტნეობა, მეხილეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობის დარგებიდან — მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მეცხვარეობა, მეღორეობა და სხვა. მეცხოველეობის დარგებს შორის, ყველაზე დიდი სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობითა და სოფლის მეურნეობის მთლიან სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურაში შედარებით მაღალი ხვედრითი წონით, წარმოგვიდგება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, რომლის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე მიუთითებს ბუნებრივი სათიბ-საძოვრების სიუხვე.

სათანადო მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარების უზრუნველყოფის მთავარი გზაა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდა, ჯიშობრივი გაუმჯობესება, მტკიცე საკვები ბაზის უზრუნველყოფა, სასოფლო საძოვრების მოწესრიგება და სხვა. ხალხის მიერ ამ სფეროში დაუნჯებული ცოდნის მოპოვება და ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად თანამედროვეობის სამსახურში ჩაყენება მეურნეობის ქმედითი მართვის, დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების სწორი შეხამების მეტ საშუალებებს მოგვცემს.

I. უპირველესად შეიძლება აღინიშნოს ხალხური საჯიშე-სანაშენო საქმიანობა. ქვემო ქართლი ხასიათდება საქონლის ჯიშების მრავალფეროვნებით, რაც რთული პოლიტიკური ისტორიის ზეგავლენით იყო განპირობებული. მოსახლეობის მიგრაციას ქვემო ქართლის ტერიტორიაზე თან ახლდა ახალ-ახალი ნაკადი შემოყვანილი საქონლის ჯიშებისა: თ ა რ ა ქ ა ძ ა, ნ ე მ ე ნ ც უ რ ი, ო ს უ რ ი, ა ხ ა ლ ც ი ხ უ რ ი, შ ა ვ ი ზ ღ ვ ი ს პ ი რ ე თ ი ს, ყ ა რ ა ჩ ა ე ლ ი, შ ვ ი ც ი ს, ღ უ ხ ო ბ ო რ ე ლ ი, მ ო ლ ო კ ა ნ უ რ ი, რ უ ს უ ლ ი და სხვა.

როგორც წინ აღინიშნა, XIX ს. II ნახევრიდან ადგილობრივი მთავრობა, მესაქონლეობის განვითარების მიზნით, ხელს უწყობდა საქონლის ახალი ჯიშების შემოყვანას. მაგრამ შემოყვანილი საქონელი არარუნტაბელური იყო სიცოცხლის ხანგრძლივობით, ართულებდა საქმეს რთული აკლიმატიზაცია ადგილობრივ სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებთან. შეუძლებელი იყო იმის უგულებელყოფაც, რომ აბორიგენული ჯიშის პირუტყვი გაცილებით ნაკლებ მიდრეკილებას

იჩენდა ინფექციური დაავადებებისადმი ვიდრე შემოყვანილი მეტისები. საქონლის შერჩევა-გამოყენების საქმეში გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა ჯიშების შერჩევის, ადგილობრივ სამეურნეო-კლიმატურ პირობებთან შეგუების საქმეში.

თანამედროვე პირობებში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე კვლავ შემოყავთ ლატვიიდან — ლატვიური წაბლა, სხვადასხვა ადგილებიდან — ველის წითელი, შავკრელა, კავკასიური წაბლა და სხვა. ამავე დროს დღის წესრიგში დგას სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა გენოფონდის შენარჩუნების საკითხი.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ადგილობრივი მცირერიცხოვანი ჯიშების შენარჩუნების ამოცანა სადღეისოდ ფრიად აქტუალური, საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბის პრობლემაა. საკითხის დაწინაურება განაპირობა თითქმის ყველა აბორიგენული ჯიშის სულადობის მკვეთრმა შემცირებამ და აგრეთვე მათმა მნიშვნელოვანმა სამეურნეო-ბიოლოგიურმა ღირებულებამ. სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ ადგილობრივი ჯიშის დაკარგვით მეცხოველეობა და მისი გენოფონდი განიცდის აუნაზღაურებელ დანაკლისს, რადგან ამ ჯიშებს გააჩნია რიგი ისეთი თვისებები, რომელიც არ ახასიათებს კულტურულ ჯიშებს. მაგალითად, დიდი წინააღმდეგობის უნარი საბიში დაავადებების მიმართ, კლიმატური პირობების მიმართ შეგუების უნარი, კვების რეჟიმი და მრავალი სხვა. აბორიგენი საქონლის დადებითი თვისებები განპირობებულია იმ თავისებურებებით, რომელიც წარმოქმნა კონკრეტულ ეკოლოგიურ გაოემოში ბრავალსაუკუნოვანი ხალხური სელექციის შედეგად. სწორედ ამიტომ ადგილობრივი ჯიშები დარჩებიან ახალი ჯიშების გამოყენისა და არსებული სრულყოფის გენეტიკური გაუმჯობესების მთავარ წყაროდ.

ჩვენს საკვლევ რაიონში აბორიგენული ჯიშებიდან ყველაზე მეტი უპირატესობით სარგებლობს ქ ა რ თ უ ლ ი საქონელი ქვემო ქართლის ბარის ქართულ მოსახლეობაში; თ ა რ ა ქ ა მ ა//თ ა თ რ უ ლ ი საქონელი ქვემო ქართლის ქართულ. მუსულმანურ და სომხურ მოსახლეობაში. ნაკლები პოპულარობით სარგებლობს რ უ ს უ ლ ი საქონელი, ვინაიდან მისი მოვლა-პატრონობის წლიური ციკლი ადგილობრივ ეკოლოგიურ პირობებს ძნელად ეგუება. თეთრიწყაროს რაიონის მთიან ზონაში მეტ გავრცელებას პოულობს შემოყვანილი ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი (ადგილობრივ უწოდებენ მ თ ი უ ლ უ რ ს), რომლის ნაჯვარმა ადგილობრივ საქონელთან დადებითი შედეგი გამოიღო ტანის, ხორცისა და რძის მატებაზე. ხალხური სელექციის ამ ეფექტიანი შედეგის უნარიანად გამოყენება შეიძლება თეთრიწყაროს რაიონის ზედა ზონის მეცხ-

ხოველეობის ფერმებში. მთის საქონელი კარგად ეგუება ადგილობრივ მთიან რელიეფს, ბაგურ კვებაზე არ საჭიროებს დიდ რესურსებს, გამოირჩევა ამტანობითა და წველადობა-ცხიმიანობით. ამავე დროს შესწავლილი უნდა იქნეს მისი ბიოლოგიური და სამეურნეო სასარგებლო ნიშან-თვისებები და შეიქმნას მატერიალური ბაზა მისი მოშენებისათვის.

II. მეცხოველეობის შემდგომი განვითარების პრობლემა ორგანულად უკავშირდება საკვები ბაზის გაფართოება-განმტკიცებას. რესპუბლიკის ყველა მეურნეობაში მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების გადამწყვეტი რეზერვია სასოფლო-სამეურნეო და, მათ შორის, საკვები კულტურების ნათესი ფართობის სტრუქტურის გაუმჯობესება და მოსავლიანობის გადიდება. მეცხოველეობის განვითარებაზე დადებითი გავლენა მოახდინა საკვებწარმოების პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული ვიტამინებით მდიდარი ბალახის ფქვილის წარმოებამ, თივისა და ნამჯის დაქაჩვამ, მაღალხარისხოვანი სენაჟის დამზადების პრაქტიკამ, სიმინდის სილოსმა და სხვა, რომელთაც კარგი მაჩვენებლები მოგვცეს რესპუბლიკის მსხვილ კომპლექსებსა და ფერმებში. რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, საქონლის საკვები ბაზის მოგვარების საქმეში იგი დიდ სივიწროვეს განიცდის. მთიან რაიონებში, სადაც ყველა სახის სავარგული საძოვრებად აქციეს, ხოლო ბარად მეურნეობებმა სათიბებად გამოიყენეს, მინიმუმამდე შემცირდა მსხვილფეხა საქონლის შენახვის შესაძლებლობა, მისთვის აუცილებელი საძოვრებისა და სათიბების უქონლობის გამო. ცნობილია, რომ ბარული მესაქონლეობის პირობებში სოფელი იყენებდა ბუნებრივი საძოვრებისა და საბალახოების შიდა სამეურნეო მიწათმოწყობას. აქ გამომუშავებული იყო საქონლის ძოვების ტრადიციული პრაქტიკა საძოვრების ავკარგიანობის მიხედვით. ერთმანეთისაგან იყო გამიჯნული საქონლის, ცხვრის საძოვარი და სახნავ-სათიბი, საძოვრები მცენარეული საფარის შედგენილობის მიხედვით იყო დაყოფილი: ხბოსათვის, მეწველი საქონლისათვის, ხარებისათვის ცალ-ცალკე. ეს საშუალებას იძლეოდა საქონელს თავისი მოთხოვნილების შესაბამისად გამოეკვება თავი. სოფლად საკვები ბაზის შემცირებას შედეგად მოჰყვა საქონლის სულადობის შემცირება და რძის პროდუქტების დამზადების შეზღუდვაც. ბევრ სოფელში საერთოდ ხელი აიღეს ყველის, კარაქის, ერბოს და სხვ. წარმოებაზე.

მესაქონლეობის აღმავლობა ვარაუდობს რიგი სამეურნეო ღონისძიებების გატარებას. ამათგან ერთ-ერთი პირველთაგანი საძოვრების ორგანიზაციის პრობლემაა. მიზანშეწონილია ალბათ სოფლებთან ახლოს საერთო-სასოფლო საძოვრების გამოყოფა, რაც ხელს შეუწ-

ყობს მოსახლეობის დაინტერესებას მსხვილფეხა საქონლის მომრავლების საქმეში.

III. მესაქონლეობის განვითარებას, მის ხვედრით წონასა და მაჩვენებლებს განსაზღვრავს საქონლის საკვები ბაზის რეზერვები. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სათიბი მეურნეობის წარმოებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ქართველი მეურნის საოჯახო საქმიანობაში მთავარი ყურადღება ექცეოდა სათიბების დროულ, სწორ მოვლა-პატრონობას, რომელიც შემდეგ პროცესებს მოიცავდა: ქვა-ღორღისაგან გაწმენდა, ჯაგნარის მოცილება, შემოღობვა, დაცვა, არსებული პირობების შესაბამისად მორწყვა. სათიბების მორწყვის პრაქტიკა არსებობდა სვანეთშიც.

ქვემო ქართლი ისტორიულად იყო ცნობილი ხელოვნური რწყვის რთული სისტემით. ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ „ველთა შინა არა იყო ნაყოფი უწყლობით", ე. ი. მორწყვის გარეშე აქ არ მოდიოდა მოსავალიო. ქვემო ქართლში მოპოვებული მდიდარი არქეოლოგიური განათხარი მასალებიც ნაწილობრივ შუქს ჰფენს ამ საკითხს. შულავერ-შომუთეფეს კულტურაში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დგინდება, რომ ენეოლითის ხანაში სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მესაქონლე ტომები მისდევდნენ ხელოვნური რწყვის სისტემას და არ არის გამორიცხული რომ თავდაპირველად ირწყვებოდა სწორედ სათიბები, ვინაიდან სათიბების მორწყვა იძლეოდა დიდ ეფექტს და ხელსაყრელიც იყო მესაქონლეობის განვითარებისათვის.

საქონლის საკვები ბაზის შემდგომ განვითარებას, რასაც შედეგად მოჰყვება მესაქონლეობის სწრაფი დაწინაურება საკვლევ რეგიონში, დიდად შეუწყობს ხელს ტრადიციული რწყვის სისტემის განვითარება თანამედროვე მელიორაციის საფუძველზე. იგი განაპირობებს არა მარტო სათიბების პროდუქტიულობის ამაღლებას, არამედ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოაქცევს წინათ გამოყენებულ უნაყოფო მიწის ფართობებსაც.

IV. ყურადღებას საჭიროებს აგრეთვე თივის დამზადება-შენახვის ტექნოლოგია, მისი ყველა ელემენტის ზუსტად დაცვა, რადგან მათი დარღვევა ან შეუსრულებლობა იწვევს, ხშირ შემთხვევაში, როგორც მოსავლიანობის შემცირებას, ისე პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. ამ მხრივ ქართველი მეურნის მრავალსაუკუნოვანი სამეურნეო გამოცდილება თივის მაღალი მოსავლის მისაღებად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს თანამედროვე სოფლის მეურნეობაში.

უგზოობის შედეგად მთის ბევრი სოფლიდან გაძნელებულია თივის ტრანსპორტირება. თივის უდანაკარგოდ აღება, ჩამოზიდვა ცუდ

ამინდებში, ანსაკუთრებით ზამთრის პირობებში. საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოსახლეობას შემუშავებული აქვს თიბის გადმოზიდვის პრაქტიკული წესები თრევით, დაცურებით, თავკავით და სხვა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი დანიშნულება მთიან რეგიონებში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, მიტოვებულ მთის სოფლებში სათიბების განლაგების ზონებში მარტივი ტიპის ბინების აშენების შესახებ, რომელიც ზამთარ-ზაფხულ გამოიყენებოდა ადგილზე პირუტყვის გამოსაკვებად.

V. მთელ რიგ სოფლებში ვხედებით მიტოვებულ გაახოებულ ადგილებს. სადაც ტყის მეურნეობას ხელი არ მიუწვდა ამ ნაკვეთების განაშენიანებაზე. ამ მიწის ნაკვეთებს მიეძალა ეროზია და გამოუსადეგარად იქცა.

ქართველი მეურნე ამ ნაკვეთებს საუკუნეების მანძილზე თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, ფერდობებს ატერასებდა, ამაგრებდა, შერჩევით რგავდა მცენარეებს, გამიზნული თესლბრუნვითა და კულტურათა შენაცვლებით ნიადაგსაც ამდიდრებდა, აპატივებდა — სპეციალურად გაკვალული რუსტმელებით ნაკელწყალს უშვებდა; ასეთი რაციონალური საშუალებებით იგი მაღალ მოსავლიანობას უზრუნველყოფდა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასეთი მიწის ფართობების გამოყენება მესაქონლეობის განვითარებისათვის, კერძოდ, საქონლის საკვები ბაზის გადიდების რეზერვად. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ამ მხრივ დაგროვილია გამართლებული ემპირიული პრაქტიკა — სათიბ-საძოვრისათვის განკუთვნილ ნიადაგზე გარკვეული ჯიშის ბალახის თესვა, კორდის მოფენა და სხვა.

ცნობილია, რომ წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება შეუძლებელია მოწინავე გამოცდილების განზოგადების გარეშე. შრომის მოწინავე გამოცდილების, მოწინავე ხერხებისა და მეთოდების გავრცელება კი დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების ისტორიასთან. საუკუნეების მანძილზე მიწათმოქმედი თუ მესაქონლე გლეხი, კონკრეტულ ეკოლოგიურ გარემოში ჰქმნიდა, ხვეწდა და პრაქტიკულად ამოწმებდა შრომის ყველაზე უფრო სწორ და ეფექტურ საშუალებებს, შრომის იარაღებს. ამიტომ ბუნებრივია, ხალხური სამეურნეო გამოცდილება, ქართველი მეურნის თვალსაჩინო მიღწევები გვევლინება, როგორც სახალხო მეურნეობის წარმოების შესაძლებლობათა გამოყენების თვალსაჩინო ორიენტირი.

ИЗ ИСТОРИИ СКОТОВОДСТВА ГРУЗИИ

(По этнографическим материалам Нижней Картли)

Резюме

Скотоводство с незапамятных времен являлось одним из главных средств существования и социально-экономического развития общества. Решающую роль в процессе приручения животных, выведения, развития и формирования новых пород сыграла хозяйственно-трудовая деятельность человека, где человеческому труду придается преобразующее значение. На заре истории человечества «главную роль как средство труда играют прирученные, следовательно, уже измененные посредством труда, выращенные человеком животные»[1].

Историко-этнографическое изучение скотоводства имеет важное значение для понимания целого ряда вопросов культурно-исторического характера. Оно помогает вскрыть особенности трудовой деятельности человека, которая способствовала росту продуктивности и работоспособности животных. Основное место в этом деле занимает выявление производственных традиций и объяснение их своеобразия.

В числе грандиозных задач дальнейшего развития сельского хозяйства СССР, намеченных Коммунистической партией и Советским правительством, важная роль отводится научному изучению сельскохозяйственных отраслей по отдельным территориальным регионам, в соответствии с местными географическими и хозяйственными условиями. Исходя из этого и учитывая многообразие природно-хозяйственных условий и особенностей социально-экономического развития Грузии, для установления полной картины истории и этнографии скотоводства необходимо выявить и исследовать локальные особенности этой отрасли, которые должны рассматриваться как составные части истории скотоводства Грузии в целом.

Не случайно в Нижней Картли, наряду с населением, ведущим оседлый образ жизни, встречались и кочевники. Представители разных народов, населяющих Нижнюю Картли, со-

---

[1] Маркс К., Капитал, т. 1, Соцэкгиз, 1931, с. 121.

хранили свои обычаи и права, а также характер хозяйства, меньше всего подвергаясь внешнему влиянию.

Результаты историко-этнографического исследования скотоводства Нижней Картли показывают, что процессы генезиса этой отрасли хозяйства характеризовались многочисленными особенностями, обусловленными культурно-историческим положением страны, многообразием их климато-экологических факторов.

Историческое прошлое этой части Грузии характеризуется интенсивными перемещениями различных этических групп, связанных с непрерывными войнами и набегами иноземных захватчиков. Мусульманские правители наводняли Нижнюю Картли тюркско-иранскими племенами; грузинские цари заполняли опустошенные земли иноплеменными элементами, а позже царское правительство, преследуя свои корыстные цели, заселяло этот район греками, армянами, немцами, русскими, приносившими с собой свои национальные культурно-хозяйственные традиции.

Как явствует из литературных источников и подтверждающих этнографических данных, развитию скотоводства в Нижней Картли издавна уделялось большое внимание. Прежний Борчалойский уезд (ныне Марнеульский район) издавна славится развитым молочным хозяйством, а Цалкский район — интенсивным скотоводством.

Развитию животноводства в данном районе способствовали не только природные и климатические условия, но и наличие прекрасной кормовой базы сочных лугов и пастбищ, обширных площадей свободных земель и их территориальная близость к административным центрам. Нижняя Картли снабжала животноводческими продуктами (молоком, сыром, мясом) в основном Тбилиси. В современных условиях, несмотря на то, что хозяйство Нижней Картли многоотраслевое, ведущая роль в нем все же принадлежит животноводству.

О традиционном характере скотоводства в исследуемом районе свидетельствуют археологические материалы. В научной литературе большое внимание уделялось остеологическим материалам, представленным в триалетских курганах бронзовой эпохи, по-новому трактующим вопрос о формировании домашнего скота. Основываясь на специальном исследовании триалетского остеологического материала, Н. Бурчак-Абрамович высказал мысль о том, что грузинские брахицеры, возможно, происходят от скрещивания триалетского «примигения» и западногрузинского («анаклия», «наохваму») «низкорослого» быка. Одновременно он не исключает местное происхождение «высокорослого» домашнего скота от приуроченного закавказского тура. Триалетский материал приобретает большое значение в решении вопроса об аборигенном происхождении крупного рогатого скота, ибо это исключает предположение, буд-

то «примигений» проник в Грузию в позднюю эпоху из северной зоны и Западной Европы. Литературные данные (В. Громов, С. Боголюбский, И. Куфтин, Т. Чубинишвили и др.) несомненно указывают на самостоятельное приручение домашних животных на Кавказе и, в частности, в Закавказье.

Нижняя Картли объединяет Гардабанский, Марнеульский, Болнисский, Дманисский, Триалетский и Цалкский районы с разнообразными рельефными поверхностями: равнины, горные склоны, плато и др.

Нижней Картли присуще также разнообразие климатических условий. Здесь выделяется несколько климатических зон, начиная сухим климатом и кончая высокогорным влажным, неблагоприятным для культурной растительности, но пригодными для развития скотоводства. Именно многообразие климата и рельефа обусловило разнохарактерность растительного покрова: начиная с типов, характерных для сухих долин, и кончая типами, свойственными альпийским зонам. Верховья Куры, Алгети, Дебеда и Шулавери используются в качестве пастбищ. Географические и природные условия Нижней Картли, а также его территориальная близость к административным центрам сыграли определенную роль в экономическом развитии края.

Этнографическим исследованием Нижней Картли выявлена характерная для грузинского хозяйственного быта взаимная обусловленность земледелия и скотоводства. Они были непосредственно связаны друг с другом: развитое земледелие нуждалось в тяговой силе и удобрении почв, а скотоводство — в обеспечении зимним запасом кормов, в том числе и продуктами земледелия (рожь, кукурузная солома, ячмень, чечевица и т. д.). Хотя исторически в Нижней Картли и развивалось многоотраслевое скотоводство, однако хозяйственные и географические условия способствовали преимущественному развитию крупного рогатого скота.

В современных условиях здесь встречаются различные породы завезенного скота, хорошо акклиматизированные и широко распространенные в хозяйствах различных этнографических групп. Следует отметить породу «грузинская», культивируемую грузинским, армянским и осетинским населением долины Нижней Картли: «мтиулетскую», доминирующую у горцев мтиульцев-гудамакарцев «таракаманскую», свойственную тюркскому, а отчасти грузинскому и армянскому населению. Среди указанных «таракаманская» — наиболее распространенная порода скота в Нижней Картли и в северной части Ахалкалакского и в Сигнахском уездах. Она издревле была известна на Кавказе, однако центром распространения «таракаманской» породы считается, в основном, Борчалинский уезд. По этнографическим материалам и литературным данным, скот

этой породы характеризуется трудоспособностью, невосприимчивостью к инфекциям, выносливостью, молоко этих коров отличается питательностью. Ни одна из завезенных пород («немецкая», «молоканская», «осетинская») не смогла с ней конкурировать.

Выведением улучшенных пород скота издревле занималось население горной части Нижней Картли. По наблюдениям горцев, хороший результат с точки зрения улучшения качества мяса и повышения трудоспособности давало скрещивание «горной» породы с «таракаманской»; чаще оно носило естественный характер.

Скрещивание «таракаманской» с другими равнинными породами не давало результатов. По народным наблюдениям, улучшения «таракаманской» породы скота можно добиться только при правильном уходе за животными и улучшении кормления скота. Выведением различных пород скота в Нижней Картли занимались и отдельные специалисты маслобойных заводов Кученбаха, Кезеля, братьев Аммерт и других иностранных промышленников.

В этой связи нельзя не обратить внимание на уровень народных знаний и богатство дифференцированной терминологии по анатомии и физиологии крупного рогатого скота. Выявлены народные знания о подборе рабочего скота (по возрасту, характеру, силе) для пахоты, о специальных кормах в период пахоты, о соблюдении рационального режима труда и отдыха и т. д. Традиционным в быту населения Нижней Картли считается кастрация (дакодва) и выведение (гамокна) рабочего скота. Народными наблюдениями установлено, что работоспособность быка во многом зависит от этих процессов

Наряду с быком традиционным хозяйственным животным в исследуемом районе считается буйвол, используемый как в земледелии, так и в народном транспорте. Верблюд преимущественно применялся в хозяйствах тюркского населения Нижней Картли. Местное крестьянство с большим вниманием относилось также к разведению производителей — бугаев. В горной части Нижней Картли засвидетельствован старинный обычай принесения в жертву бугая. Аналогии встречались и в других районах Грузии.

Жители Нижней Картли различают более 20 видов болезней скота. Выявление и опознание эпизоотий, а также народные средства лечения домашних животных опирались на эмпирические знания населения. Самыми опасными из заразных болезней крупного рогатого скота считалась чума и ящур. Из других заболеваний следует отметить пастереллоз (богма) и шумящий корбункул (ямани или чучуна), заболевания полости рта и пищеварительных органов.

Заслуживает внимания традиционный характер народной ветеринарии, применявшей против болезней скота разнообразные средства: мед, молочные продукты (молоко, маноли, масло), соленую воду, уксус, яичный белок, лечебные травы, табачные корни, холодные примочки, кровопускание, хирургическое вмешательство при сложных отделах и др. Кроме того, широко применялись иррациональные средства, среди которых, как и в других районах Грузии, особое место занимало заклинание.

* *

В Нижней Картли устанавливаются три основные формы скотоводства:

I. Равнинное, характерное для грузинского, армянского и русского населения.

II. Альпийское, развитое у мтиульцев и гудамакарцев горной части Нижней Картли.

III. Полукочевое, получившее развитие у «элийского» — тюрко-язычного (по религии — мусульманского) населения.

Форма равнинного скотоводства была распространена лишь в низменной полосе Нижней Картли, в частности, в Тетрицкаройском, Марнеульском, Болнисском и Дманисском районах. Часть грузинского, армянского и русского населения этих районов появилось здесь, по всем данным, в конце XIX — начале XX вв. Грузины, в частности, переселились из Рачи, Месхет-Джавахети и Внутренней Картли. Академик Г. Читая засвидетельствовал здесь и старое аборигенное население. Часть проживающих в этих местах армян (например, с. Самшвилде) принадлежит древнему слою, другая же поселилась здесь в прошлом столетии. Русское население, основавшее села Ивановка, Воронцовка и другие, по-видимому, появилось здесь после присоединения Грузии к России.

Развитию равнинного скотоводства издревле благоприятствовали теплый климат Нижней Картли, обилие лугов и пастбищ, наличие обширных земель. При равнинном скотоводстве уход за животными менялся в зависимости от времени года.

1. В летний период (апрель-ноябрь) скот выгоняли на пастбища возле села под постоянным наблюдением пастуха («менахире»), специально нанимаемого селом на год или полугодие. Оплата производилась по договору деньгами или натурой. В обязанности пастуха входило кормление и охрана стада. Село обеспечивало пастуха одеждой.

2. В зимний период (декабрь-март) скот содержали в зимних помещениях. Уход за хлевом и скотом входил в обязанности женщин. Главным в цикле стойлового содержания

скота являлось обеспечение его запасом кормов с тем, чтобы весь долгий зимний период животные сохраняли удойность, вес и работоспособность. Самым питательным кормом считалось сено. Поэтому первейшая забота крестьянина состояла в сохранении полезных качеств сена. А в этой связи у местных крестьян засвидетельствован ряд рациональных приемов по заготовке сена на зиму. Большое значение придавалось структуре корма, учитывались полезность и питательность трав по сезонам.

В качестве корма в зимний период использовались мякина, дополнительно — кукурузная солома (чала), ячмень и чечевица. При этом строго соблюдался режим кормления скота. Нормы питания были различны как для дойного, так и для ялового, стельного скота. Нормы эти соблюдались и в период выкармливания телят.

При этом строго соблюдался принцип последовательности: в начале зимы скот кормили мякиной, позже — частично или целиком переводили на сено; весной норма увеличивалась, а рабочий скот целиком переходил на сено.

В Нижней Картли уход за скотом не был связан с большими трудностями: в условиях мягкой зимы животных временами содержали на подножном корму, что, разумеется, облегчало уход.

Альпийское скотоводство распространено в горных районах Грузии, в частности, в Аджарии, Пшав-Хевсурети, Раче, Хеви, Мтиулети, Сванети. Оно основано на взаимосвязи земледелия со скотоводством и представлено по вертикальной зональности. Характерными элементами этой формы скотоводческого хозяйства являются размещение хозяйственных баз, годичный цикл ухода за животными и соответствующие формы организации труда.

Форма альпийского скотоводства, распространенная среди горной зоны Нижней Картли и, в частности, в Тетрицкаройском районе, соответствовала местным традициям и условиям и включала следующий цикл: первым важным моментом этого цикла являлся выгон дойного скота на альпийские пастбища в июне-августе в сопровождении пастухов и персонала, связанного с доением и изготовлением молочных продуктов. В качестве летних пастбищ население нижнекартлийских сел Чала, Гударехи, Ваке, Парциси, Хописи, Ксоврети использовало горную местность Бедени (1875 м н. у. м.), богатую субальпийской растительностью. На летние пастбища дойный скот выгоняли с середины мая, а рабочий (волы и буйволы) — после пахоты. На пастбищах скотоводы проживали во временных помещениях — шалашах. Обычно эти шалаши строила каждая семья в отдельности. Каждое село на пастбище имело свой участок.

Вторым важным моментом цикла являлся стойловый уход за скотом с сентября по февраль.

Полукочевая форма была распространена, в основном, среди элийского населения прежнего Борчало (ныне — Марнеульский район). Скотоводы перебирались целыми семьями на несколько месяцев на летние пастбища.

Форма полукочевого скотоводства характеризовалась следующим циклом:

а) с апреля по октябрь скот находился на альпийских пастбищах в сопровождении всей крестьянской семьи. Скотоводы шли (посемейно) отдельными группами (магла). Каждая группа объединяла скот нескольких семей. На селе было 8—10 таких «магла». Каждая из них выходила на пастбище и располагалась на общем участке. Тут же сооружилось жилище («альчих» или «дайя-даге»), строительный материал скотоводы обычно брали на пастбище с собой. Хозяйственные и домашние работы (обеспечивание водой, топливом, уходом за скотом, приготовление сыра и молока, заготовка шерсти) ложились на плечи женщин. Мужчины пасли овец, продавали молочные продукты или меняли их на хлеб, фрукты и др.;

б) с ноября по март скот перегоняли в долину. Находясь все лето на пастбище, семья не могла заняться земледелием и заготовкой запасов на зиму. Продуктов земледелия у нее не было. Основным средством существования являлась продажа продуктов скотоводства для покупки хлеба. Полученных средств хватало лишь на короткое время, и семья испытывала нужду, велик был падеж скота. Скотовод обращался к перекупщикам в Марнеули или Тбилиси, беря деньги взаймы в зимний период на пропитание семьи. Зачастую он не мог выплатить долг и попадал в кабалу, перекупщик забирал скот или же долю, причитавшуюся скотоводу за летний труд. Крайне тяжелое положение мусульманского населения в дореволюционный период освещалось в специальной литературе, поднимался вопрос об изменении кочевой формы скотоводства. Под влиянием окружающей среды скотоводы со временем убеждались в необходимости изменить свой хозяйственный уклад: если раньше глава семьи вместе с членами уходил в горы и оставлял посевы на произвол судьбы, то впоследствии лишь часть семьи (женщины, пастухи) сопровождали скот, а мужчины оставались дома и занимались земледельческими работами. Со временем это вошло в быт, скотоводы постепенно занялись земледелием. Ныне это тюркоязычное население, наряду с грузинами, русскими, греками трудятся в единой многонациональной семье колхозного крестьянства Нижней Картли, занимаясь земледелием, виноградарством и садоводством.

* * *

Вопросы экономики молочного хозяйства Нижней Картли давно привлекают внимание специалистов. Частично это объясняется тем, что еще с середины XIX века на Кавказе налаживается производство швейцарского сыра. Сочные субальпийские пастбища Триалетских гор обусловили успех новой отрасли молочной промышленности, однако производство этого сыра захватили в свои руки в основном иностранные предприниматели (Кученбах, Аметер, Нидеккер, Зегентлар и др.). Ведущую роль занял маслобойный завод Кученбаха в с. Мамутли.

Однако народные способы обработки молочных продуктов в Нижней Картли сохранили свои традиционные формы. Здесь засвидетельствованы глубокие эмпирические знания населения в области заготовки и сохранения молочных продуктов.

Высокий уровень развития молочного хозяйства выразился в разнообразии сортов производимого сыра (тав-квели, чечили, моухдели и мотали) и множество способов изготовления масла (из кислого молока — мацони, молока, сливок). Применительна связанная с производством молочных продуктов форма организации труда ханулоба.

На традиционный характер развития скотоводства в исследуемом районе указывают засвидетельствованные здесь виды помещений для животных: для крупного рогатого скота (гоми), овец (эзо), а также для переработки и хранения молочных продуктов (сардзеула) — в Тетрицкаройском районе, сапилави — в Болнисском, Дманисском районах).

Глубокие эмпирические знания нижнекартлийского населения дают возможность практически использовать вековые трудовые навыки и производственный опыт местных скотоводов. В частности, некоторые достижения могут быть использованы в современном хозяйстве путем скрещивания местных пород с хевсурской (мтиульской).

შემოკლებათა ახსნა

ენიმკი — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
მსე — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
ЗВВ — Записки ветеринарного вестника
ЗКОСХ — Записки Кавказского общества сельского хозяйства.
ЗКОИРГО — Записки Кавказского отдела Имп. русского географического общества
ИИРГО — Известия Имп. русского географического общества
К — Кавказ
КСХ — Кавказское сельское хозяйство
КХ — Кавказское хозяйство
МАК — Материалы по археологии Кавказа
МИЭБГКЗК — Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края
МУКЛЗПИСК — Материалы для устройства казенных летних и зимних пастбищ и для изучения скотоводства на Кавказе
НО — Новое обозрение
СМИЭБГКЗК — Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края
СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа
СЭ — Советская этнография
ТКОСХ — Труды Кавказского общества сельского хозяйства
ЭО — Этнографическое обозрение

ტაბულების აღწერილობა

I ქვემო ქართლი სოფ. ტბისი. სოფ. ჩხიკვთა

II მთხრობელები გულვერდაშვილი გაბრიელ გიორგის ძე, მიგრიალური მელანო ბაგრატის ასული

III 1. მუშაპირუტყვი. 2. მეწველი საქონელი

IV 1. მაწვენის სასოფლო საძოვარი, 2. მწყემსი აფციაური ვანო ბეროს ძე

V ბედენის საზაფხულო საძოვარი

VI საზაფხულო „ქოხი" ბედენზე

VII საზაფხულო „ქოხის" საოჯახო ნივთები

VIII სათიბი იარაღები (ორთითა ფიწალი, სამთითა ფიწალი, ფოცხი, საახოვე ნიჩაბი)

IX 1. ცელის „წკეპვა", 2. „ჭელის" გადაბრუნება 3. „ჭელის" აღება

X 1. დაბულულება, 2. ჯაურა, 3. ბულული

XI 1. „მრგვალი" ძირი, 2. „გრძელი" ძირი, 3. საბძელი

XII ქვემო ქართლში გავრცელებული სადღეებლის ტიპები

XIII თიხის სადღვებელი („შუშუტა", „სერა", ზედხედი) რძის საწველი ქოთანი

XIV დღვების პროცესი

XV_{1-2} რძის მეურნეობისათვის გამოყენებული ხის ჭურჭელი

XVI საწველელი კოდი//ტაგანი. მის დასამზადებლად გამოყენებული იარაღები (ტაგანი, საცემი ხვედა, ჩუაჭი ღორეშო, ხის ჩაქუჩი)

XVII ს. ქსოვრეთი. ი. ჩოხელის საცხოვრებელი სახლი

XVIII ს. ფარცხისი. ბოსელი

XIX სარიტუალო კვერები: 1. ოჯახის დიდი ბედისკვერი, 2. საქონლის ცური, 3. სალამური, 4. ნალი, 5. საქონლისათვის მისალოცი ქადა; 6. მწყემსის ხანჯალი, 7. მწყემსის ჯოხი, 8. მწყემსის კომბალი

$XX_{1\ 2}$ 1. ს. გუდარეხი. სასაფლაო, 2. ქვემო ქართლისათვის ტიპიური საფლავის ქვა მესაქონლეობასთან დაკავშირებული დეტალებით (ს. ვაკე).

XXI 1. იმერეთში გავრცელებული საფლავის ქვის ტიპი, 2. საფლავის ქვა ს. სამშვილდედან, 3. საფლავის ქვა-ქანდაკი ს. ტბისი.



1



2

IV

1



2



1



2



3

4

VIII



1

2



3



4

1

2

3

1

2

3

1

2

3

XII





1

2



3



4

5

XIII

XIV





1



2



3



4



5

6

7

XV2




1
2
3
4
5

XVII



ი. ბ. ჩიხელის ხეცოვრებელი სახლი ფ. ვეგეს. ოდინარეულობის ჩაბინა ხიდ. ქნოვანი
1. სახლობრივ, 2. ეზო, 3. ხვეტ, 4-5 ხეცოვრებ. ხელი ოთახები, 6. ხეკეტანი






1
2
3
4
5
6
7
8









1

2



3

შინაარსი

შესავალი . . . 3

თავი I. ქვემო ქართლის სამეურნეო-ბუნებრივი და ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების მიმოხილვა . 9

თავი II. ქვემო ქართლის მესაქონლეობის ფორმების კლასიფიკაცია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე . 19

თავი III. მსხვილფეხა საქონლის ეთნოგრაფიული დახასიათება . 42

მსხვილფეხა საქონლის დაავადებანი და მკურნალობის ხალხური საშუალებანი . . . 60

თავი IV. მესაქონლეობის სამეურნეო-მატერიალური ბაზა . 63

ქვემო ქართლის საძოვრების ბოტანიკური შედგენილობის დახასიათება 67

თავი V. მსხვილფეხა მესაქონლეობის პროდუქტები . . 80

შრომის ორგანიზაციის ფორმა რძის მეურნეობაში — ხანულობა 92

თავი VI. მესაქონლეობის ტრადიციების ასახვა ხალხური ქვის კვეთილობის ნიმუშებში 100

დასკვნები . 107

პრაქტიკული წინადადება-რეკომენდაციები 114

Из истории скотоводства Грузии Резюме. 121

შემოკლებათა ახსნა 129

ჩანაბულების აღწერილობა 130

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

■

სბ 3021

გამომცემლობის რედაქტორი ს. ხანჯალაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი მ. მახარაძე

გადაეცა წარმოებას 22.9. 1986; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 2. 1987;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 9.8;
პირ. საღ.-გატარება 10.1;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.7;

უე 00818; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 3393;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Тамила Шалвовна Цагареишвили

ИЗ ИСТОРИИ СКОТОВОДСТВА ГРУЗИИ

(по этнографическим материалам Нижней Картли)

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1987